1134
2001 +

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არილი

№10 (173) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 14 ივნისი
ფასი 80 თეთრი

#10
2001



# არილი

**საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა**

---

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

---

მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**



**სარედაქციო საბჭო**
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე



*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№10 ხუთშაბათი, 14 ივნისი, 2001**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


## ლიტერატურა


თამაზ ვასაძე
კრიტიკული ფრაგმენტები .......... 1
მაია სარიშვილი
ლექსები .......... 2
მაკა მიქელაძე
გვირაბი .......... 4
ანდრო ბუაჩიძე
ლექსები .......... 7
ჰაინრიხ ბიოლი
ჩემი ნაღვლიანი სახე .......... 9
დავით ქართველიშვილი
შრომანი .......... 12
მიხეილ ქვლივიძე
...როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო .......... 16
ნოდარ გურაბანიძე
"პოეზიაშია თეატრის არსი" .......... 19


## პერსონა


მანანა მათიაშვილი
"თავშეკავების უსაზღვრო ძალა" .......... 21
ელიზაბეტ ბიშოპი
ლექსები .......... 23
შეიმას ჰინი
სიტყვის ერთმმართველობა .......... 25


## ამბოხი


დანიელ კონ-ბენდიტი
ჟან-პოლ სარტრი
"ჩვენი ძალა უკონტროლო სტიქიურობას ეყრდნობა" .......... 29
მორის კლაველი
ნუ ეძებთ არამზადებს ქუჩებში .......... 30
ფრანსუა ტრიუფო
კანი - 1968 წლის მაისი .......... 31
ფილიპ სოლერსი
"იყავით რეალისტები - მოითხოვეთ შეუძლებელი" .......... 33


## პუბლიცისტიკა


გია ბუღაძე
ნგრევა "ნიჭიერებით" .......... 34
ია ანთაძე
მოგზაურობა ასლანდიაში .......... 37
ზაზა ფაჩუაშვილი
ხუთშაბათი არილის დღეა .......... 39

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ვასაძე

# კრიტიკული ფრაგმენტები

...გურამიშვილის ირონია და თვითირონია ამოზრდილია მისი თავისებური ქრისტიანული სკეპტიციზმიდან, იმის ნაღვლიანი განცდიდან და გაცნობიერებიდან, რომ ცოდვა თითქმის შეუზღუდველად ბატონობს ადამიანზე, რომ არაფერი ეშველება ადამიანის ბიწიერებას, სულიერ სიბრმავეს და უძლურებას. ადამიანი სასიკეთოდ ვერ შეცვალა ვერც ღმერთის მიერ მისმა მრავალჯერ შერისხვამ, დასჯამ, ვერც ღმერთის დიდმა წყალობამ, ქრისტეს მსხვერპლგაღებამ. ყველაფერი ამაო გამოდგა. გურამიშვილის თვალთახედვით, ადამიანი გამოუსწორებელი არსებაა, გამოუსწორებლად ესახება მას საკუთარი თავიც. მისი ხვედრია მომაბეზრებელი წრებრუნვა ცოდვიდან მონანიებამდე და მონანიებიდან ცოდვამდე და ეს ირონიულად განაწყობს საერთოდ ადამიანის და კერძოდ თავისი უბადრუკობის მიმართ.

ცნობიერად თუ ქვეშეცნეულად გურამიშვილი ისეთად აღიქვამს საკუთარ არსებას და გარემომცველ რეალობას, როგორიც, მისი წარმოდგენით, ღმერთის თვალში უნდა ჩანდნენ და ამიტომ გამახვილებულად ხედავს თავისი თავის და ქვეყნიერების კომიკურ სიმდარეს, სიმრუდეს. განსაკუთრებით მატერიალური, სხეულებრივი საწყისის არასრულფასოვნება ბადებს ირონიას, თუმცა გურამიშვილს მაინც უყვარს ეს ისეთივე არაუზადო ნივთიერი სინამდვილე, როგორიც თვითონ არის. სამყაროს მატერიალურობის მკვეთრი, ირონიული და ამასთანავე ინტიმურ-"ახლობლური" აღქმის უკუფენაა გურამიშვილის სტილისთვის დამახასიათებელი ნატურალისტური ელემენტების სიუხვე, გროტესკულად დაღვლარჭნილი სიტყვიერი მასალა და სახეები, მიწიერი სითბო და ხორკლიანობა... არისტოკრატი გურამიშვილის სტილი ხშირად გლეხურად მოუხეშავია.

რაკი მწვავედ გრძნობს ღმერთის მზერას, რომლისთვისაც არაფერია დაფარული, გურამიშვილი ბოლომდე გულახდილი და უტყუარია, არაჩვეულებრივად უეშმაკო, უბრალო და თავმდაბალია. არსებობს თვითგვემის, თვითდამცირების სიამაყე, მაგრამ გურამიშვილისთვის ასეთი მალული სიამაყეც უცხოა. მას არ სურს იმაზე უკეთესად გამოიყურებოდეს, ვიდრე სინამდვილეშია, აზრადაც არ მოსდის თავისი ფათერაკებიანი თავგადასავლის გამოყენება ვაჟკაცური, ჰეროიკული ავტოპორტრეტის დასახატად, რაც სხვას მის ადგილას სიამოვნებით შეიძლებოდა გაეკეთებინა. ტიპიური ტრადიციული ქართველისგან განსხვავებით, გურამიშვილს არ ეთაკილება გაამხილოს საკუთარი შიში, უმწეობა, სისაწყლე, გამოჩნდეს ნაკლულოვანი და სასაცილოც კი.

* * *

უსასრულობასთან, მარადიულობასთან ზიარებისკენ ლტოლვა - რომანტიკული მსოფლგანცდის ორგანული თვისება - ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი არსებითი ასპექტია. ამ ლტოლვაში მჟღავნდება რაღაც ისეთის აღმოჩენის და მასთან შეკავშირების ღრმა ადამიანური მოთხოვნილება, რაც წარმავალობაზე და ამაოებაზე ძლიერია, რასაც სიკვდილი ვერ ანადგურებს. ეს ყველაზე თვალსაჩინოა ბარათაშვილის ორ ლექსში: "არ უკიჟინო, სატრფოო" და "მერანი".



"არ უკიჟინო" რომანტიკული ოცნება, ფანტაზირებაა უსასრულობასთან შერწყმაზე. უსასრულობასთან, მარადისობასთან შეერთების სურვილის ძალით ლირიკული გმირი და ის, ვინც მას უყვარს, გვევლინებიან ისეთ ფენომენებად, რომლებიც მუდმივად მყოფობენ სამყაროში - მზედ, ნამად. ისინი მთლიანდებიან და დაუსრულებლად ბადებენ სიკეთეს. "...რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს და ერთად შესხივებულნი შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს, არეს ავსებდნენ სიამით მცენარეთ განმაცხოველებლად, იყვნენ მარადის, უხსნელად, სოფლისა განსათავებლად". სიკვდილის ძლევა და უსასრულობასთან ზიარება მიიღწევა სამყაროში მარადიულად მიმდინარე პოზიტიურ პროცესში - სიცოცხლის აღმოცენების და ზრდის პროცესში წარმოსახვითი თანამონაწილეობით.

"არ უკიჟინოსგან" განსხვავებით, "მერანში" უსასრულობასთან ზიარების ცდა ყოფიერების ტრაგიკულ, ანუ უფრო ღრმა და ჭეშმარიტ განზომილებაში ხორციელდება. მერანის და მისი მხედრის სრბოლა უსასრულო თავისუფლებისკენ ლტოლვის სიმბოლოა. მისწრაფებას უსასრულობისკენ, "ბედის სამძლვრის" გადალახვისკენ აღკვეთს სიკვდილი - ბედისწერის მთავარი იარაღი. თანაც ეს არის, ასე ვთქვათ, მაქსიმალიზებული, აბსოლუტური სიკვდილი, "სატრფოს ცრემლის", "ნათესავთ გლოვის", სამშობლოში "წინაპართ საფლავებს შორის" დამარხვის გარეშე, იმის გარეშე, რაც ადამიანს სიკვდილის შემდეგ რაღაც კავშირს უნარჩუნებს თავისი სიცია-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია ... ბიბლიოთეკა



ლურ სამყაროსთან. მერანის მხედარს წილად ხვდება არა ასეთი ჩვეულებრივი, "განელებული" სიკვდილი, არამედ დაღუპვა სრულ მარტოობაში, უცხო და უკაცრიელ გარემოში, სადაც მის გმირულ მსხვერპლგაღებას თანამგრძნობელი და დამფასებელი არ ჰყავს, წილად ხვდება უკვალოდ გაუჩინარება ამქვეყნიდან. სიკვდილი მოვლენილია თავისი მაარარავებელი ძალის მთელი სისრულით, რათა უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცეს მის ძლევას. რა ანიჭებს მერანის მხედარს ძალას, დათანხმდეს ამგვარ "სრულ" სიკვდილს? ის, რომ იგი სინამდვილეში კი არ ქრება სამყაროდან, არამედ, პირიქით, სამარადისოდ მკვიდრდება მასში, რამდენადაც ბედისწერისადმი დაუმორჩილებლობით "თელილ" გზას უხსნის სხვათა თავისუფლებას და უერთდება იმას, რაც უსასრულოდ გრძელდება ამქვეყნად - თავისუფლებისკენ მოძრაობას. მეტიც, თავისი ქმედებით ის ობიექტურად ხდება თავისუფლების საბოლოო, სამუდამო აღზევების მონაწილე, თუკი ვიგულისხმებთ, რომ მისი "მოძმე" მომავალში არამარტო "შეუპოვრად" ებრძვის, არამედ ამარცხებს კიდეც ბედისწერას. თვითშეწირვის წყალობით "მერანის" გმირი უსასრულო პოზიტიურ მომავალში ფუძნდება, უსხლტება წარმავალობას. მის თავგანწირვას სრულიად არარიტორიკულ, არადეკლარაციულ იერს, ღრმა სიმართლეს და დამაჯერებლობას სძენს ის, რომ მსხვერპლგაღების სანაცვლოდ იგი შეუკავშირდება იმას, რაც სიკვდილზე ძლიერია, ზღვარდაუდებია - ადამიანთა სამყაროში თავისუფლების გავრცობისკენ მიმართული ცდის განუწყვეტლობას.

## მაია სარიშვილი

* * *

როგორ წირპლივით მიზის თვალებში სიკვდილი.
არადა მინდა საუზმე -
ორსული გედის მუცელში რომ თოთო გედია -
აი, ასეთი გამჭვირვალე...
აქაურობა სავსეა დედოფლებით,
რომელთა წითელი კრეპ-ჟორჟეტის კაბებიც
ჩრდილში არ გადიან საერთოდ.
შაქარყინულის დიადემა იწებებს მწერებს.
ესენი არიან ის ღირსეული ქალები,
გუშინაც რომ ხარშავდნენ წეროს -
ეგონათ, ზეცას საიდუმლოს უპოვნიდნენ.
ხოლო ვიდრე ღმერთი ისევ ბრინჯივით
გადაარჩევდეს მათ თვალებს,
მე ვიცნობ და ავიღებ სრულიად ახალ ცას.
ღრუბლებიდან ჩამოვლენ უხმარი თავგადასავლები.
ახლადნაშენები კორპუსები ფანჯრებიდან
შავი ატლასის ფუთებს გადმოყრიან
და იმათ ვერავინ გახსნის...

* * *

რომ გათენდა,
ცა ერთი დიდი ვარსკვლავი იყო.
მისი სხივები -
საკერავი მანქანის მოძრავი ნემსები -
ვიღაცის თვალებს
ჩემს თვალებზე აგვირისტებდნენ.
და მე ვხედავდი იმ ვიღაცის სახლსა და ეზოს.
იმის ორ შვილს და ქმარს -
აწოწილს ბაც სიტყვებამდე.
ღამით კი მქონდა ჩემი თალხი რძე -
ჩამქრალ ნათურებს ვუწოვდი ჭაღებს.
ბალიშიც თითქოს სავსე იყო შავ-თეთრი ხილით.
ტკბებოდა კეფა.
და დროდადრო და ზომიერად
ვფიქრობდი ხსნაზე...

* * *

ჯერ არ დაწყვიტო ალუბლები -
არ გასინჯო ახალი სიცოცხლე.
ჯერ ცეცხლში ჩააწე ძუძუები.
ჯერ აორტა იტკინე.
ჯერ ნაბიჯებისა და ტელეფონების
წყვეტილი ბგერები მიადგი ერთმანეთს

და ეს შეკრული წითელი ხაზი
გადაატარე ცარიელ ოთახზე,
როგორც შეცდომაზე.
დედაჩემი მთელი წელია მიწაში ცხოვრობს.
მე მიყვარს მისი ხადა სასახლე.
ჩავგზავნი ხოლმე ძაფების ფერად ბურთებს
და ქსოვს იქ დედა ნოყიერ წყალს
გადახურული ჭებისათვის.

* * *

ეს მისი ნაფეხურია ნუგების ფილაქანზე.
სიკვდილის ქუსლებმა ამოჭამეს
ჩვენი თვალების წებოვანი რქოვანა.
აბრეშუმის კოლიბრი - ცხვირსახოცის კიდეზე.
თავი შეიძლება მოიკლა ნემ    გადაყლაპვითაც.
ამოიქარგე შიგანი ყველაზე უცენზურო სასოწარკვეთით.
როცა დიდი ხარ, ხერხემალი
ჯადოსნური ჯოხის ცარიელი ბუდეა.
ბავშვები კი იზრდიან ცრემლებს
(ხომ არ იციან, რომ შეიძლება შეჭრა და გალაქვა).
მათი ტირილი თიხის კოკების დალეწვაა.
წყალი კი ლოცვასავით უმწეოა
და ქვესკნელების ამომშენებელი...

* * *

ქარბორბალები წაიღებენ ნაოჭთა ხაზებს,
ფიჩხებივით შეყრიან
ბავშვთა სახლების ღატაკ ბუხრებში.
ათას ღამეზეც რომ გადაწვე,
მზეს - ცერცვის მარცვალს მაინც იგრძნობ,
ვერ მოისვენებ.
მეზობლის გოგო ფენით იშრობს
ძუძუებიდან რძეს გულმოდგინედ.
საწოვარიანი ბოთლები ჩათხარეთ თვალებში ყველას,
ვინც სასოწარკვეთილია
და გულშემატკივარს ეძებს.

* * *

არ ვიტყვი მადლობას
ამ ჯამბაზი ლუკმებისთვის.
ვიტამინების და ქოლესტერინების
უნიჭო წარმოდგენა!
უწინ რომ ენის რეცეპტორებში
მხოლოდ სალამო იდგა,
ახლა ვულგარული შუადღეა ჩაკირული.
რა ეცირკება მკვდარ პურს ნერწყვში?

ვეძახი ხორბლის ანგელოზს,
რომ დაუნაყროს გული დღეებს
ამათთვის მაინც:
ფრინველებისთვის და ჩემი შვილებისთვის...

* * *

თუკი ჩაძინებას დავაპირებ,
ჩაიჭერი ხორცი სიტყვებით,
როგორც შოლტებით.
შენა ხარ ჩემი სისხლის მომთვინიერებელი.
ათას ცეცხლოვან რგოლში გაძვრება ასეთი სევდა -
სხვა კონკიასავით ურჩი და დამარცხებული,
რომლის კაბამაც არ ისურვა გადასხვაფერება.
ამომითხარე კეფიდან ვარსკვლავები.
ისინი ხელს მიშლიან თვალების დახრაში.

* * *

რად გვინდა მთის უხმო ყვავილები -
წამები, რომლებიც მოვიდნენ
და აღარ წასულან.
ისინი დაგვიტოვეს, როგორც
მუნჯი მოწყალების დები.
ჩვენ კი წავიდეთ აქედან. ჩავიდეთ ქალაქში.
ექნება იქ ვინმეს თაფლი სამელნეში
და მოგვწერს მშვიდ სიცოცხლეს,
რომელსაც მივიღებთ.



აპრილი



პროზა
ბიბლიოთეკა

მაკა მიქელაძე

# გვირაბი



– მეე ვირტუალურ რეალობაში ვცხოვრობ – ამბობდა განყენებული სახით.

ნია მართლა რეალობის მიღმა ცხოვრობდა. თავისი არსებობა რომელიღაც კომპიუტერულ თამაშს აგონებდა. თამაშის პირველი ნახევარი იტალიური ეზოს კომუნალური ბინის ნესტიან ლაბირინთებში და შუამდე რუხ-მწვანედ შეთითხნილ სკოლის დერეფნებში გარბოდა. მონსტრები მოსდევდნენ: მონსტრი სიღარიბე, მონსტრი უმამობა, მონსტრი ამხანაგები, "იმნაირისშვილად" რომ იხსენიებდნენ, მონსტრი "იმნაირი" დედა და საზარელი მონსტრი, შებოლილი ნეკნებისგან მომზადებული წვნიანის სუნი. ის კი გარბოდა, გარბოდა, გარბოდა და... გაიქცა.

თხუთმეტი წლის იყო, ლაშამ რომ მოიტაცა.

პირველი გვირაბის ბოლოს გაჩირაღდნებული რესტორანი, გაჩახჩახებული ბრილიანტები, აჭახჭახებულ ჭალზე აბუღვრიალებული ბროლის სასმისებმომარჯვებული ხუთასიოდე მოწიწებულ-გაწკიპინებული ფეხზე წამოჭრილი სტუმარი, სამი მანქანის ფასი სადედოფლო კაბა და ბედნიერების ერთადერთი დღე ელოდა.

მეორე გვირაბი უხეში და ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით გაუთავებელი ღამით დაიწყო.

ყველა კომპიუტერულ თამაშში ასეა. გვირაბი, გვირაბი, გვირაბი, ბაქანი, ისევ გვირაბი, გვირაბი, გვირაბი, ბაქანი, გაუხვევ-გამოუხვევ-შეუხვევ-შემოუხვევ-მიუხვევ-მოუხვევ-ჩაუხვევ-ამოუხვევ, გადაუხვევ-გადმოუხვევ სადმე და მაინც დაგხვდება ბაქანი, რომ ამოისუნთქო.

ნიას მხოლოდ გვირაბი ჰქონდა. მწვანე საძინებელი - შავი აბაზანა - ყავისფერი სამზარეულო. მწვანე საძინებელი-ლაშას მანქანა-კაზინო. ან საძინებელი-აბაზანა-სამზარეულო-საძინებელი-ლაშას მანქანა-რესტორანი. ან საძინებელ-აბაზან-სამზარეულ-ლაშას მანქან-სასტუმრო. ან საძინ-აბაზ-სამზარ-ლაშმანქ-ღლეობა-გრძელი სუფრა გრძელ-გრძელი სადღეგრძელოებით უსიმღერო, გაუცინარი და გვირაბივით დამღლელი.

ნიას მხოლოდ ფორმაში ყოფნა ევალებოდა და ისიც იქნიდა და იქნიდა ფრჩხილებს. თავიდან ეგონა, რომ თუ გვირაბის ბოლოს ეიფელის კოშკში ვახშამი ელოდა, ეს ბაქანი იყო, მერე მიხვდა, რომ სულერთია, ლაშას მანქანიდან შეგაყოფინებენ ცხვირს მშობლიურ, გასაცოდავებულ კაზინოში, თუ დაქირავებული ლიმუზინიდან გადმობრძანდებოდი ლასვეგასის ფეშენებელურში. მიხვდა, რომ ლაშას მეგობრების გაუცინარ საზოგადოებაში ერთი გემო ჰქონდა ყველაფერს, უცხოურსაც და ეროვნულსაც, ამიტომ გვირაბები ორ ჯგუფად დაყო - საზღვარიქითური და საზღვარაქეთური. საზღვარიქითურ გვირაბებში მხოლოდ საბავშვო გასართობი პარკები მოსწონდა ამერიკული მთებით და საშიში გამოქვაბულებით. გაიკეთებდა სათვალეს და მიდი... გაუხვევ, გამოუხვევ, ჩაუხვევ, ჩამოუხვევ, მიუხვ-მოუხვევ და ბოლოს სინათლეში გამოდიხარ. იცი, რომ თამაშობ და გიხარია. ლაშამ რატომღაც სწორედ ეს ვერ აიტანა და ნიას მსგავსი გართობა აუკრძალა. ნიას არაფერი უთქვამს. გაახსენდა, როგორ ართმევდნენ და უმტვრევდნენ საყვარელ სათამაშოებს ეზოს ბავშვები.

ერთხანს ისიც ეგონა, რომ თუ გვირაბის ბოლოს თეატრი ან ოპერა ელოდა, ეს ბაქანი იყო. მერე აღმოაჩინა, რომ ცდებოდა, ეს გვირაბის განათებული ნაწილი იყო მხოლოდ. ერთხელ ოპერის ფოიეში დაიკარგა და თავის ლოჟას ველარ მიაგნო. გაუხვია, გამოუხვია, კარი გააღო, უცხო სახეებმა გაკვირვებით გამოხედეს, აირბინა, ჩამოირბინა, კარი გააღო, უცხო სახეებმა შემოუღრინეს. სული შეეხუთა და გაიქცა, ნახევრადჩაბნელებულ ლაბირინთებში გარბოდა კლასიკური მუსიკის თანხლებით. ირბინა, იტრიალა, იწრიალა და ტუალეტის სუნით გაჟღენთილ სარდაფში ამოყო თავი, დაიკივლა. მისი ხმა სოლისტის მეცოსოპრანოს შეერწყა და ვერავის გააგონა, გაოფლილი კიდევ ერთ კარს ეცა და...

- სად ტარამტირიმტარაში ეგდე? - ტკბილი ღიმილით შეეგება ლაშა.

ნიას ხმამაღლა გაეცინა. იმიტომ, რომ ლაშას ნათქვამი კომპიუტერული თამაშის ერთ-ერთი გეიმის დასრულების მაუწყებელ მუსიკად ჩაესმა.

იმ ღამეს პირველად გაარტყეს.

ყველა ქვეგვირაბი საძინებელში თავდებოდა, ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობით გაუთავებელი ღამეებით. ნიას დაძინების ეშინოდა, იმიტომ, რომ ძილში ახალი გვირაბები ელოდნენ, ხან საავადმყოფოს კორიდორები, ხან ძველებური ციხე-სიმაგრის ტალანები, ხან ბეტონის კატაკომბები და ვინ მოთვლის კიდევ რა.

ლაშას ნიას ცემა გაუტკბა და მოუხშირა. მიზეზი არ სჭირდებოდა. პროფილაქტიკურ ღონისძიებად თვლიდა. "აზრზე მოსაყვანად", - ასე ერქვა დაგემოვნებულ ბრაგაბრუგს ნეკნებში. ნიასთვის ესეც სულ ერთი გახდა, ისევე სულ ერთი, როგორც კარგი ჭამასმა, ძვირფასი ნივთები, მაღალი საზოგადოება, გულისგასახეთქი ჩაცმა-დახურვა. პირიქით, თანდათან ხეირიც ნახა ცემაში - ნაცემი ნია მწვანე საძინებელში იჯდა და ფრჩხილებს იქნიდა - ვერც ერთ გვირაბში ველარ მიჰყავდათ თვლებამოლურჯებული და ცხვირდასიებული.

ცემა მხოლოდ აძლიერებდა იმ გაუცხოებას, რომლითაც ლაშას ნია აშინებდა.

- შენი დედის ტრალამტრულამ, ტრილამტრულამ, - წიხლებს ურახუნებდა იატაკზე მოკუნტულს.

- ჩემი დედის ტრალამტრალამ, ტრალამტრულა, - მუსიკასავით ჩაესმოდა ნიას და სადღაც უწონობაში ირწეოდა. ეს არ იყო გვირაბი, ეს იყო რწევა, იმიტომ, რომ გეიმი დამთავრდა, დამთავრდა, ტრალამტრა, ტრულამტრა, ტრალამტრალა.

ლაშა მიხვდა, რომ ცემა არ ჭრიდა. საშობაოდ ნაჩუქარი ახალთახალი მერსედესი ავტომატით დაუცხრილა, ნაჩუქარი ბრილიანტები საყვარელს აჩუქა, სახლში გამოამწყვდია. ნიასთვის სულერთი იყო. უბრალოდ, მისი გვირაბი დაამოკლეს. მწვანე საძინებელი-შავი აბაზანა-ყავისფერი სამზარეულო, მწვანე საძინებელი-შავი აბაზანა-ყავისფერი სამზარეულო.

ერთხელ ჩვეულებრივზე მაგრად ნაჟეჟი ნია სიგარეტის მოსაძებნად სახლის ლაბირინთის სხვა ფლიგელში გაბორიალდა. ლაშას გაავებული ზურგი დაინახა და გაქცევა მოუნდა... რატომღაც ვერ გაინძრა და საშველად ღამის პერანგის ჯიბეებს ჩაებღაუჭა.

- ფაიზალი არაფერი არ უნდა, - ტიროდა კონიაკის სირჩაზე თავჩამხობილი ქმარი.

ნიას ისე გაუკვირდა ლაშას ცრემლი, რომ შეეშინდა.

- არავის აკარებ და რა ქნას, - მოესმა ერთ-ერთი მაზლის ხმა.

- ვინ უნდა მივაკარო, ე, ცოლია! - იარაღისკენ გაექცა ხელი ლაშას.

- იქნებ ბავშვი უნდა? - ცდილობდა გარკვევას მაზლი.

- არ უჩნდება, მაგისი უშვილო... - დამფრთხალმა და დამნაშავე ხმამ კიდევ უფრო შეაშინა ნია. ერთ-ერთი საზარელი გვირაბი გაახსენდა. რიგითი ცემა-ტყეპის შემდეგ აბორტი დასჭირდა და ნარკოზიდან ძლივს გამოცოცდა შუშის ხრაჭუნა, სისხლიანი ხვრელით. გულისრევის შეგრძნება, პირში ლვიძლის გემო, საეულში შუშის სიმყიფე და სულში სიცარიელე გამოიტანა იმ გვირაბიდან. დიდხანს ვერ მოიშორა ეს ხრაჭ-ხრუჭ-ხრაჭ-ხრუჭ-ხრაჭ... კინაღამ ისევ დაიკივლა, მაგრამ მაზლის ხმამ იხსნა.

- შენ თვითონ რა გინდა? - ძმას ეკითხებოდა.

რომ შეძლებოდა, ნამდვილად აკოცებდა შეკითხვის ავტორს.

- როგორ ტო, - გადაირია ლაშა, - მე ხან ქალი მინდა, ხან წამალი, თამაში მევასება, სულ "მოძრაობებში" ვარ... ეგ ვინ არი, ტო?! არაფერი არ უნდა, არაფერი...

- გაეყარე! - ხელი ჩაიქნია მაზლმა.

- ეგრე სად არი, გაეყარე. ჩემი გაზრდილია, მაგისი... რო მოვიყვანე, ბავშვი იყო. ახლა მაღალ ეშელონებში რო გაუშვა, სიტყვა არ შეეშლება. ისე აზრზეა, - ლაშა აშკარად ამაყობდა "გაზრდილით"... მერე რო გავეყარო და სხვას შეეყაროს, - უცებ იფეთქა.

ნიას ისევ შეეშინდა და მწვანე საძინებლისკენ გაიქცა. აბრეშუმის გაყინულ თეთრეულზე დაეცა და ატირდა. რამდენჯერ თხოვა, ჩითის თეთრეული მირჩევნიაო, რამდენჯერ, არა, მაინცდამაინც აბრეშუმის უნდა, მაგისთვის სულერთია, მე მაჟრიალებს თუ არა აბრეშუმის სლიკინზე, - ნია საძულველ ბალიშს უნიათოდ ურტყამდა მუშტებს.

- ვა! ტირი? - შემოესმა ქმრის კმაყოფილი ხმა, - გინდა ტკივილგამაყუჩებლებს მოგცემ? დასაძინებელი გინდა? კი, ჩემი გოგო...

ნია საძილეებს მიეჩვია. ძილში ლამაზი გვირაბები ელოდნენ. ყვავილების მდელო, ბუჩქნარი, ტყე, ისევ ტყე, ტყე, ტყე, კიდევ და კიდევ ტყე და უცებ ზღვა, ან ისევ ყვავილების მდელო, ცისარტყელითურთ. თუ გაღვიძებულს წაასწრებდნენ, ურტყამდნენ, აგინებდნენ და იარაღის მჭიდს უცლიდნენ თავთან. კომპიუტერული თამაში გრძელდებოდა.

ტარამტირიმტირიმტარა, ტირიმტარა, ტირიმტარა, ბახ-ბახ-ბახ და ისევ ტირლამტირლიმტირლიმტარლა, ტრულაილა, ტრალალალა, ბახ-ბახ-ბახ.

ცემა მარტო აყუჩებდა იმ ტკივილს, რომლითაც ნიას ქმარი სტკიოდა.

ლაშა მიხვდა, რომ ნია საბოლოოდ უსხლტებოდა ხელიდან და ტაქტიკა შეცვალა. გაქრა საყვარელი, სამაგიეროდ, გამოჩნდნენ საჩუქრები, ხანდახან ყვავილებიც კი და ნარკოტიკები.

ნარკოტიკი არ იყო გვირაბი, ნარკოტიკი იყო რწევა. ნარკოტიკს ასეთი მუსიკა ახლდა:

ნია-ნია-ნია, ნაუ-ნაუ-ნაუ.

ტკივილი გაქრა. ნია და ლაშა დამეგობრდნენ. გაუთავებელი ღამეები სასიამოვნოდ გაგრძელდა. ნია ახალი მანქანის ტარებას სწავლობდა ლაშას ზედამხედველობით. დიდი ხნის ნანატრი კომპიუტერიც აჩუქეს, პალიტრაც, საღებავებიც, ჩითის და პირსახოცის უკვე სრულიად ზედმეტი თეთრეულიც. ახლა ნიასაც მოსწონდა აბრეშუმზე წოლა, ეჩვენებოდა, რომ თვითონაც აბრეშუმის იყო, ნია-ნია-ნია, ნაუ-ნაუ-ნაუ.

ლაშა ნიას არ აწვალებდა. ყოველთვის დროზე ამარაგებდა "წამლით". ოჯახში სიმშვიდემ დაისადგურა. ის კი არა და, როცა ლაშას სამი თუ ოთხი მეგობარი ერთბაშად წაუვიდა უკეთეს სამყაროში, ნიამ თავზე ხელიც კი გადაუსვა გაუბედავად. ლაშამ ცრემლიანი თვალებით ამოხედა და ნიას გაუკვირდა, რომ ლაშას მადლიერი მზერა ჰქონდა. ლაშასაც გაუკვირდა, რომ ნიამ მისი ცრემლები არ იუცხოვა.

ხანდახან, თამაშის დროს ვერც კი ხვდები, სად არის ბაქანი, სად უნდა შეჩერდე და სად უნდა ამოისუნთქო...

მეგობრების დაკარგვის შემდეგ ლაშამ სმა დაიწყო. უზომოდ, გაუთავებლად, უგემოვნოდ; ცოლი უშეღავათოდ მიივიწყა.

ნიამ ერთი აუტანელი გვირაბიც გაიარა. სამკვირიანი, ტკივილიანი, ლორწოიანი, ნიშადურის სუნიანი და ფეკალური მასების ფერი გვირაბი, რომელშიც შიში ჯერ განგაშად იყო ქცეული, მერე შფოთვად, მერე ტანჯვად, დაბოლოს, სრულებით სულერთიად, სავსებით სულერთიად, ერთიანად სულერთიად, სულერთიანად სულერთიად, გვირაბი ძალიან მოკლე იყო - მწვანე საძინებელი-შავი აბაზანა-მწვანე საძინებელი-შავი აბაზანა, საძინებელი-აბაზანა, საძინ-აბაზ... ნიას არ ეგონა, თუ გამოძვრებოდა.

ლაშა ჯერ ავი კმაყოფილებით აკვირდებოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

აქ იდგა ქარი ეკლესიასთან
მარადიული სველი ღაწვივით
და ელვრებოდა თხემებს სინათლე,
ურცესი ჰქონდათ ქარებს მანძილი.
სინათლეში კი სჭვიოდა ცრემლი
ვიღაც უბრალო ადამიანის,
სადაც თავდება პატარა სერი,
სადაც ღრუბლებმა გადაიარეს.

## სხვაგან

მე ვერ დაგინახავ, რადგან შენ სხვაგან ხარ,
მე კი სხვა სივრცეში ვიყურები,
როგორც უსინათლო.
და ჩემს ირგვლივ ვერაფერს ვერ ვხედავ.
მე ვერ დაგინახავ,
ამ ნერვიული სიგნალებით სავსე ქუჩებში,
ჩიხებში და გასასვლელებში.
მე არ ვეკუთვნი თვითონ ჩემს თავს,
მე სხვა ვარ და
ჩემი თავი კი სულ სხვა არის,
ის როცა მიდის, ვთქვათ, პროსპექტზე,
მე სხვაგან ვარ,
და რა საშინელებაა, ღმერთო ჩემო,
თუმც კი მრცხვენია,
უნდა დავჯდე ქვაფენილზე გარიყულივით
და ჩემი თავი ჩავაბრუნო
ჩემსავე თავში,
რომ არ დავკარგოთ ერთმანეთი
და ყველაფერი,
ამ ნერვიული სიგნალებით სავსე ქუჩებში...
*1989 წ.*

* * *

ადამიანი დაეძებს ადგილს,
ადამიანი ადგილს ვერ აგნებს,
და ღამის სხივი ამკობს მადლივით
სამყაროს შიგნით დამწყვდეულ საგნებს.
ხოლო გარეთ კი ქარია, ქარი
და ვარსკვლავები ავსებს კუნჭულებს,
ბინებში უკვე ჩააქრეს კვარი
და უკვე სძინავთ თვალდახუჭულებს.
მაგრამ სულ ახლოს იღვიძებს ბავშვი
და ტირის, ტირის, ტირის, ქვითინებს,
რომ დაარბიოს საგნები სახლში
და გაათენოს ღამე რითიმე.

* * *

იქნებ ცხოვრება გამოდგეს ნავსი,
იქნებ ცხოვრება მოკლე ღვედია,
ორი ნიჩაბი ქანაობს ნავზე,
მაგრამ ორივეს ერთი ხვედრი აქვს.
ნახე, სიცოცხლე ხელებში მითრთის,
მარტო ვარ, როგორც ზღვაში ნარვალი,
სახეზე ჩუმად გადამდის ფითრი,
მე ვიცი რატომ და სხვამ არავინ.
მთვარე მინათებს კეფას და კბილებს,
თმებსა და წარბებს, ზურგსა და ბეჭებს,
სინათლეს ესვრის ჩამტვრეულ კიბეს
და ზედვე ჩარხავს ვერცხლიან ბეჭედს.
ნახე, სიცოცხლე ხელებში მითრთის,
მანამ ითრთოლებს, ვიდრე ვანთივარ,
ვიდრე სახეზე გადამდის ფითრი
და ვგევარ მთვარის მთრთოლავ ათინათს.

## ეგზოტიკური ქალიშვილი

აი, ის ქალიშვილიც
ეგზოტიკური სახით
და საშინელი, სველი თვალებით,
მე მივმართავ:
„ვხედავ შენს თვალებში
მწუხარე ვნებას,
ტყიური ცხოველივით ნაღვლიან
სახეს...
ეს სახე კი არ არის,
მწუხარებაა სხეულის გამო...
საწყალო, შენი ვნებები
ფოთლებივით დაგცვენია
შენსავე გრძელ მცივან ტერფებთან.
ამნაირი შეგქმნა განგებამ".
*1987 წ.*

## მიძღვნა

შენი ნაოჭები წვიმიან ქუჩაში,
გუბეებში ირეკლება.
და მთელი ქვეყანა ნაოჭებია
წყალში მთრთოლვარე,
ჩემი თვალებიც და სახეც იქ არის,
ჩვენ იქ ერთად ვართ,
გუბე ქანაობს და ვცახცახებთ
სააქაოში...
*1986 წ.*

* * *

არ დაგავიწყდე, კედელს ეხვევა
ჭიის ფეხები და საცეცები,
არ გადამაგდო. მესმის შეხება,
ვგრძნობ სუნს და როცა ვდგები, ვეცემი.
დროს ვხედავ, შავი ჩრდილის არეში
მე მოგიგონე. თვითონ ვიზრუნე.
მე მოგიგონე. მთვრალს და გალეშილს
მაკრთობდა მთვარის დიდი სისრულე.
მე მცივა. ვყვირი. ღამეებს ვარღვევ.
მერე ვიძინებ, როგორც ცხოველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადღაც დაცურავს დაღლილი ალღო,
შენ იმის იქით მეუცხოვები.

*1985 წ.*

* * *

ქვეყნიერებას ატყვია ბზარი,
რადგან ვიღაცას გაუტყდა რწმენა,
მე კი ესლა ვარ... ხორცი და ძვალი
და ძველი მიწის ბრტყელ ზურგზე ვწევარ.

ძალა მეცლება და სუნთქვა მეკვრის,
როცა ვარსკვლავი გადადის გზიდან,
მიწას ვეხები შიშველი ნეკნით
და ჩემი ტანი ქარივით ბზინავს.

*1985 წ.*

* * *

შენ გამოქსოვე ჩემი სხეული,
ქარის საცემად და საწვიმარად,
თვალში ჩამიდგა ნათლის ხვეული -
ჩაბრუნდა გვამში და აწრიალდა.
შენ დააჯახე ჩემს ყრუ საფეთქლებს
ხეები - ღამის შემომხვევლები,
ხედვა გარანდე, კეფა დაფერდე
და შეუწონე სივრცეს ხელები.
თიხის დოქივით ამოყვანილი,
ჩემში ვიკავებ მრუდე წყვდიადებს,
ღამდება. ქარში ვწევარ წყალივით,
ვირეკლავ ქარებს, ქარი მიმათრევს.
მე სივრცეს ვავსებ, როგორც ეკალი,
მე სივრცის წყლულით ამოვწყლიანდი,
ქვაფენილივით ხის ამრეკლავი,
ნელა ვივსები მძალე წყვდიადით.

*1985 წ.*

არილი



## ჰაინრიხ ბიოლი

# ჩემი ნაღვლიანი სახე



ნავსადგურთან ვიდექი და თოლიებს გავყურებდი; ჩემი ნაღვლიანი სახე თვალში ეცა ერთ პოლიციელს, რომელიც, ეტყობა, უბანში შემოვლაზე ბრძანდებოდა. მე მზერაგაშტერებული ავყურებდი მოლივლივე ჩიტებს, ხან ცაში რომ აიჭრებოდნენ, ხან კი ისარივით დაეშვებოდნენ ნადავლს დახარბებულები. ნავსადგური უკაცრიელი იყო: მომწვანო, ჭუჭყიან, მაზუთით მოზიმზიმე წყლის თავზე ათასნაირი ნაყარნუყარი ტივტივებდა; გემები არ ჩანდა, ამწეები დაჟანგულიყო, საწყობებს კედლები ჩამორღვეოდა. ეტყობა, სანაპიროს შავ ნანგრევებში ვირთხებიც კი აღარ ბუდობდნენ. როგორც ჩანდა, მრავალი წლის წინათ გაწყვეტილიყო გარესამყაროსთან ყოველგვარი კავშირი.

თვალი ერთ თოლიას დავადგი და მის ფრენას ვაკვირდებოდი. წყლის ზედაპირთან ახლოს დაბორიალებდა მერცხალივით, გაავდრებას ალღოთი რომ გრძნობს; თოლია მხოლოდ ზოგჯერ ბედავდა ზევით ჭყივილით აფრენას მეგობრებთან შესაერთებლად. სურვილის სიტყვიერად გამოხატვა რომ შემძლებოდა, ყველაზე მეტად თოლიებისთვის, ალბათ პურს ვინატრებდი, დავფხვნიდი და ფრინველთა უაზრო მოძრაობას სამიზნე წერტილს დავუსვამდი, მისამართს გავუჩენდი. პურის ნატეხი ბოლოს მოუღებდა აჭყივლებული თოლიების უთავბოლო სრბოლას; მე კი თითქოს მათზე გამობმულ უხილავ თასმებს ჩემსკენ მოვქაჩავდი, თოლიები პურისკენ გამოეშურებოდნენ და მათ ამ უმიზნო ფარფატს გავაერთიანებდი, მაგრამ რა? მეც მათსავით მშიერი ვიყავი, დაღლილი, თუმცა კი ბედნიერი, ჩემი ნაღვლიანობის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხედავად, რადგან კარგი იყო აქ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დგომა, თოლიების ცქერა და საკუთარ ნაღველში ჩაძირვა.

უცებ, მხარზე ოფიციალური პირის ხელი დაეშვა. ვიღაცის ხმამ მითხრა: "წამობრძანდით!" - თან ცდილობდა, მხრებში ჩამბღაუჭებოდა და უხეშად შემოვებრუნებინე. მე შევყოვნდი, ხელი მოვიცილე და მშვიდად ვუთხარი:

- თქვენ გიჟი ხართ!

- ამხანაგო, - მითხრა ჯერ კიდევ უჩინარმა, - მე გაფრთხილებთ!

- ბატონო ჩემო... - მივუგე.

- ბატონები აღარ არსებობენ, - წამოიძახა გაბრაზებით, - ჩვენ ყველანი ამხანაგები ვართ.

შემდეგ უფრო მომიახლოვდა, გვერდიდან ამომხედა, იძულებული გავხდი, თოლიებისთვის მომეწყვიტა ბედნიერი მზერა და მისთვის ჩამეხედა ყოჩაღ თვალებში: კამეჩივით სერიოზული ჩანდა, ჯიუტი, მოვალეობის მეტი წლების განმავლობაში არაფერი გაეგებოდა.

- რა მიზეზით... - მინდოდა დამეწყო.

- მიზეზი საკმარისია, - მითხრა, - თქვენი ნაღვლიანი სახე.

გამეცინა.

- ნუ იცინით! - მართლა გაბრაზდა. თავიდან ვიფიქრე, ალბათ მოწყენილობისაგან ჩამაჭინდა-მეთქი, რადგან ირგვლივ დასაჭერი და კანონდარმღვევი არავინ ჩანდა: არც არარეგისტრირებული მეძავი, არც გამობრუჟული მეზღვაური და არც ქურდი ან ციხიდან გამოპარული პატიმარი. მაგრამ ახლა ვხედავდი, რომ საქმე არც ისე სასაცილოდ მქონდა: მართლა დაპატიმრებას მიპირებდა.

- წამომყევით!

- კი მაგრამ, რატომ?! - ვკითხე მშვიდად.

სანამ აზრზე მოვიდოდი, მარცხენა მაჯაზე წვრილი ჯაჭვი შემომახვია და მივხვდი, ჩემი საქმე უკვე წასული იყო. უკანასკნელად გავხედე მოფარფატე თოლიებს, თვალი მოვავლე მშვენიერ რუხ ცას და უცებ წყალში გადასახტომად გავიწიე, რადგან მეჩვენა, ამ ბლანტ, ჭუჭყიან წყალში ჯობდა დამეხრჩო თავი, ვიდრე ვიღაც სერჟანტს სადმე მივეძალღლებინე, ან ისევ სატუსაღოში ჩავეგდე. მაგრამ პოლიციელმა ისე მაგრად მომქაჩა, რომ თავი ველარ დავიძვრინე.

- რატომ! - კიდევ ერთხელ ვკითხე.

- არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც ვალდებული ხართ, რომ ბედნიერი იყოთ.

- მე ბედნიერი ვარ! - წამოვიძახე.

- მაგრამ თქვენი ნაღვლიანი სახე... - გადააქნია თავი.

- მერედა ეს კანონი ხომ სულ ახალია, - ვცადე შეპასუხება.

- ოცდათექვსმეტი საათისაა და ალბათ იცით, რომ ყოველი კანონი ძალაში შედის გამოცხადებიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ.

- მაგრამ ამ კანონის შესახებ ჯერ არაფერი გამიგია.

- სასჯელისაგან ეს ვერ დაგიცავთ. გუშინწინ გამოაცხადეს რეპროდუქტორებით, ყველა გაზეთში გამოქვეყნდა ინფორმაცია და ისეთებს, - ამ სიტყვებზე აგდებით გადმომხედა, - ისეთებს, რომლებიც ყურს არ უგდებენ რადიოს და არც განცხადებებს კითხულობენ პრესაში, რაიხის ქუჩებში ჩამოყრილი პროკლამაციებით გააგებინეს. მაშასადამე, უკვე ნათელია ამხანაგო, თუ სად გაატარეთ ბოლო ოცდაოთხი საათი!

წამათრია. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, რომ ციოდა - მე კი პალტო არ მეცვა; მხოლოდ ახლა შემაწუხა ნამდვილმა შიმშილმა და კუჭი ამიწრიალდა; ახლაღა მივხვდი, რომ დაუბანელი ვიყავი, გაუპარსავი, ჩამობრეძილი, და რომ არსებობდა კანონი, რომლის თანახმადაც, ყველა ამხანაგი უნდა ყოფილიყო სუფთა, გაპარსული, ბედნიერი და მაძღარი. მან იმ საფრთხობელასავით გამიგდო წინ,



ქურდობაზე რომ წაასწრეს და თავისი ოცნებებისა და ფიქრების ადგილი - მინდვრისპირი დაატოვებინეს. ქუჩები ცარიელი იყო; პოლიციის განყოფილებამდე არც ისე შორი გზა გვედო. თუმცა ვიცოდი, დასაპატიმრებელ მიზეზს ისინი შემდეგშიც გამომიძებნიდნენ, მაგრამ გული მაინც დამიმძიმდა, როცა პოლიციელმა მომატარა ჩემი სიჭაბუკისდროინდელი ადგილები, რომელთა მონახულებასაც თავად ვაპირებდი ნავსადგურის შემდეგ: ერთ დროს ლამაზი, მაგრამ მოუვლელი, ბუჩქნარიანი ბაღები, ბალახით დაფარული გზები, ახლა ისევ დაგეგმილ-მოწესრიგებული, დასუფთავებული და უჯრედებად დაყოფილი იყო სამამულო ჯარის ნაწილებისათვის, რომლებიც აქ ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და შაბათობით საშწყობრო სიარულში ვარჯიშობდნენ.

მხოლოდ ცა და ჰაერი იყო იმდროინდელი, როცა გული ოცნებებით მევსებოდა. გზაში, აქა-იქ, ზოგიერთ ყაზარმის ტიპის საროსკიპოს სახელმწიფო ნიშანი გამოეფინა იმათთვის, ვისაც ოთხშაბათობით უწევდა რიგი ჰიგიენურ სიხარულთან ზიარებისა. ეტყობა, ზოგიერთ ლუდხანასაც დაავალეს დასალევის აღმნიშვნელი სიმბოლოს - თუნუქის ლუდის კათხის გამოკიდება რაიხის ფერებში - ღია და მუქ ხაკისფერ ზოლებში. ცხადია, სიხარულით აევსებოდათ გული მათ, ვინც ოთხშაბათის მსმელთა სახელმწიფო სიაში შეიყვანეს და ამ დღეს მოუწევდათ ლუდის დალევა. ყველას, ვინც ქუჩებში გვხვდებოდა, სახეზე აშკარად გადამეტებული დონით აეფარებინა მუყაითობისა და გულმოდგინების უტყუარი იერი, რაც, ალბათ, პოლიციელის გამოჩენით იყო გამოწვეული. ყველა ნაბიჯს უჩქარებდა და მოვალეობით აღსავსე გამომეტყველებას იღებდა; ქალები კი, რომლებიც მაღაზიებიდან გამოდიოდნენ, ცდილობდნენ, სახეზე იმდენი სიხარული აღებეჭდათ, რამდენსაც მათგან ითხოვდნენ. ზედმეტი სიხარულის გამომჟღავნებაც, შეიძლება, ირონიად და დაცინვად ჩაეთვალათ დიასახლისის მოვალეობების მიმართ, რომელიც საღამოობით სახელმწიფო დაწესებულების მუშაკს კარგი ვახშმით უნდა გამასპინძლებოდა. ეგ იყო, ყველა მოხერხებულად გვიქცევდა გვერდს, რომ პირისპირ არ შეგვეფეთებოდა. თუკი ქუჩაში სადმე სიცოცხლის ნიშან-წყალი ჩანდა, ჩვენამდე ოც ნაბიჯში უკვე ქრებოდა. ყველა ცდილობდა, ჩქარა შესულიყო მაღაზიაში ან გვერდზე გადაეხვია, ზოგი ალბათ უცხო სახლსაც არ ერიდებოდა და შიშით იცდიდა კარს უკან, სანამ ჩვენი ნაბიჯების ხმა მიწყდებოდა.

მხოლოდ ერთხელ, როცა გზაჯვარედინს მივუახლოვდით, შემოგვხვდა ხნიერი კაცი, რომელშიც მაშინვე შევიცანი სკოლის პედაგოგი; ის გვერდს ველარ აგვივლიდა და მას შედეგ, რაც დებულების თანახმად, პოლიციელს მიესალმა, სრული მორჩილების ნიშნად თვითონ დაირტყა თავზე სამჯერ ხელისგული, სცადა შეესრულებინა საკუთარი მოვალეობა - ანუ სამჯერ შემაფურთხა სახეში და შემამკო აუცილებელი შეძახილით: "მოღალატე ღორო!" კარგად დამიმიზნა, მაგრამ ცხელი დღე იყო, ეტყობა ყელი გაუშრა, რადგან მხოლოდ რამდენიმე წყალწყალა შხეფი მომწვდა, რისი მოწმენდაც - დებულების დარღვევით - უნებურად ვცადე სახელოთი; ამის გამო პოლიციელმა პანღური ამომარტყა და მუშტიც მომაყოლა ზურგში, თან მშვიდი ხმით დაამატა:

- პირველი საფეხური! - რაც იმას ნიშნავდა, რომ შე-

ეძლო ესარგებლა პოლიციელის უფლებით და გამოეყენებინა დასჯის პირველი მსუბუქი ფორმა. სკოლის პედაგოგი ჩქარა გაგვეცალა. ისე კი ყველა ახერხებდა ჩვენთვის გზის აქცევას. მხოლოდ ერთმა ქალმა, რომელიც დადგენილების მიხედვით საღამოს ტკბობამდე, ყაზარმის ტიპის საროსკიპოსთან სუფთა ჰაერზე გრილდებოდა, ფერმკრთალმა, ფუმფულა, ქერა ქალმა ნაჩქარევად გამომიგზავნა ჰაეროვანი კოცნა, მეც მადლიერად გავუღიმე. პოლიციელმა თავი მოიკატუნა, ვითომ ვერაფერი შევნიშნეო: მათი მოვალეობაც კი იყო, ასეთი ქალებისთვის თავისუფლად ქცევის უფლება მიეცათ, მაშინ, როცა ყველა სხვა ამხანაგს მსგავსი საქციელისთვის, უეჭველად მძიმე სასჯელს აჰკიდებდნენ; ამ ქალებს დიდი წვლილი შეჰქონდათ ხალისიანი შრომითი განწყობილების შექმნაში, ამიტომ მათ თითქმის ხელშეუხებლად თვლიდნენ. ეს იყო დათმობა, რომლის მნიშვნელობა სახელმწიფო ფილოსოფოსმა, დოქტ. დოქტ. დოქტ. ბლაიგოთმა სახელმწიფო ფილოსოფიურ ჟურნალში ლიბერალიზაციის ნიშნად მონათლა. ეს გზაში, დედაქალაქში წამოსვლამდე ერთი დღით ადრე წავიკითხე, ვიღაც გლეხის ეზოში, საპირფარეშოში ვიპოვე ჟურნალის რამდენიმე გვერდი, რომელიც ერთ სტუდენტს - ალბათ გლეხის ვაჟს - ენაკვიმატი მინაწერებით აეჭრელებინა.

საბედნიეროდ, მივაღწიეთ განყოფილებამდე და გაისმა კიდეც სირენების ხმა, რაც ნიშნავდა, რომ ქუჩები აივსებოდა ათასობით ადამიანით, ზომიერი ბედნიერების გამომხატველი სახეებით, რადგან ნაბრძანები იყო, სამუშაოს დამთავრების ძალიან დიდი სიხარული არ გამოემჟღავნებინათ, ემანდ ვინმეს არ ეფიქრა, მუშაობა მძიმე ტვირთად აწევთო; სამაგიეროდ, სამსახურის დაწყების წინ, საყოველთაო აღტაცება და სიხარული უნდა გაბატონებულიყო.

ახლა კი ათასობით ადამიანს ჩემთვის უნდა ჩაეფურთხებინა სახეში. ყოველ შემთხვევაში, სირენის ხმა ნიშნავდა, რომ სამუშაოს დამთავრებამდე ათი წუთიღა რჩებოდა, სახელმწიფოს იმდროინდელი მეთაურის ლოზუნგის თანახმად ყველა ვალდებული იყო, ბოლო ათი წუთი საფუძვლიანი დაბანისათვის დაეთმო - ბედნიერება და საპონი!

ამ უბნის პოლიციის განყოფილების ბეტონის ერთადერთი უბრალო შენობის კარებს ორი ჯარისკაცი იცავდა, რომელთაც ჩემთვის, როცა ჩავივლიდი, ჩვეულებრივი, "დამსჯელი ფიზიკური ღონისძიება" უნდა ჩაეტარებინათ: მათაც მაგრად ჩამცხეს საფეთქელში მუშტები და ბარძაყში მხეთქეს პისტოლეტების ლულები, სახელმწიფო კანონის (1) პრეამბულის თანახმად: "ყოველი პოლიციელი ვალდებულია ყოველ აყვანილს (იგულისხმება დაპატიმრებული) დაუმტკიცოს საკუთარი ძალაუფლება, გარდა ამყვანი პოლიციელისა, რადგან მას წილად ერგო ბედნიერება, დაკითხვისას ჩაატაროს აუცილებელი ფიზიკური დამსჯელი ღონისძიება". თვით სახელმწიფო კანონი N1 კი ასე ჟღერდა: "ყოველ პოლიციელს შეუძლია და უნდა დასაჯოს ის, ვინც ჩაიდინა რაიმე დანაშაული. არც ერთი ამხანაგი არ თავისუფლდება სასჯელისაგან, თუმცა არსებობს ამნისტიის შესაძლებლობა". ჩვენ გავიარეთ გრძელი ცარიელი დერეფანი, რომელსაც დიდი ფანჯარა ჰქონდა; შემდეგ ავტომატურად გაიღო კარი, ეტყობა, ამასობაში გუშაგებმა რაციით უპატაკეს ჩვენი მოსვლის შესახებ, და იმ დღეებში, როცა ყველა ბედნიერი იყო, ყოჩაღი და მოწესრიგებული, თითოეული ცდილობდა, ხეხვა-დაბანაში დაეხარჯა დღიურად მისთვის გამოყოფილი საპნის წილი, დაპატიმრებულის მიყვანა ნამდვილი მოვლენა იყო.

შევედით თითქმის ცარიელ ოთახში, სადაც იდგა მხოლოდ საწერი მაგიდა ტელეფონით და ორი სავარძელი. მე შუა ოთახში დამაყუდეს; პოლიციელმა ჩაფხუტი მოიხადა და დაჯდა. ჯერ ხმას არავინ იღებდა, არაფერი ხდებოდა; ისინი ყოველთვის ასე იქცევიან; ეს ყველაზე საშინელია; ვგრძნობდი, თანდათან როგორ ჩამიცვივდა ლოყები, დაღლილი ვიყავი და მშიერი, იმ ნაღვლიანი ბედნიერების უკანასკნელი კვალიც კი გამიქრა, რადგან ვიცოდი, ჩემი საქმე წასული იყო.

რამდენიმე წამის შემდეგ უსიტყვოდ შემოვიდა უფერული აყლაყუდა კაცი, ხაკისფორმიანი უფროსი დამკითხველი; ის უხმოდ დაჯდა და შემომხედა.

- პროფესია!
- უბრალოდ, ამხანაგი.
- დაბადების თარიღი!
- პირველი, პირველი, ცხრაასერთი, - ვთქვი.
- ბოლო საქმიანობა!
- პატიმარი.

ორივემ ერთმანეთს გადახედა.

- როდის და სად გათავისუფლდი?
- გუშინ, სახლი N12, საკანი 13.
- სად გაგიშვეს?
- დედაქალაქში.
- მოწმობა!

ჯიბიდან გათავისუფლების მოწმობა ამოვიღე და მივაწოდე. მან ის მიამაგრა მწვანე ბარათზე, რომელზეც დაიწყო ჩემი მონაცემების ჩამოწერა.

- მაშინდელი ბრალდება!
- ბედნიერი სახე.

ერთმანეთს გადახედეს.

- აგვიხსენით, - მითხრა უფროსმა.
- მაშინ, - ვუთხარი, - ერთ პოლიციელს თვალში ეცა ჩემი ბედნიერი სახე, იმ დღეს, როცა ნაბრძანები იყო საყოველთაო გლოვა - შეფის გარდაცვალების დღეს.
- სასჯელის ხანგრძლივობა!
- ხუთი.
- როგორ იქცეოდით?
- ცუდად.
- მიზეზი?
- არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.
- მორჩა!

შემდეგ უფროსი დამკითხველი ადგა, ჩემსკენ წამოვიდა და სამი წინა კბილი ჩამიმტვრია: ეს იყო ნიშანი იმისა, რომ რეციდივისტს იარლიყი უნდა მოეკრათ, გამკაცრებული ზომა, რასაც არ ველოდი. შემდეგ უფროსმა დამკითხველმა ოთახი დატოვა, შემოვიდა მსუქანი ყმაწვილი მუქ ხაკისფერ ფორმაში: ყველამ ცემა დამიწყო: დამკითხველმა, მთავარმა დამკითხველმა, დამკითხველის უფროსმა, ბრალმდებელმა და განაჩენის გამომტანმა. ამას გარდა, ამყვანმა პოლიციელმა ჩამიტარა ყველა დამსჯელი ღონისძიება, რასაც კანონი ითვალისწინებდა... და მათ მომისაჯეს ათი წელი ჩემი ნაღვლიანი სახის გამო. ახლა კი უნდა ვეცადო, საერთოდ აღარ მქონდეს სახე, თუ გავუძლებ ათი წელი ამ საყოველთაო ბედნიერებისა და საპნის ხანას...

გერმანულიდან თარგმნა
რუსუდან შამილაშვილ-ზუქალაშვილმა



დავით ქართველიშვილი

# შრომანი

## ფრაგმენტი რომანიდან



### თავი მესამე

მოდი და ვნახოთ სასტუმრო "ვერა". მოქანდაკე იაკობის ცნობილ ქუჩაზე. გზა სააქაო ორია; ფიქრის გორიდან. საცა ცხოვრობს კოტიკო და სოფიკო - ბატონ-ქალბატონი და პეტრე-პირველი რექტორის ფართო ქუჩიდან, საცა განთავსდების საყომარბაზო-საქართველო (3-ჯერ). სასტუმრო "ვერა" დილით შებინდებამდის არის ლამაზი. ხოლო ბინდბუნდში გაბრწყინება სჩვევია ჰო, სასტუმრო "ვერა" მრავალეტაჟიანია. არს.

ივანიჩი მუდამ ღამე მოდიოდა აქ.

შვეიცარმა კარი გამოაღო.

- გამარჯობათ ბატონო ნუგზარ, მობრძანდით.

ივანიჩმა თავი დაუქნია და მიბრძანდა.

ვესტიბულში - დიდი იყო, მარმარილოს იატაკით - ხალხი ირეოდა. ივანიჩი ადმინისტრატორთან მივიდა.

- გამარჯობათ ბატონო ნუგზარ, რით გემსახუროთ - ადმინისტრატორმა გოგონამ გაიღიმა, კაი დაყენებული ღიმილით გაიღიმა.

ივანიჩს კი თავისი ამბავი ჰქონდა.

- გამარჯობათ - ადმინისტრატორის გულისფიცარზედ შებმულ აბრას შეხედა - სალომე. მის დორბლანი აქ არის?

ორივემ იცოდა აქ რო იყო, მაგრამ ეტიკეტი არ დაირღვევის, როგორც მთის წესი და ბარის კონსტიტუცია.

- გახლავთ.

- მაშინ, მე ავალ - ივანიჩმა კვლავ შეხედა აბრას - სალომე, ნახვამდის.

- ნახვამდის.

ივანიჩმა ლიფტი გამოიძახა. ფიქრობდა; ივანიჩს არ მოსწონდა ეს ახლებური წესი. სისულელედ სთვლიდა, პერსონალის გულიფიცარზე აბრის შებმას. ძველი დრო სჯობდა. ერთი საათიც კი შემოხარჯვია ივანიჩს ადმინისტრატორის სახელის გაგებაში. არა, ის დრო სჯობდა, ძველი. სახელის გაგებით იწყებოდა შემდეგ კარგად მოსაგონარი ამბები. ეხლა კი, ფუ! ბარემ ფასიც მიუთითონ. დედა მოვტყან!

ივანიჩი კაბინაში შევიდა. იქ ლიფტიორი დახვდა. ივანიჩმა ამოიოხრა. არ მოსწონდა ეს ახლებური სერვისი. დედა მოვტყან!

ხოლო ადმინისტრატორმა მის დორბლანთან დარეკა:

- მის, ბატონი ნუგზარი მოდის.

- გმადლობთ.

- არაფერს მის, - ადმინისტრატორმა ყურმილი დადო. ღმერთო ჩემო, როგორი ლამაზია, თანაც ჭალარაა. მიყვარს ჭალარა კაცები. ღმერთო ჩემო, რამდენი ფული აქვს. სულ მწვანე, მწვანე დოლარები. აი, ნამდვილი მამაკაცი.

ივანიჩს გულისხმობდა რათქმაუნდა.

მის დორბლანმა კარი მიკეტა. ვარდისფერი, გრძელი პერანგი ეცვა. უხდებოდა.

- როგორა ხარ კაცო?

- ნელ-ნელა, ცოტა დაღლილი ქალო.

კაცო-ქალოთი მიმართვა ჟიულიმ მოიგონა - ინტიმურიაო. ედემურიაო.

- ქალო რას შვებოდი?

- ფეხებს ვიპარსავდი კაცო.

- ფუ - კაცი დაიღრიჯა.

- როგორ, გაუპარსავი ფეხები ჯობია, მიპასუხე კაცო!

- არა, - კაცმა თავი გააქნია.

- მისმინე კაცო, მე პარსვას დავამთავრებ, შენ კი მანამდის გაერთე, სოკერი ჩაგირთო?

- მიდი ქალო საქმეს მიხედე.

ქალი აბაზანაში შევიდა.

კაცი დაჯდა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, ხოლო კოლოფი ვაჟკაცურის წესით მაგიდაზე დააგდო და გაიტრუნა. ქალი მღეროდა რაღაც მშობლიურს.

კაცმა გაიღიმა: სმენა მაინც ჰქონდეს ამ ჩემისას.

კაცი ადგა, ბოლთის ცემა იწყო, ვერ იყო გულდინჯად. ჩქარა გამოვიდეს რა!

ფანჯარასთან მივიდა. ფარდა გასწია. ღამეა. კაცი არც ვარსკვლავთმრიცხველი იყო - პირიქით, დღემდის გაურბოდა ამ საქმეს, რადგან ახსოვდა ბებიის შეგონება: ვარსკვლავების თვლა ცუდია, მეჭეჭები იცის - და არც გზააბნეული ყარიბი, ცასთან არაფერი ესაქმებოდა. ქვევით ჰქონდა ამბავი. დაიხედა: მანქანა ადგილზე დახვდა, პატიოსნად იდგა.

ქალი გამოვიდა.

- უშნო ვარ, უშნო, ფეხები დავისერე, გესმის კაცო.

კაცი მოტრიალდა.

- მანახე აბა ქალო.

ქალმა პერანგი აიწია.

- ხედავ კაცო?

კაცი ჩაცუცქდა. ფეხები დაუკოცნა.

- სოხუმური ამბები გაინტერესებს თუ ჯერ...

- გარყვნილო, სოხუმური ამბები მერე, ჯერ...

- სისხლიანი სიყვარული გვაქვს - სთქვა კაცმა და ენა ტუჩებზე მოისვა.

* * *

სანდრიკა გაოცდა. პირიც კი დააღო, თვალებიც კი გადმოკარკლა.

- რა უქენი გოგო თმას?

- შავად გადავიღებე, არ მოგწონს? - ვერიკო სანდრიკას მიაჩერდა, ვაიი - ისევ კაიფში ხარ ხომ?! კარგი რა. სანდრიკო, შენი თავი და ვენები ფეხზე გკიდია, მაგრამ მე ხომ უნდა გეცოდებოდე, ჩემზე ხომ უნდა იფიქრო?!

სანდრიკამ ცხვირი მოიზილა.

- ნუ პანიკობ რა, და საერთოდ შემოდი და კარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხურე, უბერავს.

ამბავი ზემო ბახტრიონზე ხდება. იქ გრილი ზაფხული იცის.

ზალაში შევიდნენ. სანდრიკა სკამზე მოჯდა.

- ვერიკო მიდი რა ჩაი მომიდუღე!

ვერიკომ ჩანთა დადო და სამზარეულოში გავიდა. გაიმართა მოკლე გადაძახილი.

- შაქარი რამდენი?

- არცერთი.

სანდრიკამ სიგარეტს მოუკიდა. თვალები ელულებოდა. ყვინავდა. საუკუნე გავიდა რა კოკნარით აღარ უსიამოვნია. ბოლოდროს სუ შავი და ჰეროინი იჩითებოდა. დღეს კი კოკნარი გამოტყვრა, კაი ხნის უნახავი მეგობარივით მოულოდნელად. ბანია გააკეთეს. ეს კალა რა მაგარი ვინმე ყოფილა ტო, იმინა ჯადობაზია.

ვერიკო მობრუნდა.

- აჰა, ჩახეთქე - ცხვირწინ დაუდო ფინჯანი.

სანდრიკას უყვარდა განაკეთებზე ჩაის სმა. სული შეუბერა ერთხელ, მეორედ ორთქლადენილ ჩაის და მოსვა.

- გაასწორააა - ნეტარმა სანდრიკამ კვლავ დაყვინა.

ვერიკო გამოცდილი გოგო იყო. მოკაიფეთა ამბები კარგად მოეხსენებოდა. ჰოდა, ამიტომაც მშვიდად უყურებდა სანდრიკას. უბრალოდ გულდაწყვეტილი იყო.

ადგა, ტელევიზორი ჩართო, ხოლო იქ ისეთი ნახა რო, აყვირდა.

- სანდრიკო, სანდრიკო შეხედე.

სანდრიკამ ზანტად ასწია თავი.

- ვა, დავითა ტო, ქართველიშვილი, სამშობლოზე ბაზრობს არა?! ეგ მე მგონი, კეგებეშნიკია, მესამეჯერ ვხედავ ტელევიზორში უკვე.

- მოთხრობებს წერს ხო იცი?!

- ბებიამაგისამ ეგეც გოგოლი არ იყოს.

- დავითას გაუმარჯოსო, შენ არ ამბობდი ამასწინ, მაგარიაო.

- აუ, შენ ვინა ხარ ტო, წადი რა თმა გადაიღებე, ყვავს გავხარ.

- რა ლაპარაკია ეგ სანდრიკო.

- კაი ხო, დავითას გაუმარჯოს - სანდრიკამ ჩაი მოსვა.

- გახსოვს როგორ ვუყვარდი? მაშინ ბავშვები ვიყავით. მე კი შენ აგირჩიე.

- აუ, ეხლა ეგ დამამადლე რა, თუ ნანობ მიდი და გაყევი და წერეთ და იკითხეთ ერთად.

- სანდრიკო ნუ ბრაზობ!

სანდრიკამ ჩაი მოხვრიპა.

- სახლში აღარ მიდიხარ?

ვერიკომ თვალები მოჭუტა.

- ელოდები ვინმეს?

- აუ, დაიწყე ეხლა, გასასვლელი ვარ.

- სანდრიკო იცი ამ ბოლო დროს უხეში გახდი.

- წადი რა, ან გაჩუმდი, ნუ მგრუზავ.

- სანდრიკო მოდი საქმიანად ვილაპარკოთ.

- მოდი.

სანდრიკო - ვერიკო გაინაზა - მე ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ჯვარი ოქტომბერში უნდა დავიწეროთ.

- აუუუუუუ - სანდრიკამ თავში იცა ხელები.

- რა აუ, მე ასეთი ცხოვრება აღარ შემიძლია გენაცვალე, ამას წინ ლევანჩიკამ იცი როგორ წარმადგინა ვიღაც მთხლე ბირჟავიკთან, იცი?

- არა.

- დატკბი: გაიცანი სანდრიკას საცოლე, ნუ პრინციპში ცოლიო, გესმის? გაორებული ვარ სანდრიკო!

- აუუუუ

- ოქტომბერში ხომ დავიწერთ ჯვარს სანდრიკო?

- პაჟივიომ უვიდიმ.

- კრეტინი.

ვერიკომ ჩანთა დაითრია და თავაწეული გავიდა ოთახიდან. კართან შეჩერდა. არსაიდან ხმა, არსით ძახილი. გარეთ, ქუჩაზე გამოსულმა კი მაღლა აიხედა, აივანი ცარიელი იყო. მთვარის შუქი ადგა.

- ნარკომანი, აგერ ვნახავთ ოქტომბერში ჯვარს თუ არ დავიწერთ. აგერ ვნახავთ.

ვერიკომ გასაღებების ასხმულა გააჩხრიალა და მანქანისკენ წავიდა.

* * *

ბებია ნინა სკამზე იჯდა, ტილოშემოხვეული ჯოხი ეჭირა ხელში და ღმერთთან ჰქონდა კავშირი. ბებია ნინა ამბობდა: აწი, ღმერთო ჩვენც დაგვიფარე და შეგვეწიე. ბიჭს გზა კი გამოუჩნდა, მაგრამ მე იმ უცხოელების არა მწამს, ბიჭი კი იძახის საშიში არაფერია. ივანიჩი იქ არ არიო. ოღონდ მე იმ ივანიჩისაც არა მჯერავს. აბა, ეხლა ღმერთო შენ რა გესწავლება. ივანიჩი ჩემი ლევანის ამხანაგის მამაა. ჩვენს პირდაპირ, მდიდრების კორპუსში ცხოვრობს. დიდი ფხიანი და გაცვეთილი კაცია. ჩემი ბოთე სიძესავით კი არ დააბნია ახალმა დროებამ. პირიქით ეხლა უფრო კარგადაა, უწინ მილიციის შიში მაინცა ჰქონდა, მოვლენ, ნაპარავ ფულებს წამართმევენ, მე კიდე ვირის აბანოში მიკრავენ თავსო. ეხლა კიდევ მთლად ლაღადაა. ფრთები აქვს გაშლილი და ფრენს, მაგისი მაშინებითაა ეზო სავსე. რავი ღმერთო მე ეგეთე-



ბისა არა მწამს და, განა იმას ვამბობ რო ჩემი სიძისთანებზე ამოძდის მზე და მთვარე. არა, ეგეთები საერთოდაც უნდა მოისპონონ. ჩემ კოხტა გოგოს ესპანეთში რო წაიყვან და ბოსტანში ამუშავებ, განა საცოცხლებელი ხარ? განა კაცი ხარ? კაცი კი არა შიბაქი ხარ და ფუნა გამხმარი, ღმერთო, ისე, ისე, ისე მენატრება ჩემი მარინე რო მეტი არ შეიძლება, ვკვდები. მარინე გოგო, შენ ხელებში უნდა დავლიო სული. შენ უნდა დამიტირო, შენ უნდა დამიკოცნო გაციებული შუბლი. შენი კი ღმერთო მადლობელი ვარ. ხშირად ავლებ ხელს ქეჩოში და მოგყავს ჩემსა, სიზმარში. კარგადა ვარო. მეუბნება. ისეთი, ისეთი ლამაზია, აი, გასათხოვარობისას რო იყო.

აი, ეს ჩემი შვილიშვილი კი უწინდელივით აღარ მიყვარს. ალბათ რო პატარა რო აღარ არის იმიტომ. გაბრუუული მოდის სახლში. ვეუბნები ეს ახლანდელი სასმელები არ დაილევა. ვერა ჰხედავ დალევა და ტანთქავილის ატეხვა ერთია-მეთქი. ის კიდევ დედას მაგინებს. მძრახავს და თან ხორცს იგლეჯს. აი, ღმერთო ყბებიდან იწყებს ფხანას და კოჭებამდის დადის. მაპატიე და უფრო მეტად ყვერებს იფხანს, მე ვფიქრობ, ქალი სჭირდება. ნატანჯი ბიჭია. ჯერ იყო და საცა ხმა გავარდებოდა იმ მიტინგზე იდგა. მერე თოფების ბათქაბუთქში ჩაერია. ყველა ომი მოიარა და ნემცებში წავიდა. აქაოდა ფულს ვიშოვნიო. არაფერი გამოუვიდა. ათრია ქალაქიდან ქალაქში. ისეთი გამხდარი ჩამოვიდა რო ძვლები დამეწვა იმის შემხედვარეს. უცხო, გადამთიელი შეგეცოდება ადამიანს, ეს კიდევ შვილიშვილია ღმერთო! ჩემი გამოზრდილია. ერთი ძუძუ არ მიწოვებია (ეჰ, ისეთი ძუძუები აქვს ჩემს მარინეს, ისეთი!), თორე გარშოკზე მე ვსვავდი და იქამდე ფსიტიან საცვლებს მე ვუცვლიდი, სასეირნოდაც მე დამყავდა და ზღაპრებსაც მე ვუყვებოდი. აჰადა, ეხლა გზა გამოუჩნდა ბიჭს. ივანიჩის ამბავიაო - თვითონ ამბობს. მე იმ ივანიჩისა ღმერთო გითხარი, არა მჯერავს. თუ რამე კარგი იქნებოდა შვილს მისცემდა. ე, იმ თავის უსაქმურ სანდროს. მთელი დღეები აღმადაღმა რო დადის და ღობე-ყორეს რო ედება. ღმერთო დიდი თავხედი ბიჭია. მაშინაზე მთვრალი ჯდება. მე ხო დალეულ კაცს იქვე ვატყობ. თან ეს ახალი სასმელები. მთელი ახალგაზრდობა ფხანა-ფხანით დადის.

მოკლეთ ღმერთო. შენ იცი და შენმა კაცობამ, ბიჭი არ დამიჩაგრო.

ბებია ნინა წამოდგა და ტუალეტისკენ წავიდა, მოსაკრიალებელი იყო.

* * *

მოჩვენებაზე საშიშია ადამიანი, მითუფრო ღამით.

- დაგეხმარო დაიკო?

ვერიკო შეხტა, თავი მოატრიალა. ბიჭი იდგა.

- ბატონო? - ვერიკოს გული დგნ-დგნ.

- დახმარება ხომ არ გინდათ - ბიჭი ქუჩურად წელავდა სიტყვებს, ხმა კი ჩახრინწული ჰქონდა.

მორფინისტი - დაასკვნა ვერიკომ.

- არა, გმადლობთ.

ბიჭმა გაიცინა, ბარძაყი მოიფხანა.

- დაიკო ნურაფრის ნუ გეშინია. მე ამ უბნელი ვარ, კალას მეძახიან. პასპორტში აკაკი კალანდაძედ ვწერივარ. სანდრიკას ახლობელი ვარ, პრინციპში დღეს დავახლოვდით.

ერთად გაიჩხირეს - დაასკვნა ვერიკომ და იგრძნო: დაწყნარებულიყო.




- იცით აკაკი...

- რა, გენაცვალე.

- იცით მანქანის გასაღები ჩამივარდა საკანალიზაციო ჭაში. დებილური ამბავია არა?

კალას ხმა არ გაუღია, ჭაში ჩაძვრა.

- სანთებელა ხომ არ გინდათ აკაკი?

- არა, ცეცხლი მაქვს, და ვაბშე ვიპოვე.

- რა კარგია.

კალა ყოჩაღად ამოძვრა ჭიდან, გასაღებების ასხმულა ვერიკოს მისცა და შარვალი მოიფერთხა.

- აკაკი დიდი მადლობა.

- არაფერს.

- ნახვამდის.

- თქვენ დაიკო რა გქვიათ?

აქ, ვერიკოს გულმა ისევ - დგნ-დგნ.

- ვერიკო.

- სასიამოვნოა. ვერიკო, ათარბეგოვზე შეგიძლია რო ამიყვანო?

ვერიკო იძულებული იყო.

- წამობრძანდით.

ვერიკომ კარი გამოაღო.

კალამ ერთი ცას შეხედა და ჩაჯდა.

- კაი ბიჭია სანდრიკა, - კალამ სთქვა.

- არის რა - სიცილით სთქვა ვერიკომ, დამშვიდებულიყო.

- შეიძლება მოვწიო? - კალამ იკითხა.

- კი, - ვერიკომ თავი დააქნია.

კალამ კოლოფი ამოიღო. ვერიკოს შესთავაზა.

- გმადლობთ, არ ვეწევი - ძაან ძველებური დაიჭირა ვერიკომ, კაბაც კი გრძელი ეცვა.

* * *

ივანიჩმა სასტუმრო "ვერა" დატოვა. კიბეზე შეჩერდა: ამოისუნთქა, ჩაისუნთქა. ცხვირწინ ღამურამ ჩაუფრინა. ივანიჩს სძულდა ღამურები. ბავშვობაში, ღამე თავზეხელებდაწყობილი დადიოდა. ბებიას ჰყავდა გაფრთხილებული: ნუგზარიკო თავზე დაფრენა იციან ღამურებმა და შიგ ჩაბუდება. მაგას კიდევ გადახოტრის გარდა არაფერი შველის. ნუგზარიკოს კი, გადახოტრას ორიანის მიღება ერჩივნა სკოლაში.

ივანიჩმა მანქანა დაქოქა, წავიდა.

მის დორბლანს რაფაზე ჰქონდა ხელები დაწყობილი. ივანიჩის მანქანას აყოლებდა მზერას. ავტომობილი მელიქიშვილის ქუჩისკენ მისრიალებდა. მის აბაზანისკენ წავიდა. გეგმა: წყალს შეუდგება, ხორცს დაიამებს და დაწვება.

ივანიჩი ვარაზისხევზე დაეშვა - რახ, რახ, რახ. გმირთა მოედანს საპატიო წრე შემოარტყა და ჰე, პეკინისკენ. ივანიჩს ნელა უყვარდა სიარული, ჰა, 40-ით, ჰა, 50-ით.

ავტომობილი დააყენა და სახლში ავიდა. დედის გადიდებულ ფოტოს გაუცინა, ერთიც გულიდან ამოიოხრა და პირჯვარი გადაიწერა.

უშენოდ დედა, უშენოდ აწი!

კალაპოტში ჩადგა:

ამ ჩემმა შვილმა ხო სუ აიგდო თავი. ჩემი ბრალია, ვათამამებ. ეჰ, ზოგს როგორ უმართლებს, აი, მეფეებს, დედოფლებს, ჩემ სანდრიკას არა. რამეს კი არ ვამადლი, მაგრამ მომავალზე ხომ უნდა იფიქროს და იზრუნოს. სულ მე ხომ არ ვეყოლები (გულში ივანიჩს, (ჩვენსავით) უკვდავი ეგონა თავი), აი, დედაჩემი სალსალამათი ქალი დაწვა და გათავდა. მოკლედ, ერთი მაგარი ლექცია უნდა წავუკითხო. ესე არაა ცხოვრება ძმაო! მაგას ჰგონია, ჩემი ფულები ეყოფა ცხოვრების ბოლომდე.

ივანიჩი გაყუჩდა.

ისე ჭკვიანურად თუ ხარჯა კი ეყოფა, კი.

აჰა, მოვიდა.

ივანიჩი კარისკენ წავიდა, გამოაღო.

- ვაჰ, ლევანჩიკ შენ, მე შენი პირუტყვი ძმაკაცი მეგონა, შემო, შემო შვილო.

ლევანჩიკა შევიდა. ივანიჩი გადაკოცნა.

- როგორ ბრძანდებით.

- ნელთბილად, შენ შვილო?

- არა მიშავს რა, საქმეზე ვარ ძია ნუგზარ მოსული.

- ჰო, მივხვდი. დაგირეკავს.

- კი.

- წამო, წამო დავსხდეთ შვილო.

ლევანჩიკა კარგად იყო ადაპტირებული ამ, ვეებერთელა ბინაში. მისი პატიოსანი მამა, კომუნისტების (ვისთვის როგორ) დროს წითელ ბურჟუებს ეძახდა ამ კორპუსში მცხოვრებთ. ლევანჩიკასი კი, გული სუ აქეთ მოიწევდა უყვარდა სანდრიკასთან ამოსვლა, უცხოური, უცნაური სათამაშოებით გართობა, თანაც სანდრიკას თავისი, საკუთარი ოთახი ჰქონდა, სადაც ვერ აღწევდა საჭმელების სუნი.

სავარძლებში განაწილდნენ.

ივანიჩმა დაიწყო.

- ლევანჩიკ, შვილო, შენ თუ იმის საკითხავად მოხვედი, რა სამსახურია და როგორი ანაზღაურებით, ღმერთმანი ნაღდად არ ვიცი. მე მითხრეს კაი, პატიოსან ახალგაზრდას თუ იცნობო, შენ გამახსენდი.

- მადლობთ ძია ნუგზარ.

- არაფერს შვილო - ივანიჩმა ხელები გაშალა.

- ძია ნუგზარ, ერთი რამე მინდა გკითხოთ.

- გისმენ.

- აი, ნუ რო მივალ, როგორ მოვიქცე, თავი როგორ დავიჭირო.

ივანიჩმა გაიცინა.

- შვილო ამერიკელები უცნაურნი არიან...

ლევანჩიკა ყურადღებით ისმენდა.

* * *

კალა მანქანიდან გადმოვიდა, დაიხარა.

- სპასიბა ვერიკო. კარგად.

- ნახვამდის.

კალამ კარი მიკეტა და ეზოში შევიდა.

"ძვირფასო!" ათარბეგოვის, ძველ, იტალიურ ეზოში ცხოვრობს კნიაზ ირაკლი ჯანდიერი. სხარტი დახასიათება: კაცი ფრიად განათლებული, ციტატებით მოუბარი და უცნობილესი წამლის ამლები, ხოლო სახლი მისი განთქმულია მაშრიყ-მაღრიბში, მოდის აქა ხალხი წამლის მოსახარშად..."

კალამ ძველებური, დახვეული ხის კიბე აირბინა და ნაცნობ კარს მიადგა. მოუთმენელი ვაკაკუნებ, გამიღეთ კარი.

- რომელი ხარ? - კნიაზს წრიპინა ხმა ჰქონდა.

"შენი სულთამხუთავი და დედის მტყვნელი", - გაიფიქრა კალამ.

- მე ვარ შეჩემა.

კარი გაიღო.

კალა შევიდა. სახლში სუნი იდგა - აუჰ! კალა შინაურულად იქცეოდა.

- დაბრძანდი მგზავრო ღამეულო, ჩაის მოგართმევ.

- ჩაი შეისხი ნაწყლში.

- მგზავრო ღამეულო, როგორც პედანტი ჰენრი ჯეიმსი ამბობდა: ჩაის სმის ცერემონიალზე უფრო საამური არცრაა.

- შეგეცით ორივეს, გადააჯვით იმინა. ძმაო წამალზე ვარ მოსული.

- ყველა გზას მართლაცრო რომში მივყავართ, მაგრამ ჰაი, ჰაი რომ რომი დაეცა.

- ბიჭო შენ შიგ ხო არა გაქ, გამოიტანე წამალი.

- საბრალო იორიკ...

- მოკეტე და ამოძრავდი. მე, შენ არიფი სანდრიკა ხო არ გგონივარ.

- უსაფუძვლოა შენი ეჭვი მგზავრო ღამეულო.

- მიდი, გამოიტანე, სხვა დროსაც დაგჭირდები იცოდე. ჩემნაირად იცი შენ ვერავინ ხარშავს.

- ცარიელია ხაზინა-მეთქი.

- რა ბიჭო ორას დოლარში სამი ზახოდი კოკნარი, შენ მე ყლე ხომ არ გგონივარ.

- უარესიც, უვიცი. მადა ჩვენი არს ვეშაპისი და ბაზარზეც განქრა ნამუსი!

კალა ცარიელი გამობრუნდა იმ ცნობილი სახლიდან.

- აუ, ძაღლებთან არ იყოს შეკრული. დედის ღრძილებს მოვუტყნავდი.

მას, კნიაზს აგინებდა.

მურდალ არს ჟამი გამოსვლისაი.

კალა ზანტად ეშვებოდა დაღმართზე.

არილი



მიხეილ ქვლივიძე

# ...როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო

## ვაპირებ ცხოვრებას

### ავტობიოგრაფიული ჩანაწერები



იხ. "არილი" 2001 წ. N3, 6.

ჩემს მეუღლეს, უკრაინელ ქალს, მოსკოვურ ყაიდაზე "ლილია" ერქვა, მე კი მას ქართულად "ლილის" ვეძახდი. ტოლები ვიყავით. ის უკვე ქმარგაყრილიც იყო, ომის დროს შვილიც მოჰკვდომოდა. შუა აზიაშიც ყოფილა ევაკუირებული, სადაც ოფიციანტად მუშაობდა... მოკლეთ, ათასი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ უმაღლესი განათლების მიღება მაინც შესძლო და როცა გავიცანი, "ინტურისტში" თარჯიმნად მსახურობდა...

ჩემი დაოჯახება უცაბედად (ანუ როგორც ახლა ამბობენ, სპონტანურად) მოხდა: ლენინგრადის სასტუმრო "ასტორიაში" გავიცანი - უცხოელთა დელეგაციას ემსახურებოდა. გავიცანი ისე, როგორც არა ერთი სხვა ქალი გამიცვნია ("სალაღობოდ, სათრეველად"!), ყოველგვარი სერიოზული განზრახვის გარეშე: უბრალოდ, მომეწონა! ახალგაზრდა იყო, ტან-ფეხიც უვარგოდა, თან მოკრძალებულად იქცეოდა, არ კეკლუცობდა, კოსმეტიკასთანაც მწყრალად იყო... ერთი სიტყვით, დავასკვენი, რომ ჩემსავით გაჭირვებულთა და მეოცნებეთა ფენას ეკუთვნოდა და ამან განაპირობა ჩემი არჩევანი...

რუსი დედაკაცების ამბავი მოგეხსენებათ: იმ დროს გარეგნობით არა მიშავდა, ქართველი ვიყავი, ახალგაზრდა, თამამი და მჭევრმეტყველი და ადვილად დავახლოვდით. ამის შემდეგ, ქობულეთშიც შევხვდით და იქაც განვაგრძეთ ურთიერთობა. მერმე, ლილი დაორსულდა, ამასობაში შემიყვარდა კიდეც და თბილისში ჩამოვიყვანე. აქვე ხელი მოვაწერეთ რაიონულ "მმაჩ"-ში და სულ მალე პატარა თამრიკოც შეგვეძინა!

არანორმალური საყოფაცხოვრებო პირობების გამო (ამაზე ადრე გიამბობდით) ლილის რძე გაუშრა და ბავშვს მეზობელი ქართველი ქალი ძუძუს აწოვებდა, მერე კი, ჩვენი მდგომარეობა ისე გაუარესდა, რომ იძულებული გავხდით მოსკოვის ოლქის სოფელ ხლებნიკოვოში წავსულიყავით ლილის დედასთან...

ასე და ამრიგად, რუსეთსა და საქართველოს შუა გამოკიდული აღმოვჩნდი და ვაგონის გამცილებელივით (ანდა უდანაშაულო დასჯილივით, ვისაც უცნაური განაჩენი - იძულებითი გადაადგილება - აქვს მისჯილი!) გამუდმებით გზაში ვიყავი და მატარებლის ბორბლების რახრახს ვისმენდი!.. სწორედ მაშინ დაიწერა ეს სევდიანი სტრიქონები:

გვერდით, კუპეში, იგონებდნენ ვიღაც "დიკარევს"
(მთვრალი მთვრალს ყურში ჩასძახოდა: "ძმაო, კოლია!")
მათი ყვირილი გულთან აზლო არ გავიკარე, -
კვლავ შენთან გაყრის მწუხარებამ ამიყოლია!..

როდემდე უნდა გშორდებოდე? როდემდე უნდა
მიტოვებული, ჩემ ზურგს უკან ბოლავდეს კერა
და გულს მიკლავდეს (რადგან "ქნარი მიპყრია გულთან!")
საბედისწეროდ დაჭიმული სიმების ჟღერა?!

ძვირფასო ჩემო! სივრცეებმა სული დაღალეს,
ფიქრში წასული, თავს ვევლები მშობლიურ მთა-ბარს,
მოსაწყენ-წიგნის გვერდებივით ვფურცლავ ტრამალებს
და მერამდენედ ვუბრუნდები წაკითხულ ამბავს!..

მგზავრობის დიდი მოტრფიალე ვიყავი ადრე,
აზლა, ძვირფასო, აღარ მართობს ველთა ტრიალი.
ღმერთს ვევედრები, გაჩერება მაღირსოს სადმე, -
როგორ მომბეზრდა, რომ იცოდე, ეს ხეტიალი!

მატარებელი გამალებით ლიანდაგს კვნეტავს,
დასაძინებლად ემზადება დაღლილი მგზავრი...
ბნელში ბორბლების რახარუხი გაისმის კვნტად:
იქნებ ეს შენ ხარ - თბილისისკენ დეპეშებს გზავნი?!

ასეთი იყო იმ ხანებში ჩემი ოჯახური ცხოვრების "ლაიტმოტივი"...

რაც მართალია - მართალია, კარგი ქმარი ვერ გამოვდექი და ამის გამო დღემდე სინდისი მქენჯნის! სამწუხაროდ, ჩემმა ცოლმა ქართული არ იცოდა, თორემ, ალბათ, ყურადღებას მიაქცევდა იმ გულწრფელ სტრიქონებს, ჩვენი შეუღლების პირველსავე დღეებში რომ დავუწერე:

ჩემზე კარგო და ჩემზე ჭკვიანო,
შენ შეგიძლია იეჭვიანო:
მე გაძლევ ამის საკმაო საბაბს,
მეოცნებე და სახით ვნებული,
ასე უზომოდ და ასე ხარბად
მთელ ქვეყანაზე შეყვარებული!

გადიოდა წლები. მეორე შვილიც შეგვეძინა და მას ბებიაჩემის სახელი ნატო დავარქვით. მაგრამ ქართულმა სახელებმა - "თამარმა" და "ნატომ" - მოსკოვის ბინაში მშობლიური ატმოსფერო ვერ დაამყარა. გოგოები რუსულ სკოლაში დაიარებოდნენ და მათი ქართველი მამა, ვისაც მზე და მთვარე შვილებზე ამოსდიოდა, თავის გრძნობებს მათ თარგმნილ ენაზე უმჟღავნებდა! არადა, თამარიცა და ნატოც, პირველი კლასიდან დაწყებული სწავლის დამთავრებამდე, სკოლაში მე დამყავდა, არდადეგებსაც, მათთან ერთად ვატარებდი, სადმე გაგრაში, ბიჭვინთაში ან პერედელკინოში,

მწერალთა შემოქმედებით სახლში. მოკლეთ, გვერდიდან არ მოვცილებივარ, სანამ დედა ცოცხალი ჰყავდათ. ხოლო, როცა დაობლდნენ და ჩემს ოჯახს ბურჯი გამოეცალა (ლილი კი მართლა ოჯახის ბურჯი იყო!) და გოგოები საკუთარ ოჯახებს მოეკიდნენ, მხოლოდ მაშინ წავედი მოსკოვიდან, დავუტოვე რა შვილებს მათი დედის მეცადინეობით აშენებული ბინებიცა და სარჩო-საბადებელიც!

მიჭირს, ძალიან მიჭირს ამის გახსენება, რადგან დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ყველაზე ღრმა ჭრილობა ჩემს გულს ლილის დაკარგვამ დაამჩნია. ისე წავიდა, ვერ მივაგე, რისი ღირსიც იყო, ვერ გავახარე და ვერ გავაბედნიერე! სულ ჩემი ეგოისტური ინტერესებით ვცხოვრობდი. საკუთარ თავში ჩაკეტილი, ჩემს "მოწოდებას" ვუფრთხილდებოდი, ჩემს ქართველობას ველოლიავებოდი: სულ იმის მეშინოდა, არიქა, არ გავრუსდე და ოჯახისადმი ჩემს უყურადღებობას ჩემივე მოგონილი სენტენციით ვამართლებდი: "ქართველი კაცისთვის მშობლიური ენის დავიწყება სქესის დაკარგვაზე უარესია"-მეთქი!.. თან, რაღა დაგიმალოთ, არავითარ სიამოვნებას არ ვიკლებდი: ჩემს ნებაზე დროს ვატარებდი, ვქეიფობდი, ქალებს ვეარშიყებოდი, თბილისში დავფრინავდი, როცა მომესურვებოდა, მოკლეთ... ცუდი ქმარი გამოვდექი, რამაც მეუღლე იჭვიანობით დაასნეულა და ადრე დააბერა...

ბევრი სიკეთე გაუკეთებია ლილის ჩემთვის: მიფრთხილდებოდა, უსიამოვნო ამბებს მარიდებდა, მუშაობისთვის პირობებს მიქმნიდა, პატარა ბავშვივით ექიმებთან დამატარებდა, მე კი ამაგი ვერ დავუფასე... რატომ? არ ვიცი. მაშინ ამაზე არ მიფიქრია, ახლა კი მგონია, ამის მიზეზი ის იყო, რომ მე და ის სხვადასხვა "გორისანი", ანუ განსხვავებულ ტრადიციებზე აღზრდილი ვიყავით. იქ, სადაც მე მხოლოდ გამეღიმებოდა, ის ტირილს იწყებდა, ხოლო როცა მე სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდი, ის იღიმებოდა! ფასეულობების სხვადასხვა "ნიხრი" გაგვაჩნდა, მოვლენებს სხვადასხვანაირად ვაფასებდით... მახსოვს, ერთხელ, იჭვიანობის ნიადაგზე მომხდარი შელაპარაკების დროს, ვუთხარი: "რა გინდა, რას მერჩი? ამ დაწყევლილ მოსკოვში, შენსა და შვილების მეტი, არავინ გამაჩნია! ის ვიღაცა დამთხვეული ქალები რომ გირეკავენ და ძარღვებს გიშლიან, ჩემთვის არაფერს წარმოადგენენ, მათი სახელებიც არ მახსოვს!" და იცით, რა მიპასუხა? "მე მირჩევნია, ერთი ქალი შეგიყვარდეს ნამდვილად, ვიდრე ასეთ ცხოვრებას ეწეოდეო!" "კი, მაგრამ, ვინმე რომ შემიყვარდეს, მაშინ ხომ თქვენ უნდა მიგატოვოთ?" - გადავირიე მე. "ეგ უკეთესიაო", - მომიგო ჩემმა რუსმა მეუღლემ... დარწმუნებული ვარ, ქართველი ქალი თავის ქმარს ასეთ რამეს არ ეტყოდა!..

ტელეფონი ხშირად გამხდარა ჩვენი ოჯახური უსიამოვნების საბაბი. იმ დღესაც, ვიღაც დედაკაცმა დარეკა და ლილის ესაუბრა. არ ვიცი, რა უთხრა (ალბათ, რაღაც შეურაცხმყოფელი), მაგრამ შინ რომ დავბრუნდი, მაგიდაზე წერილი დამხვდა, სადაც ეწერა: "ყველაფერი, რაც გამაჩნდა, თქვენ მოგეცით - შენა და შვილებს. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. მივდივარ და ძებნას ნუ დამიწყებთ. ღმერთმა კარგად გამყოფოთ".

ბარათი რამდენჯერმე გადავიკითხე. ბინაში საეჭვო სიჩუმე სუფევდა. რა მექნა? სწრაფი მოქმედების კაცი ვარ და დაუყოვნებლივ რაღაც უნდა მეღონა. ბავშვების ოთახში შევიხედე: გოგოებს ეძინათ. სამზარეულოში ჩვენი მოსამსახურე ვალია იჯდა და პასიანსს შლიდა. მისი თქმით, ქალბატონს არ უთქვამს სად მიდიოდა, მხოლოდ დაუბარებია: "ბავშვები ადრე დააძინეო" და "ნა დამელოდებითო"...

ისევ ჩემს ოთახში დავბრუნდი. საწერი მაგიდიდან წინადღით მიღებული ხელფასი ამოვიღე მთლიანად, რაც იყო, პალტო ჩავიცვი და გარეთ გავედი. ძლიერ ყინავდა, ქუჩაში მუხლამდე თოვლი იდო. ტაქსი გავაჩერე და მძღოლს ვუთხარი: "შერემეტიევოს აეროპორტში წავიდეთ, მერე ვნუკოვოში, მერე კი... ვნახოთ, სადაც გეტყვი". თმაჭაღარა კაცმა გაკვირვებით შემომხედა და მანქანა დაძრა...

აღარ მახსოვს, რამდენი ხანი ვიარეთ. შერემეტიევოს და ვნუკოვოს აეროპორტების მოსაცდელი დარბაზები რომ შემოვირბინე და ლილი ვერსად ვნახე (რაც თავისთავად უაზრობა იყო), მარტო კურსკის ვაგზალში მოვასწარი მისვლა და არაქათიცა და იმედიც ერთბაშად გამომელია... ღამდებოდა. ტაქსი უკვე ლენინგრადის პროსპექტით, ჩვენი სახლისკენ მიექანებოდა და უკანა სავარძელში გადასვენებული უხმოდ ვტიროდი. შოფერმა სარკეში დამინახა და მანქანა გააჩერა, "არსად არ წაგიყვანთ: თქვენ ახლა სახლში უნდა წახვიდეთ და რამე დალიოთ! დამიჯერეთ, თქვენზე უფროსი ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ. აუცილებლად უნდა დალიოთ, თორემ ცუდად არის თქვენი საქმე!" იგი იქვე, "გასტრონომში" შევიდა და ორი ბოთლი "სტოლიჩნი" გამოიტანა. "სად ცხოვრობთო?" მისამართი დავუსახელე. სახლთან რომ მივედით, მრიცხველზე აღნიშნული თანხა, არყის საფასურთან ერთად გადავიხადე და მძღოლს ვთხოვე, შინ ამყოლოდა. მან მეგობრულად მხარზე ხელი დამკრა, "ნე გორიუი, ბრატოკ, ვსიო ობრაზუეტსიაო", - მითხრა და წავიდა...

ბინაში კვლავ მიტოვებული ჩიტის ბუდის სიჩუმე დამხვდა. მოსამსახურე ვალია ისევ სამზარეულოში იჯდა. გოგოებს, ეტყობა, ეძინათ. პალტო არ გამიხდია, სასტუმრო ოთახში გავედი და კარი გასაღებით გამოვიკეტე... დანარჩენი, რაც მოხდა, ჩემი ცნობიერების მიღმა ხდებოდა, თუმცა ყველაფერი დაწვრილებით მახსოვს...

რატომღაც ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჩემს ცოლს უბედურება შეემთხვა და ცოცხალს ველარ



21952

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნახავდი. ვიცოდი, რა შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა, როგორი უკომპრომისო ქალი იყო (უკრაინელები ამით გამოირჩევიან!). ეს აზრი, თანდათან მტკიცდებოდა ჩემში, სანამ მანქანაში ვიჯექი და ახლა, შინ რომ დავბრუნდი, მთელი სიცხადით დამიდგა თვალწინ ჩემი უმწეო მდგომარეობა. რა ვუთხრა შვილებს? რით ვიმართლო თავი?

მე თვითონ ხომ ვიცი, რომ ოჯახის დანგრევაში დამნაშავე ვარ და პასუხი მხოლოდ ჩემს თავს უნდა მოვთხოვო!.. დიდხანს არ მიფიქრია, ტანისამოსი გავიხადე, მთლად გავშიშვლდი და აივანზე გავედი. საშინლად ციოდა. იმ ღამით, ყინვა ოცდაათ გრადუსს აღწევდა. მეშვიდე სართულზე ვცხოვრობდით და აივანზე რამდენიმე დღის განმავლობაში დადებული თოვლი წელამდე მწვდებოდა. არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ ისე, როგორც ვიყავი, შიშველი სხეულით თოვლში ჩავწექი - მინდოდა გავციებულიყავი, ფილტვების ანთება დამმართოდა და მოვმკვდარიყავი!

საკმაოდ დიდხანს ვიწექი თოვლში და არაფერი მიგრძვნია. მხოლოდ ეს იყო: ჩემმა გახურებულმა სხეულმა ძირამდე ჩაადნო თოვლის "ლეიბი" და ბოლოს კაფელის ფილებზე აღმოვჩნდი! (მოვლენებს წინ გავუსწრებ და ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ფილტვების ანთება კი არა, ელემენტარული სურდოც არ დამმართვია!). ისევ ოთახში დავბრუნდი. შიშველმა, ტახტთან ტაბურეტი მივაჩოჩე, ზედ "სტოლიჩნის" ბოთლები შემოვდგი, მერე კარადიდან ჩემი "არალეგალურად" შეძენილი მცირეკალიბრიანი შაშხანა და ვაზნებით სავსე კოლოფი გამოვიღე, იატაკზე დავდე, თვითონ კი, სულთანივით ფეხმორთხმული, ტახტზე მოვკალათდი და მოპირდაპირე კედელს მივაჩერდი. იგი, ქაღალდის ფურცელივით, იდეალურ სიბრტყეს წარმოადგენდა, რაზეც მწერალ კაცს (თუ იგი ჩემსავით გადარეული იყო!) ნებისმიერი ტექსტის, თუნდაც ლექსის, დაწერა შეეძლო!..

ბოთლიდან არაყს ვსვამდი, შაშხანაში ვაზნებს ვაწყობდი და კედელს ვესროდი. მანძილი 6-7 მეტრს არ აღემატებოდა, კედელი ბეტონისა იყო, ტყვიები მასზე ღრმულებს აჩენდა, ღრმულები ხაზებს ქმნიდნენ, ხაზები კი ასოებად აღიქმებოდნენ! როგორ გგონიათ, რას ვწერდი? რასა და სიცოცხლეს ვეთხოვებოდი და ჩემი უკანასკნელი "პოეტური" ნაწარმოები მისი სახელი უნდა ყოფილიყო და თუ ეს სიტყვა რუსული ასოებით "ამოვტვიფრე", მხოლოდ იმიტომ, რომ მთვრალ კაცს, თანაც უხეირო მსროლელს, ქართულად დაწერა გამიჭირდა!.. (შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს "ЛИЛИ" - ერთადერთი "ლექსია", რაც ქართველმა პოეტმა, ვინც სამი ათეული წელი მოსკოვში გავატარე, რუსულად დავწერე!)...

სულ 50-მდე ვაზნა გავისროლე და კოლოფი დაცარიელდა. ამასობაში, "სტოლიჩნის" მეორე ბოთლიც დაიცალა. ოთახი მტვერითა და კვამლით გაივსო. მე უკვე უგონოდ მთვრალი ვიყავი და რაღაცას ვბუტბუტებდი: ალბათ, საყვედურს ვუთვლიდი ჩემს დამღუპველ მეუღლეს, ასე რომ გამიმეტა...

კარზე დიდი ხანია არახუნებდნენ, დერეფნიდან ვალიას ყვირილი ისმოდა (მადლობა ღმერთს, ბავშვებს ეძინათ და არაფერი გაუგიათ!). ბოლოს, ღონიერმა მოსამსახურემ კარი შემოამტვრია და თავზე დამადგა. პირველ ყოვლისა, შაშხანა წამართვა, არყის ბოთლები აივნიდან გადაყარა, მერე მხარზე წამომიკიდა და საბაზანოში გამათრია, სადაც ცივი შხაპის ქვეშ დამაყენა. არც ეს მიგრძვნია, მხოლოდ მახსოვს ვალიას ვეუბნებოდი: "არა გრცხვენია, ტიტველა კაცს რომ მომჩერებიხარ? და თან ჩემს აღგზნებულ "საოხრეს" ხელში ვაჩეჩებდი... (მაპატიე, მკითხველო, ამას რომ გიყვები, მაგრამ აკი გითხარი: ცუდი ქმარი ვიყავი!)...

დილით, მაგიდაზე, ლუდის ბოთლთან ერთად (ვენაცვალე რუს ქალებ!, ყურადღებიანი არიან!) ბარათი დამხვდა. "გიჟებთან საქმე არასდროს მქონიაო, - მწერდა ვალია, - თქვენთან ვეღარ გავჩერდები. ბავშვები კარგად არიან, ვაჭამე და სკოლაში გავისტუმრე. თქვენმა ქალბატონმა წუხელ დარეკა, კიევში ყოფილა თავის ამხანაგთან. ჭკუა მოიკრიბეთ და თავს მიხედეთ. ხელფასისთვის კიდევ გამოვივლი".

ამით დამთავრდა ჩემი მოსკოვური ცხოვრების ეს ტრაგიკომიკური ეპიზოდი. ლილი დაბრუნდა. ბინა მიალაგ-მოალაგეს და გაარემონტეს. სასტუმრო ოთახის კედელზე კი ტყვიებით ამოტვიფრული წარწერა დარჩა, რაც მეზობლებს ხელოსნების მიერ საგანგებოდ გაკეთებული ორიგინალური ორნამენტი ეგონათ... იმ ჩვენს ბინაში ახლა სხვები ცხოვრობენ, წარწერაც წაშალეს... გარდაიცვალა ჩემი მეუღლეც და მრავალ სხვა ტკბილ-მწარე მოგონებასთან ერთად, ეს სასოწარკვეთილი სტრიქონებიც დამიტოვა:

შენ არ გჭირდება სიტყვით შემკობა, -
ხსოვნაა შენი შემამკობელი...
ასე კარგავენ ომში მეგობარს,
ასე უკვდებათ შვილებს მშობელი;
ასე ღრმავდება გულში იარა
და თუ ამქვეყნად კიდევ ვყოვნდები, -
ვცოცხლობ კი არა, ვცხოვრობ კი არა,
უბრალოდ - სიკვდილს ვუახლოვდები...

"დრო - ყველაფრის მკურნალიაო", - ამბობენ. ჩემმა მწუხარებამაც გაიარა, მაგრამ ამაზე შემდეგ...

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ გურაბანიძე

# "პოეზიაშია თეატრის არსი"

## ჯორჯო სტრელერი

### მსოფლიოს მესამე თეატრალური ოლიმპიადა

I

ცნობილი ბერძენი რეჟისორის თეოდორეს თერზოპულოსის ინიციატივით 1995 წელს დელფოსში ჩატარდა პირველი მსოფლიო თეატრალური ოლიმპიადა, რომლის დევიზი იყო "ანტიკური დრამა თანამედროვე სამყაროში". მეორე ოლიმპიადა გაიმართა 1999 წ. იაპონიის ქალაქ შიზოუკში (დევიზით - "იმედთა შექმნა", "Greeting Hopes"), სადაც სპეციალურად აშენდა გრანდიოზული თეატრალური კომპლექსი.

წელს კი, მესამე ოლიმპიადას უმასპინძლა მოსკოვმა, რომელმაც ამას დაამთხვია თავისი, ჩეხოვის სახელობის მეოთხე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი. ეს უკანასკნელი ისედაც გამოირჩეოდა თავისი განსაკუთრებული მასშტაბით და ბუნებრივია, ამგვარმა შენყვილებამ განსაცვიფრებლად დიდი პროგრამა შეადგინა (ოლიმპიადა-ფესტივალი დაიწყო 21 აპრილს და დასრულდება 29 ივნისს). ოლიმპიადის დევიზია "თეატრი ადამიანებისთვის" (ასეთია გენიალური იტალიელი რეჟისორის, ჯორჯო სტრელერის შესანიშნავი წიგნის სათაურიც).

შესაძლებლობა მომეცა მენახა თანამედროვე რეჟისურის კლასიკოსთა სპექტაკლები, რომლებიც თავისთავადი მხატვრული ღირსებულების გარდა, თეატრალური სტილის, მთელი მიმდინარეობის გამომხატველნი არიან. ამ რეჟისორების მხოლოდ დასახელებაც კი, უეჭველია, დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს თეატრალურ ხელოვნებაში ჩახედულ ადამიანზე. ესენი არიან იტალიელი ჯორჯო სტრელერი, გერმანელი პეტერ შტაინი, ამერიკელი რობერტ (ბობი) უილსონი, ლიტველი ეიმუნტას ნიაკროშიუსი, რუსები - იური ლუბიმოვი და მეიერჰოლდის ცენტრის ხელმძღვანელი ვალერი ფოკინი (15-16 მაისს რუსთაველის თეატრმა დიდი წარმატებით უჩვენა რობერტ სტურუას სპექტაკლი შექსპირის "მეთორმეტე ღამე". პროგრამაში ჩართულია ორი სპექტაკლი - კამა გინკასის შედევრი, ჩეხოვის "შავი ბერი" და რ.სტურუას " შეილოკი" "ეტ ცერაში" დადგმული, თბილისში ვნახე). რასაკვირველია, გული დამწყდა, რომ ვერ დავესწარი იაპონელი ტადაში სუზუკის,იტალიელი ლუკა რონკონის, ინგლისელი დეკლან დონელანის, მარკ ზახაროვის, პეტრე ფომენკოს, ბერძენი თერზოპულოსის და სხვათა სპექტაკლებს, მაგრამ, რაც ვნახე, საკმარისია დღევანდელ თეატრალურ სამყაროში მიმდინარე პროცესებში გასარკვევად.

შთაბეჭდილების გაზიარებას დავიწყებ XX საუკუნის ლეგენდარული თეატრალური მოღვაწის, ევროპული რეჟისურის პატრიარქის (გარდაიცვალა 1997 წელს, 76 წლის ასაკში) სახელგანთქმული "პიკოლო ტეატრო დე მილანოს" (50 წელი იყო ამ თეატრის ხელმძღვანელი) და "ევროპის თეატრის" (1980 წ.) შემქმნელის ჯორჯო სტრელერის უკვდავი სპექტაკლით, გოლდონის "არლეკინი, ორი ბატონის მსახური".

ეს სპექტაკლი მან დადგა 1963 წელს, შემდგომ ცხრაჯერ განაახლა, უკანასკნელად 1997 წელს - "პიკოლო თეატრის" 50 წლისთავთან დაკავშირებით. ოლიმპიადისთვის "არლეკინი", რომელიც ეძღვნება ბრიგელას როლის, უფრო სწორად - ნიღბის - შემსრულებელს, ან გარდაცვლილ, ჯანფრანკო მაურის, ხელახლა აღადგინა კარლო ბატისტონმა.

სტრელერის ორი სპექტაკლი მაქვს ნანახი, ერთი მილანის "ლა სკალაში" - მოცარტის ოპერა "დონ ჟუანი" და მეორე - ფრანგი მარივოს კომედია "მონების კუნძული" - ჩეხოვის ფესტივალის პროგრამით მოსკოვში. სტრელერის უზადო გემოვნება, თითქმის უკიდურესობამდე მიყვანილი სისადავე, ნატიფი კომპოზიციები, დადგმის ჰაეროვნება, სცენოგრაფიის ზედმიწევნითი გამომსახველობა მისი უნიკალური რეჟისორული სტილის დამახასიათებელი ნიშნებია.



ჯორჯო სტრელერი

"არლეკინში" ეს ყველაფერი საცნაურია, მაგრამ აქ არის სხვა რამ, რაც ამ სპექტაკლს უკვდავებას ანიჭებს, ესაა ნამდვილი თეატრალური მაგია - ხალხური სანახაობის გულუბრყვილობა, სიხალისე, იმპროვიზაცია, ფეთქებადი იმპულსები, გადაცმა, ნიღბები, ყველაფერი ის, რაც "კომედია დელ არტეს" განუმეორებელ მომხიბვლელობას შეადგენს. სტრელერმა კარლო გოლდონის თეატრალური სამყარო ამ "კომედიის" წიაღში დააბრუნა: ყველაფერი, რაც ვენეციაში ამ ოთხი საუკუნის წინათ სპონტანურად წარმოქმნილი თეატრისთვის იყო დამახასიათებელი, ხელახლა გააცოცხლა, აამოძრავა კარნავალური სიხალისით, ზედმიწევნით დახვეწა ყოველი "ლაცი" და თავბრუდამხვევი რიტმით დაატრიალა სცენის მოედანზე, თითქოს ეს სცენა კი არ იყოს, არამედ მზით განათებული ქალაქის მოედანი, სადაც მუშაითები ლხენას და თამაშის სტიქიას ეძლევიან.

სცენაზე შემოდის წელში მოხრილი, ქარებისაგან გატანჯული მოხუცი მოკარნახე, რომელსაც ხელში ხმარებისაგან გაცვეთილ-დაფლეთილი პიესა უჭირავს. სტრელერის მიერ გამოგონილი ეს პერსონაჟი ავანსცენის მთელ სიგრძეზე ჩამწკრივებულ სანთლებს თანდათანობით ანთებს - ერთის ანთებას ვერ შეძლებს, მაყურებელთა დარბაზს გამოხედავს ქვეშიდან და უმწეოდ გაშლის ხელებს: "ოჯ რაბპტატეტ". რის ვაი-ვაგლახით გავა სცენის კიდეში და წამოიძახებს - "პრიმო აქტო". თვა-


თეოდორეს თერზოპულოსი

ლის დახამხამებაში გაიხსნება ფარდა, შემოცვივდებიან ნაირფერად ჩაცმული მსახიობები, თითქოს იტალიური გობელენიდან გადმოხტნენო და ცარიელ სცენაზე იწყებენ პანტალონეს ირგვლივ ცეკვას, წარმტაცი მელოდიის სიმღერით. სცენაზე დგას ორი დაბალი კანდელაბრი, სანთლებით. სცენის სიღრმეში მაყურებლისაკენ ზურგშექცევით კი - ორი მსახური, რომელთაც ასევე ანთებული კანდელაბრი უჭირავთ. სტრელერის განუყრელი სცენოგრაფის ფრიჟერიოს მიერ შექმნილი სივრცე გახსნილია, უკან გადაჭიმულია თეთრი ფარდა. განათება მზიანი დღის ეფექტს ქმნის. მოქმედების განვითარებასთან ერთად სცენაზე გამოჩნდება ორი მოწნული ზანდუკი (პლავტედან მოყოლებული დღემდე ეს "საგანი-პერსონაჟი", რომელიც არა მხოლოდ ინტრიგანების სამალავია, არამედ "მოქმედი პირიც"), რამდენიმე თეჯირი და კომედიისათვის აუცილებელი ბუტაფორია - სულ ეს არის, მაგრამ ამ სიცარიელეში მხიარულების რა ქარიშხალი დატრიალდება?! მიუხედავად ენის არცოდნისა, ორი წუთის შემდეგ ყველაფერი გასაგებია - იმდენად მჭევრმეტყველია მსახიობების ყოველი მოძრაობა, ჟესტი, ლაპარაკის რიტმი და ინტონაცია. ყველაფერი მოძრაობს, რისი ამოძრავებაც კი ადამიანს შეუძლია, ყველანი შესანიშნავად მღერიან და ცეკვავენ, მოძრაობენ მსუბუქად, ლაღად, შინაგანი სიხარულით აღტკინებულნი. ამ წამლეკავი სტიქიის აღმძვრელი არლეკინია, თავის ტრადიციულ ჭრელ, სხვადასხვა ფერის ნაჭრებისგან შეკერილ, შემოტმასნილ სამოსში გამოკვართული. მის მთელ სახეს შავი ნიღაბი ფარავს, მხოლოდ თვალები და ბაგეები მოუჩანს. ამ როლის შემსრულებელი ფერუჩიო სოლერი ნამდვილი ვირტუოზია, ეკვილიბრისტივით თვალშეუვლები, აკრობატივით მოქნილი (თავისუფლად გადადის მალაყებს, დგება ყირაზე, დადის ხელებზე და ფეხებით "ტაშს" უკრავს მაყურებელს), ჟონგლიორივით მარჯვე და შეუმცდარი. მარმარილოს ფილაზე დაცემული ვერცხლისწყალივით მოძრაობს, ლაპარაკობს სხაპა-სხუპით, ყოველ წამს ცვლის ინტონაციას და რიტმს, ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდება, ბალეტის მოცეკვავის ნახტომით შემოდის სცენაზე და ძირს დაშვებამდე კიდევ ასწრებს ერთი მოძრაობის გაკეთებას. სპექტაკლის მონაწილენი თითქმის არ გადიან სცენიდან - კულისებში მოჩანს მშვენიერი ქალების სახეები, ბრიგელას ნიღაბი, პანტალონეს წვერები, დოქტორ ლომბარდის დიდი მუცელი. ისინი ჩართულნი არიან მოქმედებაში, იცინიან, ტაშს უკრავენ კარგად შესრულებულ ტრიუკს თუ "ლაცის", უადგილო ადგილას გამოვარდებიან სცენაზე (მოკარნახე უმალვე აბრუნებს უკან), ადრე წარმოთქვამენ მათთვის განკუთვნილ რეპლიკას, ან შეცდომით იწყებენ ლაპარაკს (აქაც მოკარნახე ჩაერთვება, ამეორებინებს სცენებს, პიესას მიუტანს თვალებთან - წაიკითხეთ, რას აკეთებთ, ხომ არ გაგიჟდითო).

უამრავ იმპროვიზაციულ ეტიუდს თხზავს ფერუჩიო სოლერი.

საკმარისია მაყურებელმა უადგილოდ გაიცინოს, რომ არლეკინმა თავი მიანებოს პარტნიორებს და ამ სიცილის პაროდირებით გადარიოს დარბაზი. საერთოდ მთელი აუდიტორია მისია, რასაც უნდა იმას აკეთებს თვითონ და რასაც უნდა იმას გააკეთებინებს მაყურებელს (მაგ.აფექტური წარმოსახვით გათამაშებული "ბუზის მოკვლის ეტიუდი" სულ მაყურებლის რეაქციაზეა აგებული, ანდა მეორე: ძირს დაგდებულ კონვერტზე მალაყით, უკანალით ხტება და ისე აწებებს. მაგრამ კონვერტი საჯდომზე აეკვრება და იწყება სასიყვარულო ბარათის გაუთავებელი ძებნა).

ყველაფერი, რასაც ფერუჩი აკეთებს პირველ მოქმედებაში, ხომ თავბრუდამხვევია, მაგრამ მეორე მოქმედება მთლიანად მისია - ეს ის სცენებია, როცა არლეკინი ერთდროულად ემსახურება თავის ორ ბატონს (ორივეს ჰგონია, მარტო ჩემი მოსამსახურეაო). არლეკინი დაჭრის სცენის ერთი კიდიდან მეორეში, სცენაზე დადგმული თეჯირებიდან ისვრიან ლამბაქებს, თეფშებს, ქოთნებს, ტაფებს, არლეკინი სირბილში იჭერს, უკან აბრუნებს, ისევ ისვრის - ჟონგლიორის ვირტუოზობით ათამაშებს მათ, ლანგარზე დადებული შემწვარი ინდაურით "კულბიტს" აკეთებს, შემდეგ ორ თეფშს ხელით მიარბენინებს, მესამეს ზურგზე იდგამს, ბრიგელას ხელიდან უვარდება გავარვარებული ტაფა (თეჯირებიდან ბოლქვებად ამოდის ბოლი), რომელსაც, რასაკვირველია, არლეკინი იჭერს (ეს სცენა რამდენჯერმე მეორდება), ბოლოს შემოაქვს დიდ თეფშზე დადებული ჟელე. ჟელე თრთის, ხტუნავს, ძაგძაგებს, არლეკინის მთელ სხეულს გადაედება ეს მოძრაობა, ბოლოს ჟელე გაჩერდება, მაგრამ არლეკინი გადაიქცევა ჟელედ. შეუძლებელია ყველა ტრიუკისა და იმპროვიზაციის აღწერა. ბოლოს ქარიშხალი ამოვარდება სცენაზე, დაბნელდება, ბნელში დანთქმული პერსონაჟები არლეკინს უხმობენ. შემოვარდება არლეკინი - ყველაფერი მზით გაბრწყინდება და მსახიობები კვლავ გაითამაშებენ პროლოგის სცენას.



ბოლოს კი "ნიღბოსნები" - პანტალონე, დოქტორი ლომბარდი, ბრიგელა ნიღბებს იხსნიან. არლეკინი მარტო რჩება სცენაზე და აჰა, იგიც გადაიძრობს ნიღაბს და ჩვენ კიდევ ერთხელ ვხდებით თეატრალური სასწაულის მოწმენი - ჩვენს წინ ხელგაშლილი დგას თმაჭაღარა, ნაოჭებით დაღარული სახით ფერუჩიო სოლერი, 73 წლის მსახიობი, რომელიც ამ როლს 40 წლის მანძილზე შეუცვლელად თამაშობს. ამბობენ, ახალგაზრდობაში ამ როლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამჯერ უფრო სწრაფად ასრულებდაო. ეს კი მართლაც წარმოუდგენელია! მეოცე საუკუნიდან ოცდამეერთე საუკუნეში გადმოსული სპექტაკლი მალე ჩამოვა სცენიდან. ახლა თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრება ევროპის ქვეყნებში და გენიალური ფერუჩიო სოლერი ამ როლს ემშვიდობება. ისევე, როგორც ჯორჯო სტრელერი დაემშვიდობა მეოცე საუკუნეს. მკითხველს ნუ ეგონება, რომ "არლეკინი" მხოლოდ თეატრის კარნავალური ზეიმია. თავბრუდამხვევი მხიარულების მიღმა ამ სოფლის წარმავლობის და უხანობის სევდაც სჭვივის. სპექტაკლის ფინალში, როცა ვენეციის მოედანს ქარიშხალი გადაუვლის, ჭექა-ქუხილი და ძლიერი ელვა ყურს და თვალს მოგვჭრის, კომედიის გმირები ლანდივით მსუბუქ სილუეტებად გადაიქცევიან გამჭვირვალე უკანა ფარდის მიღმა და თანდათან ქრებიან. ამ კლოუნადის დიდი ნიღბიდან კი, თითქოს იმზირება ჯორჯო სტრელერი, რომელიც დაფიქრებული შესცქერის ამ სანახაობას, რადგან მასზე უკეთ არავინ იცის, რომ ჩვენს გასამხიარულებლად "კომედია დელ არტედან" გამოხმობილი გმირები მალე დატოვებენ მზით განათებულ მოედანს და ვენეციის არხებზე ჩამოწოლილი წვიმიანი ღამის ნისლში გაქრებიან.

"ამ წუთებში მე თქვენთან არ ვიქნები, მარამ ეს არც ისე მნიშვნელოვანია. მე მანდა ვარ, ჩემს მსახიობებთან, მიზანსცენებში, სინათლის ეფექტებში, ყოველ ჟესტსა და ყოველ სიტყვაში...

ჩემი მხატვრული განსხეულება უფრო მეტია, ვიდრე პირადად ჩემი მანდ ყოფნა... მერწმუნეთ, ყველაზე მთავარია, რომ ყოველთვის არსებობდეს თეატრი, რომ იგი ვითარდებოდეს და უყვარდეს მაყურებელს... ჩვენ, მხატვრები, მხოლოდ თეატრალური პოეზიის ინსტრუმენტები ვართ. სწორედ ამ პოეზიაშია თეატრის არსი..." (ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც ავადმყოფობით დაუძლურებულმა ჯორჯო სტრელერმა მილანიდან გამოუგზავნა ჩეხოვის მეორე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს - 1996 წ. - რომელიც დაიხურა მისი ბრწყინვალე სპექტაკლით, მარივოს კომედიით - "მონათა კუნძულით").

გაგრძელება იქნება

არილი



მანანა მათიაშვილი

# "თავშეკავების უსაზღვრო ძალა"



ელიზაბეტ ბიშოპს ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობს. ეს ამერიკელი პოეტი ქალი მოგზაურული ჟანრის ელემენტებით შეზავებული მშვენიერი პოეზიითა და პროზით შემოდის ჩვენს ცნობიერებაში. მკითხველს თვალში ხვდება მისი შემოქმედების სტილური სისადავე, რაც ღრმა პოეტური ზემოქმედების უნართანაა შერწყმული. მისი ყველა ნაწარმოების დამახასიათებელ თავისებურებას შეუფარავი ავტობიოგრაფიულობა წარმოადგენს.

ცხოვრებაში მოკრძალებული, უპრეტენზიო პიროვნება იყო. ამ ფონზე მოულოდნელი არ ყოფილა ის აღიარება, რაც სიცოცხლეში ხვდა წილად. ჯილდოებით აღინიშნა მისი ყველა მცირე პოეტური კრებული: 1955 წელს პულიცერის პრემია მიიღო კრებულებისთვის: "ჩრდილოეთი და სამხრეთი" და "ცივი გაზაფხული"; 1965 წელს - ეროვნული ჯილდო წიგნისთვის "ზოგი რამ მოგზაურობაზე"; 1969 წელს - კვლავ ეროვნული ჯილდო "ყველა ლექსისთვის", ხოლო 1976 წელს - ნუშტადტის საერთაშორისო პრემია ლიტერატურაში პოეტური კრებულისათვის "გეოგრაფია III". ელიზაბეტ ბიშოპი პირველი ამერიკელი მწერალი და პირველი ქალი გახლდათ მათ შორის, ვისაც ეს პრემია მიენიჭა. ამგვარად, ბიშოპმა XX საუკუნის ჩრდილო-ამერიკულ ლიტერატურაში კუთვნილი ადგილი დაიკავა მოკრძალებული ნაღვაწის მიუხედავად.

ელიზაბეტ ბიშოპის ცხოვრება ჯერ სხვათა, შემდეგ კი საკუთარი ნებით მოგზაურის ცხოვრებას დაემსგავსა. თავის დროზე, ის ცხოვრობდა ნოვა სკოტიასა და პარიზში, ოურო პრეტოსა და უორჩესტერში, ლონდონსა და კივესტში, ფეკიფსსა და ქეიფქოდში, პეტროპოლისსა და სანფრანცისკოში, მეხიკოსა და ბოსტონში, ჩრდილო-ჰეივენსა და გრინვიჩ-ვილიჯში, სიეტლსა და რიო-დე-ჟანეიროში... ასე რომ, მისი შემოქმედების ცენტრში ბუნებრივად მოექცა მოგზაურობასთან დაკავშირებული თემები. იგი



მარიანა მური

წიგნებსაც კი გეოგრაფიულ სახელებს არქმევდა: "ჩრდილოეთი და სამხრეთი", "გეოგრაფია III", "ზოგი რამ მოგზაურობაზე", "ბრაზილია"...

ელიზაბეტ ბიშოპის ლიტერატურული ბიოგრაფია პირადი ბიოგრაფიის თანამიმდევრული ასლია. ყოფითი რეალიები უცვლელად გადადის მის ლექსებში, ზოგი მათგანი მშრალი რეალობის მშრალ ასახვადაც იქცევა. მოთხრობების თემას მხოლოდ წმინდა ავტობიოგრაფიული მასალა წარმოადგენს.

თანამედროვენი პოეტის პიროვნებას ყოველგვარი საკითხისადმი გაუზვიადებლობის, გამარტივებისა და ერთგვარი დაკნინებისაკენ მიდრეკილი მიდგომით ახასიათებენ. ეს არა მარტო პოეზიაში ვლინდება, არამედ ყოფითი სიტუაციებისადმი ბიშოპის დამოკიდებულებაშიც: ცნობილია, რომ ადრეული წლების შესახებ დაწერილ მოთხრობა-მოგონებებში ის საკუთარ თავს ებრძოდა, რათა სენტიმენტალობა და პიროვნული ტრაგედია ნაწერში არ გამჟღავნებულიყო. ცდილობდა, საკუთარი ცხოვრებისთვის ისეთივე უდრეკი მზერით ემზირა, როგორითაც მასზე მუდმივადმოქმედ გარემომცველ ბუნებას ჭვრეტდა. პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი მცდელობა მიზანს აღწევს - მკითხველი მწერლისადმი ალტაცებით იმსჭვალება, რადგანაც ნაწერში ავტორის პირადი სატკივარის კვალსაც კი ვერ ხედავს - მაშინ, როცა იგივე ნაწერი შინაარსობრივად, წმინდა ინფორმაციულობის თვალსაზრისით, საპირისპიროს მეტყველებს (ამ მოვლენის შესანიშნავი ნიმუშია ლექსი "One Art"). პოეტის ამ თვისებას ოქტავიო პასმა "თავშეკავების უსაზღვრო ძალა" დაარქვა და ელიზაბეტ ბიშოპის უდიდეს გაკვეთილად ჩათვალა.

ბიშოპის თავშეკავებულობის სათავე მისივე ტემპერამენტშია საძიებელი. ტემპერამენტულობაც მისი სტილის განუყოფელი ნაწილია. ფორმის შეგრძნების განსაკუთრებული ალღო ხელს უწყობს შექმნას ადვილად გასაგები, გამჭვირვალე და, ამასთანავე, მოწესრიგებული ტექსტური სტრუქტურა, რომელიც მხოლოდ თავის კონტექსტში იკითხება ისე, როგორც ავტორმა ჩაიფიქრა. მისი წერის მანერა დამკვირვებლურ-აღწერილობითია. სწორედ პირდაპირი და მკაცრად განსაზღვრული აღწერილობის შედეგად იშვება მისი ლექსების ღრმა ემოცია. მაგრამ ბიშოპი უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე ეს უბრალო დაკვირვებაა. თავის მშობლიურ ნოვა სკოტიაზე წერს თუ ბრაზილიაზე, ლექსს დროის ხანგრძლივი მონაკვეთის რეპრეზენტაციით ან ბუნების სურათების აღწერით იწყებს. ამ ხერხით აღწევს იმას, რომ ნებისმიერ საგანსა თუ მოვლენაში შეფარული საიდუმლო გააცხადოს. მაგალითად, ლექსით "მოსაცდელ ოთახში" (1970) ბიშოპი თვითონვე ცდილობს, გაარკვიოს, საიდან იღებს სათავეს მისი, როგორც დამკვირვებლის ინსტინქტი და აღმოაჩენს, რომ ადრეულ ბავშვობაში დეტალებისადმი ინტერესმა გაალვიძა მასში დამკვირვებელი. ამის საჩვენებლად იყენებს 1918 წელს მის ბიოგრაფიაში მომხდარ ფაქტს - 7 წლის ბავშვი დეიდას დანტისტის მოსაცდელ ოთახში ელოდება და ამ მონაკვეთში შეიმეცნებს სამყაროს აბსოლუტურ უცხოობას და დამთრგუნველ ძალას. ამ ლექსის ავტორი მართლაც რომ დამკვირვებელია. ისეთ დეტალებს ეჭიდება, როგორიცაა: სამაშველო ჟილეტი, ჩაფხუტი, თასმიანი ჩექმა, ცხენოსნის შარვალი და სხვა. ის აკვირდება, რადგან არ შეუძლია, არ დააკვირდეს.

ელიზაბეტ ბიშოპის ერთი ლექსის ("ჩემი ძვირფასი კომპასი") ლოიდ შვარცისეული განხილვა შეკუმშულად წარმოადგენს მთელ მის პოეზიას. ამიტომ ამ ესეს აქვე მოვიყვანთ:

"ეს უსათაურო ლექსი ელიზაბეტს არასოდეს გამოუქვეყნებია. ტიპიური არაპირდაპირობით ის სწორედ ბრაზილიას ეხება ან, უფრო სწორად, იმას, რაც არ არის ბრაზილია. იგი დაახლოებით 1960-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი და ბრაზილიის პერიოდის ლექსებიდან ეს ერთადერთია, რომელსაც ვიცნობთ.

ამ ლექსში ელიზაბეტ ბიშოპის ხმა სხვისაში ვერ აგერევა. აქაა - ზღაპრის უშუალობა და გასაფერადებელი წიგნის მხატვრულ სახეთა გამჭვირვალობა (სწორედ ის, რის გამოც რობერტ ლოუელმა ელიზაბეტს "ყოვლისმხედველი თვალი" უწოდა). აქაა - გეოგრაფიული მინიშნებები და მსოფლიო მოგზაურის დაუცხრომელი სული; დელიკატური, თუმცა აშკარა თვითირონია (როცა ამბობს: "პროტესტანტები და ღირსეული მსმელებიო" - ორივე შემთხვევაში თავის თავს გულისხმობდა); თხრობითი კილო, რაც ნიღბავს ვერსიფიკაციის კანონიკურ ხასიათს; დაჟინებული სექსუალობა (თუმცა - გაკვრით) და ცხოველებთან იდენტიფიკაციაც კი. "მე მწამს ირიბი, არაპირდაპირი მიდგომაო", - წერდა თავად.

ამ ლექსში ელიზაბეტი ბავშვობის ხანას უპირისპირებს იმ ცხოვრებას, რომელიც მოგვიანებით საკუთარი ნებით აირჩა. აქვე აკვირდება იმას, თუ როგორ დაშორდა თავის ფესვებს და იმასაც, თუ როგორ გაუძნელდა ფესვებს მოწყვეტა".

ლოიდ შვარცი ბიშოპის მეგობარი იყო, ამიტომ საინტერესოა მისი აზრი პოეტის სამწერლო მანერის შესახებაც: "ელიზაბეტი მუშაობისას ერთობ თვითკრიტიკული და წუნია იყო. სკეპტიკურად უყურებდა საკუთარ ნაწერს. ხანდახან წლები გაუტარებია ერთ ფრაზასა ან ერთ სიტყვაზე ფიქრში". ეს სიტყვები ლოიდ შვარცმა ბოსტონში, პოეტის ხსოვნის საღამოზე წარმოთქვა. იმავეს ამბობს მეგობრის შესახებ რობერტ ლოუელი, ოღონდ მისდამი მიძღვნილი ლექსით:

### ელიზაბეტ ბიშოპს

ნუთუ, შენ,
ისევ კიდებ სიტყვებს ჰაერში წლობით
დაუმთავრებლად, განცხადებების ვრცელ აბრაზე
მიკრულ ბლანკებად
ბრწყინვალე ფრაზის მოლოდინში? -
ერთგული მუზა გაასრულებს დაწყებულ საქმეს.

ბიშოპის ყველა მკითხველი, მეგობარი იქნება თუ მკვლევარი მისი, როგორც მწერლის, მაქსიმალიზმსა და სრულყოფისაკენ სწრაფვის სურვილს უსვამს ხაზს, ზოგი მკვლევარი კი მას "მწერალ-ასკეტსაც" უწოდებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ელიზაბეტ ბიშოპი



### თევზი

მე ერთხელ თევზი დავიჭირე უზარმაზარი
და ნავის გვერდით ჩამოვკიდე
წყლიდან ნახევრად ამოყვანილი.
ჩემი ანკესის ბასრი კაუჭი
ღრმად ჩასობოდა პირის კუთხეში.
არც კი უცდია გაბრძოლება,
მას საერთოდ არ უცდია თავის დაღწევა.
ეკიდა, როგორც მობუყბუყე უძრავი მასა,
შეუხედავი, დაბეგვილი
და ბებერი. ტანზე აქა-იქ
ნაკუწებად ეკიდა კანი
მოძველებული ყავისფერი შპალიერივით,
და ეს კანიც სავსე იყო მუქი ლაქებით
ვარდის ნაყშებით მოხატული შპალიერივით.
დაკონკილიყო მოლუსკებით -
მშვენიერი ბაფთებით კირის,
დაფუსფუსებდნენ
მის სხეულზე თეთრი მატლები,
ქვემოთ დასთრევდა წყალმცენარის
რამდენიმე მწვანე ნაფლეთი.
და ვიდრე მისი ლაყუჩები ისუნთქავდნენ
საზარელ ჟანგბადს, -
მისი ნედლი და სისხლშემხმარი ლაყუჩები
(რომლებიც, თურმე, ძნელად იჭრება),
წარმოვიდგინე მისი ხორცი, მკვრივი და თეთრი,
ფრთებივით მჭიდროდ ჩარიგებული,
მისი დიდი და პატარა ძვლები
და შავ-წითელი ნაწლავების
შთამბეჭდავი სლიკინა გარსი,
და ვარდისფერი მცურავი ბუშტი -
იორდასალამის ვეება ყვავილი.
მერე თვალებზე დავაკვირდი,
ჩემზე დიდი თვალები ჰქონდა -
მოყვითალო და გადმოკარკლული,
გაშეშებული ფერადი გარსი
მათ გადაკვროდა, როგორც ფოლგა,
და თვალის კაკლებს
დაორთქლილი ლინზის მიღმა ხედავდი თითქოს.
თვალები ოდნავ შეატრიალა,
არა იმიტომ, რომ მე უკეთ დავკვირვებოდი,
ეს იყო საგნის ბუნებრივი რეაქცია -
ლტოლვა სინათლის მიმართულებით.
მე მოვიხიბლე მისი პირქუში
სახით და ყბების მოწყობილობით.
შემდეგ შევნიშნე, რომ ქვედა ტუჩზე, -
თუ შეიძლება ეწოდოს ტუჩი
ამ სველ და საშიშ, იარაღისმაგვარ კიდეებს,
ეკიდა ძველი ანკესის ძუის
ოთხი თუ ხუთი მოკლე ნაფლეთი,
და სამუდამოდ ჩაზრდოდა ხორცში
ხუთი დიდი ბასრი კაუჭი.
მოჩანდა მწვანე ძუის ნაფლეთიც
ბოლოში ძლიერ ჩამოძენძილი -
აქ, ალბათ, მაშინ თევზმა გაწყვიტა;
მოჩანდა ორი მსხვილი ნაძენძი,
და მესამეც - შავი და წვრილი,
ზამბარასავით დაგრეხილი ხაზუნით და დაჭიმულობით,
ჩანს, ბოლოს, როცა ეს ძაფიც გაწყდა
თევზი აშკარა სიკვდილს დაუძვრა.
ხუთი კაუჭი - ხუთი მედალი
დამაგრებული გახუნებულ ბაფთებზე, ხუთი
ნაფლეთი ძუის - სიბრძნის ნიშანი
ჩამოშვებოდა მტკივანი ყბიდან.
მე შევყურებდი, შევყურებდი
და ფსკერიდან მოაჯირამდე
ნაქირავები პატარა ნავი
გამარჯვების ჟინმა აავსო.
ბენზინის გუბე ცისარტყელად გარდაისახა
ჟანგიანი ძრავის გარშემო.
და იგრძნობოდა გამარჯვება
ნარინჯისფრად დაჟანგულ სახაპელებში,
მზისგან დაღარულ სანიჩბეებში,
მათზე ჯაჭვებით მიბმულ ნიჩბებში...
ყველაფერი გაითქვიფა ცისარტყელაში,
ცისარტყელაში, ცისარტყელაში!

და მე გავუშვი თევზი.

*1946.*

* * *

ჩემი ძვირფასი კომპასი კვლავაც
მიმართულია ჩრდილოეთისკენ -
ხისგან ნაგები სახლებისა და
ცისფრადანთებულ თვალებისაკენ,

სადაც ზღაპრებში გადაკარგული
სელისთმიანი ვაჟიშვილები
უბრუნდებიან მშობლიურ სახლებს
და განაგრძობენ ბატების მწყემსვას,

იქ უყვართ ძილი სათივეებში
და მიაგებენ ჯეროვან პატივს
პროტესტანტებს და ღირსეულ მსმელებს...
უკვე წავიდნენ გაზაფხულები,

მაგრამ ისევ მწიფს,



ჩამოღვრილი სისხლის წვეთებად,
შტოშის ნაყოფი
და ლალისფრად - ველური ვაშლი,

ხოლო გედები ყელაღერებით
დადგაფუნობენ გაყინულ წყალში,
რა შეაციებთ -
ცხელი სისხლი უდუღთ ძარღვებში.

ჩვენ კი, რადგანაც ასე აცივდა,
ნაადრევად წავალთ საწოლში,
თუმცა, ძვირფასო,
ვერასოდეს ჩვენ ვერ გავთბებით.

* * *

სასწაულია, გაგველვიძოს ორივეს ერთად
და შემოგვესმას სახურავიდან უცაბედად წამოსული
წვიმის ხმაური; სასწაულია - შეიგრძნობდე
კამკამა ჰაერს,
რომელიც თითქოს ელექტრობამ დამუხტა განგებ
ცაზე გაჭიმულ მავთულების შავი ხლართიდან.
სახლის სახურავს წვიმა ასველებს,
ქვემოთ კი - კოცნა ასხივებს ნათელს.

ელექტროშტორმი ჩადგება თუ ამოვარდება
გამოგვაღვიძებს დამუხტული ჰაერის ჩხვლეტა.
ახლა მეხი რომ სახლს დაატყდეს, ერთიანად ჩამოიქცევა
ოთხცისფერჩინურბურთიანი სახურავიდან -
და დაფარავდა ნამსხვრები გზებს ჩვენს გარშემო.
სიზმარეულნი წარმოვიდგენთ, როგორ აიტანს
ელვის გალია ჩვენს სახლს ჰაერში
და საყურებლად ეს იქნება უფრო საამო, ვიდრე - საშიში.

და იმ მარტივი თვალთახედვიდან,
რასაც გაუჩენს კაცს ღამე და გულაღმა წოლა,
ამ სამყაროში შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს ძალზე
ადვილად,
რადგან ყოველთვის იარსებებს შავი ელექტრომავთულების
შერხევის საფრთხე. უმტკივნეულოდ შეიცვლება
მთელი სამყარო,
ისე უბრალოდ, როგორც ამინდი იცვლება, ანდა
მოულოდნელად
იელვებს ცაში. ჩვენ რომ კოცნისთვის გვჭირდება ის დრო
ძირფესვიანად შეცვლის სამყაროს.

## ONE ART

ძნელი არ არის დაკარგვაში დახელოვნება;
დაკარგვის ბედი დაჰყოლია უამრავ საგანს,
რომელთა კლება ჯერ არ ნიშნავს უბედურებას.

თითქმის ყოველდღე ვკარგავთ რამეს და დაგვაქვს სევდა
დაკარგული გასაღების ან გაფლანგული წუთების გამო.
ძნელი არ არის დაკარგვაში დახელოვნება.

დაგვეკარგება მერე რაღაც უფრო დიდი ხნით, ცხრა მთის
გადაღმა,
სახელები და ის ადგილები, მონახულებას რომ აპირებდი.
არც მათ დაკარგვას არ მოჰყვება უბედურება.

დავკარგე დედის ნაჩუქარი მაჯის საათი და ამას მოჰყვა
სამიდან ერთი უსაყვარლესი სახლის დაკარგვა.
ძნელი არ არის დაკარგვაში დახელოვნება.

დავკარგე ორი მშვენიერი მყუდრო ქალაქი. და უფრო მეტიც -
სამეფოები ციხე-კოშკებით, ორი მდინარე და კონტინენტი.
მონატრება მკლავს, მაგრამ არ იყო მათი დაკარგვაც
უბედურება.

შენც კი დაგკარგე (მე ხომ ისევ მიყვარს შენი ხმა).
რა მოგატყუო, დანაკარგი ცხადზე ცხადია -
დაკარგვა სულაც არ ყოფილა ძნელი ხელობა,
თუმც შეიძლება (აღიარე, რომ შეიძლება!) დაემსგავსოს
უბედურებას!
*1976.*



## სესტინა

სექტემბრის წვიმა ეღვრება სახლებს.
ერთგან მკრთალ შუქზე სამზარეულოს
პატარა ღუმელს უზის ბებია და
ბავშვს უკითხავს კალენდრიდან გასართობ ამბებს.
მოხუცი ცდილობს ლაპარაკით, მხიარულებით
ბუნიობის დღეს მოწოლილი ცრემლი დამალოს.

ბებიას აზრით, კალენდარში წინასწარ ითქვა
მისი ცრემლების და ძლიერი წვიმის შესახებ,
თუმც ამ მისნობის მას, ერთადერთს, ეუწყა მხოლოდ.
ღუმელზე რკინის ჩაიდანი დუღს და გადმოდუღს,
პურს ჭრის ბებია და ჩაიზე შვილიშვილს უხმობს:
"ჩაის სმის დროა!" - ბავშვს არ ესმის ქალის სიტყვები,

რადგან შესცქერის დაჟინებით ჩაიდნის დუღილს,
მისი ორთქლის წვეთების ცეკვას
შავი ღუმელის ცხელ ზედაპირზე და ფიქრობს:
"ალბათ, შეშლილივით ცეკვავს წვიმა ჩვენს სახურავზეც".
კითხვას რომ მორჩა, გრძნეულ კალენდარს
თავის ადგილი მიუჩინა ბებიამ თოკზე.

ფურცლებაშლილი კალენდარი ჰკიდია ჭერზე
და როგორც ჩიტი თავს დასტრიალებს ბავშვსა და მოხუცს
და ჩაის კოვზსაც, ყავისფერი ცრემლებით სავსე
რომ უჭირავს ხელში ბებიას.
სახლში აგრილდა. შესცივდა მოხუცს
და უმალ შეშა მიაშველა ღუმელს საწვავად.

"ჰო, ესეც ასე" - აგუზგუზდა ისევ ღუმელი,
და კალენდარმა ჩამოსძახა: "რაც ვიცი, ვიცი".
ბავშვმა დახატა მტკიცე სახლი ფერადი ცარცით
და ქარიანი ბილიკები. სახლში ჩახატა
კაცი, რომელსაც დააბნია ღილებად ცრემლი.
და მერე ნახატს სიამაყით უწვდის ბებიას.

თუმცა მალულად, სანამ მოხუცი
ღუმელთან საქმით იყო გართული,
ფურცლებაშლილი კალენდრიდან ჩამოსრიალდნენ
ვარსკვლავები და ნამლევა მთვარე და ცრემლებივით
დაიფანტნენ იმ ყვავილნარში, რომელიც ბავშვმა
დიდი სიფრთხილით მიახატა სახლის წინ სურათს.

კალენდრის დროით, დადგა ჟამი ცრემლების დარგვის,
უმღერს ბებია მოღუღუნე ღუმელის სითბოს,
ხოლო ბავშვი კი ისევ ხატავს მიუვალ სახლებს.

*1965*

*ინგლისურიდან თარგმნა* მანანა მათიაშვილმა



შეიმას ჰინი

# სიტყვის ერთმართველობა

## ელიოტის მემორიალური ლექციებიდან (1986)



რიჩარდ ელმანის სიტყვები იეიტსის შესახებ, ნებისმიერ სერიოზულ პოეტს ეხება: "მისი მიზანია გვაჩვენოს, რომ შესაძლებელია უხეში ძალის გარდაქმნა და თავგანწირვა...ჩვენი "წარმოსახვითი" "მე"-სთვის, რომელიც სხვა საწყაულით იზომება და ბევრით აღემატება ყველაფერ იმას, რასაც საზოგადოებრივი პირობითობები მოითხოვენ ადამიანისგან. თუკი ტანჯვა ჩვენი ხვედრია, უკეთესია ჩვენვე შევქმნათ სამყარო, სადაც დავიტანჯებით და ხშირად ასეც ვიქცევით ხოლმე: გმირები - ძალაუნებურად, შემოქმედნი - შეგნებულად, ყველა დანარჩენი კი შეძლებისდაგვარად".

ნებისმიერი პოეტი ასე თუ ისე ზემოთ მოყვანილ მოდელს მისდევს. მათ შორის ის წესიერი ავტორებიც, ვინც გაურბის მაღალფარდოვან სიტყვას, პატივს ცემს ენის დემოკრატიას და ან მეტყველების ტონით, ანდაც ყოველდღიურობით გვაჩვენებს, რომ მზად არის იმ ადამიანების მხარე დაიკავოს, ვინც სკეპტიკურად აფასებს პოეზიის უფლებას, იყოს განსაკუთრებული სტატუსის მქონე. პოეზია თვითკმარი რეალობაა, ეს ფაქტია. და რამდენად უფლებამოსილადაც არ უნდა მიაჩნდეს პოეტს თავი იმისთვის, რათა დანებდეს სოციალური, მორალური, პოლიტიკური და ისტორიული სინამდვილის ზეწოლას, ერთი რამ მაინც ცხადია - განსაკუთრებული ერთგულება პოეზიისადმი აუცილებელი წყაროა და პირობა ნებისმიერი მხატვრული მოვლენისა.

აი, რატომ გადავწყვიტე დღეს ელიზაბეტ ბიშოპის ერთი ლექსის - "თევზსაშენის ფარდულებთან" - შესახებ საუბარი. მასში ხედავ, რომ ერთ-ერთი ყველაზე თავშეკავებული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზრდილობიანი თანამედროვე პოეტი, თავისი ხელოვნების უძლეველი ვნებით აღტკინებული, იძულებული ხდება უარი თქვას ჩვევებზე და დაშორდეს აუდიტორიას. ხაზს გავუსვამ, რომ მშვიდობიანობის მიღმა ბიშოპთან მუდამ იდგა არა პირმოთნეობა, არამედ პატივისცემა მათ მიმართ, ვინც უხერხულად გრძნობს თავს პოეტურ თავკერძობასთან შეხებისას. როგორც წესი, იგი ხმას არ იმაღლებს, რათა არ ჩაახშოს ძლივს გასაგონი მისამღერი - ვთქვათ, ზღვისპირა სასტუმროში ჩამოსული ტურისტების ჩუმი საუბარი საუზმისას. ბიშოპი არ აბეზრებს თავს პუბლიკას ამოუწურავი და დაჟინებული კითხვით - ოსვენციმის მერე იქნებ დუმილი ჯობდესო პოეზიას და თავისებურად ესმის ხელოვნების პრივილეგიებთან დაკავშირებული ეჭვები, ასეთ კითხვაში რომაა დაფარული.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ელიზაბეტ ბიშოპი მთელი თავისი არსებით განწყობილია სჯეროდეს სიტყვის ერთმმართველობის - პოეტის თავგანწირვის ფასად. იგი თავშეკავებულია, არასდროს არაფერს იკვეხნის და ზრდილობის განსახიერებას წარმოადგენს. ზრდილობა კი, მოგეხსენებათ, სხვების მიმართ ვალდებულებებს გულისხმობს, ისევე როგორც ამ სხვათა ვალდებულებებსაც. პოეტი მოითხოვს პატივი სცენ საკუთრების უფლებას, ამ სიტყვის ყველაზე კარგი, ფართო და თავდაპირველი აზრით - აზრით, რომელიც განუყრელად თან ახლავს პიროვნებას თუ საგანს, რადგანაც ისინი ბუნებრივად ახასიათებენ მათ. გარდა ამისა, ელიზაბეტ ბიშოპი გარკვეულ სიმკაცრეს გულისხმობს და წინ მიუძღვის ისეთ ზმნებს, როგორიცაა "შეჰფერის", "ხამს" და ა.შ. მოკლედ, ამ შემთხვევაში მელექსეობის ერთ-ერთი ატრიბუტის სახით ზრდილობა საზღვრებს მოხაზავს და მთელი პოეტური ქმედების მასშტაბს განსაზღვრავს. იგი თავს იდებს მეტყველების მართვას.

მაგრამ ელიზაბეტ ბიშოპი პოეზიაში არამხოლოდ ზრდილობას აღიარებს და ცნობს. მან ასევე აიღო თავის თავზე ჭვრეტის მოვალეობაც. ჭვრეტა მას ჩვეულებად ექცა - მნიშვნელობა არა აქვს ბერ-მონაზვნურ, ჰოპკინსისეულ დაკვირვებას ვიგულისხმებთ თუ საყოველთაოდ მიღებულ, ყოველ დღე განმეორებად ქმედებას. მართლაც, მჭვრეტელი თითქოს ამშვიდებს, ათვინიერებს თავს და თუკი უწევს წინააღმდეგობას ხილულ გარემოს, მხოლოდ იმიტომ, რათა საკუთარი ადგილი დაიცვას, ჩრდილში დარჩეს, არ გამოჩნდეს. გასაკვირი არაა, რომ თავისი უკანასკნელი წიგნის სათაური ბიშოპმა ძველი სასკოლო სახელმძღვანელოს სატიტულო ფურცლიდან აიღო - "გეოგრაფია III კლასისთვის". ამით იგი თითქოს ხაზს უსვამს თავისი ლექსებისა და სახელმძღვანელოს პროზას შორის არსებულ მსგავსებას, რომელიც დეტალებისადმი თავისი ყურადღებით, აწონილ-დაწონილი კლასიფიკაციებითა და მიუკერძოებელი ჩამონათვალით სამყაროსთან მყარ და



გამოკვეთილ ურთიერთობებს ამკვიდრებს. წიგნის ეპიგრაფიდან ჩანს, რომ პოეტი თავს აიგივებს სიტყვებისა და საგნების შეკავშირების ამ პირველად, ნაცად ხერხებთან:

"რა არის გეოგრაფია? დედამიწის ზედაპირის აღწერა.

რა არის დედამიწა? პლანეტა ან ზეციური სხეული, რომელზეც ვცხოვრობთ.

რა ფორმისაა დედამიწა? მრგვალი, ბურთისებური.

რისგან შედგება მიწის ზედაპირი? წყლისგან და ხმელეთისგან".

პოეზიას, რომელიც ასეთი კატეხიზმური ფორმულებით სარგებლობს, ხილვებისა და ეპიფანიების წვდომა, რა თქმა უნდა, აკრძალული აქვს და "თევზსაშენის ფარდულებიც" მართლაც უზუსტესი აღწერით იწყება, რომელიც აირეკლავს იმას, თუ როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ შემოდის მატერიალური სამყარო პოეტის ნათელ და მშვიდ ცნობიერებაში:

ცივა დღეს საღამოს,
მოხუცი კი თავისას არ იშლის,
თევზსაშენის ერთ-ერთ ფარდულში
ჩამომჯდარა და ბადეს წნავს.
ბინდში ბადე თითქმის არ ჩანს -
თალხი, შავ-წითლად ნაქსოვი
- მხოლოდ გალეული მახათი თუ იელვებს ხოლმე.
ჰაერში თევზის ისეთი სუნი ტრიალებს,
რომ სუნქთვა ჭირს და თვალებიდან ცრემლი მომდის.
ფარდული ხუთია - დახრილი, წვეტიანი სახურავებით -
საწყობებამდე
ვიწრო, ნარანდი ფიცრით ნაჭედი ბილიკია გადებული
ურიკებისთვის.
ყველაფერი ვერცხლისფრად ბრწყინავს:
ზღვა - ზომიერად რომ ღელავს, თითქოს აშხეფებას
აპირებსო -
მქრქალი და ბინდისფერია;
ქვაფენილის, ომარებით სავსე კასრების,
შიშველ კლდეებს შორის გაფანტული ანძების ვერცხლი კი
შიგნიდან ანათებს,
როგორც ზღვებისკენ მიქცეული ძველი,
ზურმუხტისფერი ხავსით დაფარული სახლები.
თევზის დიდი კასრები ქაშაყის ულამაზესი ქერცლით
შემოსილა,
ქერცლითაა დაფარული ურიკებიც,
მბზინვარე, მოლივლივე ჯავშანში სხედან
და ქინქლების ფუსფუსში ინაბებიან.
სახლებს მიღმა, დაბალ ფერდობზე, ცვრით დანამულ
ბალახს გასცდები თუ არა
ხის ძველი კარი გამოჩნდება, ალაგ-ალაგ დამსკდარი,
გრძელი, შეთეთრებული სახელურებით
და ჟანგით შეჭმული რკინის ნაწილებზე დარჩენილი
სევდიანი ლაქებით (მიმხმარ სისხლს რომ ჰგავს).
მოხუცი გაწვდილ "ლაქი სთრაიქს" იღებს.
იგი პაპაჩემთან მეგობრობდა.
ვამბობთ, რომ მხარეში ხალხი გამოილია, ბევრი წავიდა,
ქაშაყებზე ვსაუბრობთ, სხვა თევზებზეც
და ბარკასის გამოჩენას ველით.
ტანსაცმელი და სახელოები მთლად ქერცლით
უბრწყინავს მოხუცს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ჩვენი მხარის სიამაყესა და მშვენებას ფხეკს,
ურიცხვი თევზის ქერცლს ფხეკს შავი, ალესილი
ძველი დანით.
ქვემოთ, ზღვასთან,
იმ ადგილას, სადაც ბარკასები დგებიან ხოლმე, გრძელი
ფერდობი მოჩანს,
წყლის ვერცხლით მოჭედილ ზედაპირს ერთვის.
რუხ ქვებზე სამი მორია გადებული,
ერთმანეთისგან ოთხი-ხუთი ფუტის დაშორებით.
ირგვლივ ღრმა, ანკარა და ცივი წყვდიადია,
სტიქია, სადაც ვერ იცხოვრებს ხმელეთის ბინადარი,
იქ მხოლოდ თევზები და სელაპები სახლობენ... ერთ
სელაპს ვიცნობ კიდეც.
საღამოობით ხშირად ვხედავდი, ნაპირთან მოდიოდა
ხოლმე.
მე მელოდებოდა.
მუსიკით იყო დაინტერესებული,
ჩემსავით სრული ჩაღრმავება უყვარდა,
და მეც ერთხელ ბაპტისტური ჰიმნები ვუმღერე,
"ღმერთი - ჩვენი საიმედო ბურჯია".
ადგილზე გაშეშდა და დიდხანს თვალს არ მაცილებდა,
თავი გადააქნია.
შემდეგ გაქრა, ტალღებს შეერია და ისევ გამოჩნდა
ზუსტად იმ ადგილას, სადაც ჩაყვინთა და
თითქოს მხრები აიჩეჩა,
აქაოდა, ეგ რა ჩემი საქმეაო.
ირგვლივ ღრმა, ანკარა და ცივი წყვდიადია,
სუფთა, ნაცრისფერი, ყინულოვანი წყალი...
ზემოთ კი, ჩვენს უკან,
ფესვმაგარი,მედიდური ნაძვები დგანან,
მოცისფრო ხეები თავიანთი განუყრელი ჩრდილებით:
დგას მილიონი საშობაო ნაძვი და შობას ელის.
წყალი კი თითქოს რუხ ქვებს შორის გამოეკიდა.
და მეც ძველებურად გავყურებ ზღვას
სადაც ქვებს შორის ნაზი და უხალისო ჭავლები მოჩანს,
ქვების თავზე კი ყინულოვანი დუმილი სუფევს,
ქვების თავზე და უფრო მაღლაც, მთელ სამყაროში,
ყველაფერი გარინდულა,
ყინულოვან დუმილს მოუცავს.
საკმარისია მხოლოდ ხელი ჩაჰყო მასში,
და მყისვე იგრძნობ მის ძალას,
ძვლებში ყრუ ტკივილი დაგივლის და ხელიც
დაიფერფლება,
თითქოს ეს წყალი სახეცვლილი ცეცხლი იყოს,
რომელიც იწვის, შთანთქავს ქვებს თავისი რუხი,
ბნელი ცეცხლის ალით.
მხოლოდ ენა შეახე და ჯერ სიმწარეს იგრძნობ,
შემდეგ სიმლაშეს,
ბოლოს კი მთლად დაგიწვავს პირს მისი სიმხურვალე.
ალბათ იგივეა ჩვენთვის ცოდნაც:
ბნელი, მლაშე და ანკარა,
სხარტი და თავნება.
იგი სამყაროს ამოვტაცეთ მტკიცე, ყინულოვანი ხაზიდან,
გაქვავებული მკერდიდან ამოვიყვანეთ.
და ეს ცოდნა მალევე გვისხლტება ხელიდან,
შემდეგ კი ისევ წავეტანებით ხოლმე - და რადგანაც იგი
ისტორიულია -
მაინც გაგვირბის, მოუხელთებელი რჩება.

ჩვენს წინაშე - ყველაფერ სხვასთან ერთად - დისციპლინირებული პოეტური წარმოსახვის შენელებული კადრები გაიელვებს, რომელიც ებრძვის გიგანტური ნახტომის გაკეთების გაუნელებელ სურვილს, ვერ ბედავს და ბოლოს და ბოლოს, მტკიცე გადაწყვეტილებით შეგულიანებული უყოყმანოდ აკეთებს ამ ნახტომს. წერის ძუნწი, თავდადებული, საოცრად დაძაბული მანერა ლექსის ლამის ორ მესამედში ჩვენს ყურადღებას გარე სამყაროზე მიმართავს, სასაუბრო ენა არ იშურებს წვრილმანებს, ყოფითი, პატრიარქალური ატმოსფერო დიდი სითბოთია აღწერილი. მოხუცი პაპაც კი გამოჩნდება. და მაინც, ეს უძველესი სამყარო დროდადრო გამოცოცხლდება ხოლმე თევზის ქერცლის ბრწყინვალებით, მწვანე ბალახის ბიბინითა და ქინქლების ფუსფუსით. ხატიდან ხატამდე, დეტალ-დეტალ, ერთი დაკვირვება მეორეს ერწყმის და სხვადასხვა დონეზე თუ ხედვის სხვადასხვა კუთხიდან სამყარო ჩვენს თვალწინ ნელ-ნელა სუნთქვას იწყებს, ცოცხლდება. იგრძნობა სისტემატური ხედვა, ფეხზე მყარად მდგომი დამკვირვებელი, რომელსაც მზერა ჯერ ზღვაზე გადააქვს, შემდეგ კი თევზიან კასრებზე და მოხუცზე. მთხრობელის ხმაც თამამად ჟღერს, იგი თავშეკავებულია და არ ინთქმება საკუთარ არსებაში, ჩანს საგნებისადმი გონიერი დამოკიდებულება, ყველაფრის ზუსტად აღწერის სურვილი. ეს არც ქოშინია და არც უსიცოცხლო ბუტბუტი, იგი პირამდე სავსეა, ზღვასავით, რომელიც ზომიერად ღელავს "თითქოს აშხეფებას აპირებსო" და უეცრად, მართლაც შეირხევა, შხეფებს აყრის:

> ირგვლივ ღრმა, ანკარა და ცივი წყვდიადია,
> სტიქია, სადაც ვერ იცხოვრებს ხმელეთის ბინადარი,
> იქ მხოლოდ თევზები და სელაპები სახლობენ...
> ერთ სელაპს ვიცნობ კიდეც.

დაკვირვების ჩვევა, როგორც მოგახსენეთ, გამორიცხავს ხილვათა ჩარევას. და მაინც, იგი თავს იჩენს, რიტმული ზეაღსვლა გვაფრთხილებს: ახლა რაღაც მოხდება... თუნდაც მოგვიანებით. სასაუბრო ტონი ქრება, მაგრამ ამ დროს ვხედავთ საიქიოს მოციქულივით თუ ზღვის კლოუნივით მოვლენილ სელაპს, რომელიც განბილებულია მაღალფარდოვანი სიტყვების საცდურით. და მაინც, სელაპი სასწაულისკენ მიგვიძღვის, უცნაურთან ზიარების ნიშნად აღიქმება: იგი სიღრმეში იმალება, თან ითრევს ლექსსაც და ყველაზე საჭირო მომენტში იდუმალებით მოსავს მას. ბოლოს და ბოლოს, სელაპი ხომ მარტო გარესამყაროთი არ დაკმაყოფილდება და, რა თქმა უნდა, არც პოეტს შეშვენის ამგვარი საქციელი, იგი ხომ "სრული ჩაღრმავების მომხრეა".

ეს არ ნიშნავს, რომ გარესამყაროს, ადამიანური ერთგულების, წინაპრების, "ლაქი სტრაიქისა" და საშობაო ნაძვის ხისადმი სიყვარული უკვალოდ გაქრა. უბრალოდ, მას სხვა, უხილავი და საშიში ძალა უხმობს და ითრევს; ესაა აზრის სამყარო, შემეცნების ნება, რომელიც აშორებს ადამიანს სელაპებსა და ქაშაყებს, საკუთარი თავის ამარა ტოვებს, მარტო, პაპისა და მოხუცის გარეშე.

იგი ბედისწერისა და მოკვდავობის სხივით განათებულ სანაპიროზე დგას. შემეცნებისკენ ლტოლვას პოეტი მყისვე საუკუნეებს მიღმა მიუძღვება, სოკრატემდელთა მოკრძალებულ, მთრთოლვარე სიბრძნემდე და იგი უეცრად ხედავს წყლის ამ სტიქიის დასაბამიერობას:

საკმარისია მხოლოდ ხელი ჩაჰყო მასში,
და მყისვე იგრძნობ მის ძალას,
ძვლებში ყრუ ტკივილი დაგივლის და ხელიც
დაგეფერფლება,
თითქოს ეს წყალი სახეცვლილი ცეცხლი იყოს,
რომელიც იწვის, შთანთქავს ქვებს თავისი რუხი,
ბნელი ცეცხლის ალით.
მხოლოდ ენა შეახე და ჯერ სიმწარეს იგრძნობ,
შემდეგ სიმლაშეს,
ბოლოს კი მთლად დაგიწვავს პირს მისი სიმხურვალე.
ალბათ იგივეა ჩვენთვის ცოდნაც:
ბნელი, მლაშე და ანკარა,
სხარტი და თავნება.
იგი სამყაროს ამოვტაცეთ მტკიცე, ყინულოვანი ხახიდან,
გაქვავებული მკერდიდან ამოვიყვანეთ
და ეს ცოდნა მალევე გვისხლტება ხელიდან,
შემდეგ კი ისევ წავეტანებით ხოლმე - და რადგანაც იგი
ისტორიულია -
მაინც გაგვირბის, მოუხელთებელი რჩება.

სტილი ინარჩუნებს მსგავსებას გეოგრაფიის სახელმძღვანელოში ამოკითხულ მარტივ წინადადებებთან. ყოველი ფრაზა ცხადი და უეჭველია, მაგრამ ეს ფინალური სტრიქონები, მაინც პოეზიაა და არა გეოგრაფია და დღის ჭეშმარიტებასთან ერთად სიზმრისეულ ჭეშმარიტებასაც გვაზიარებს და იგი იმდენადაა ზუსტი, რამდენადაც მოჩვენებითი. გარდა ამისა, მასში არის ნებისმიერი ლირიკის sine qua non (აუცილებელი პირობა) - აბსოლუტურად დამაჯერებელი შინაგანი რიტმი, რომელიც ყველაზე მეტად წყალუხვი დინების მძიმე ტალღებსა ჰგავს. მას ღრმად გულახდილი ინტონაცია ამოძრავებს, რომელიც, როგორც რობერტ ფროსტი იტყოდა, "ენის ქვეშ სახლობს და ნებისმიერ სიტყვაზე ძველია"... და ეს ინტონაცია იგივეს აკეთებს, რასაც არსებითად პოეზია: ანუ გვარწმუნებს ვენდოთ საკუთარ ინტუიციას. გვშველის, რათა ჩვენი "მე"-ს პირველქმნილი სიღრმეებიდან ადამიანური ბუნების ყველაზე ფარული, ასოციალური წიაღიდან აღმოვთქვათ: "დიახ, მე ასე ვფიქრობდი. დიახ, ყველაფერი ეს მართალია და გმადლობთ, რათა სიტყვები გამონახეთ და გაგვაგებინეთ ეს საიდუმლო". სიტყვის ერთმმართველობაც სწორედ ამით იმხრობს ჩვენი, ამომრჩევლების ხმებს.

თარგმნა მიხო ხარაძემ








**1968 წლის მაისის** მოვლენებში შემთხვევითობამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი და სწორედ ასეთი შემთხვევითობების და უმართაობის წყალობით - რომელსაც წარმოუდგენელი ერთსულოვნებაც დაერთო - ეს მღელვარება მალე მთელ მსოფლიოს მოედო: ბერლინში, ჩიკაგოსა და ამერიკის სხვა ქალაქებში, რომში, მეხიკოსა თუ სამხრეთ ამერიკაში, ყველგან ახალგაზრდული მოძრაობა აგორდა.

თავად საფრანგეთში მან არნახული მასშტაბი შეიძინა (მაისის ბოლოსთვის ქვეყანაში 10 მილიონზე მეტი ადამიანი გაიფიცა); თითქოს საზოგადოებამ უეცრად გააცნობიერა შექმნილი ვითარების აუტანლობა და წინასწარ განჭვრიტა ახალი შესაძლებლობები, რომლებიც ამ მოვლენებს უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამბოხებით სულ სხვა ძალებმა ისარგებლეს და ენერგია, რომელიც "შეუძლებელი რეალობისკენ" სწრაფვიდან იშვა, ერთნაირი მონდომებით ჩაახშეს მემარჯვენეების რეაქციამაც და მემარცხენეებმაც. მოგვიანებით ხელისუფლება მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ ჩქმალავდა 68 წლის მაისის მნიშვნელობას და ცდილობდა ბოლომდე გაექრო მისი კვალი.

უკვე 80-90-იან წლებში ფრანგი ინტელექტუალები 68 წლის მოვლენებს არც რაიმე კრიზისის შედეგად მიიჩნევდნენ და არც მასზე რეაქციად. პირიქით, ისინი ფიქრობდნენ, რომ მაისის მოვლენათა გაუთვალისწინებლობას და იმას, რომ საზოგადოებამ ვერ გაითავისა 68 წლის გამოცდილება, მოჰყვა ის, რაც 90-იანებში ხდებოდა.

დღეს სულ სხვა ღირებულებები ბატონობს მსოფლიოში, არადა, მაშინ არავინ ულრმავდებოდა მეტაფიზიკას, რევოლუციის რაობას. ეს გოგო-ბიჭები უბრალოდ ერთმანეთს მისდევდნენ, საკუთარი "უკონტროლო სტიქიურობით" ატანილი მიჯნურები კვალში ედგნენ თავიანთ გულისსწორებს და მათთვის აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობაც, პრინციპში, ეროტიულ ლტოლვად აღიქმებოდა (გაიხსენეთ ეკოს შესანიშნავი, მსუბუქი ირონიით შეფერილი სტრიქონები "ფუკოს ქანქარადან").

შემთხვევითი არაა, რომ პარიზის მოვლენებთან დაკავშირებით ფილიპ სოლერსმა ჟორჟ ბატაის სიტყვები მოიხმო, შემდეგ კი დასძინა: "ჭეშმარიტი რეალობა, როგორც სიყვარული - შეუძლებლის სფეროს ეკუთვნის, წარმოსახვა კი შეზღუდულია ჩვენს სტანდარტულ ჩარჩოებში"-ო.

მთარგმნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანიელ კონ-ბენდიტი
ჟან-პოლ სარტრი

# „ჩვენი ძალა უკონტროლო სტიქიურობას ეყრდნობა"

**სარტრი: სულ რამდენიმე დღის მანძილზე, შეტაკებისკენ ყველანაირი მოწოდების გარეშე, მთელი ქვეყანა პრაქტიკულად პარალიზებული აღმოჩნდა გაფიცვებით. ყველაფრის მიზეზი სტუდენტები არიან, რომლებიც ლათინურ კვარტალს დაეპატრონენ. თავად როგორ აფასებთ მოძრაობას, რომლის სათავეშიც აღმოჩნდით? რამდენ ხანს შეიძლება მან საერთოდ გასტანოს?**

კონ-ბენდიტი: თავიდან, რა თქმა უნდა, არ ველოდით ასეთ რეაქციას, მაგრამ ახლა უმთავრესი მიზანი მხოლოდ მმართველი რეჟიმის დამხობა შეიძლება იყოს. მოხდება თუ არა ეს, მხოლოდ ჩვენზე არაა დამოკიდებული. კომპარტია, შრომის საყოველთაო კონფედერაცია და სხვა პროფკავშირული ორგანიზაციები რომ ერთ აზრზე იდგნენ, მთავრობა ორიოდე კვირაში დაემხობოდა; ყველა მუშის ერთობლივ დარტყმას დღეს ვერაფერი დაუპირისპირდება... და მაინც, არა მგონია, რომ რევოლუციები აი ასე, უეცრად ხდებოდეს, ერთ დღეში. ჩემი აზრით, მხოლოდ თანდათანობით შეიძლება სიტუაცია შევცვალოთ და ამის ბიძგად კონკრეტული რევოლუციური ქმედებები უნდა იქცეს. სწორედ ამ აზრით, სტუდენტური მოძრაობა – რომელმაც, უნდა ითქვას, მაინც ბევრი რამის შეცვლა მოახერხა უმაღლესი განათლების სისტემაში – სამაგალითო შეიძლება გახდეს ახალგაზრდა მუშებისთვის. კლასობრივი ბრძოლის ნაცადი ხერხების დახმარებით – გაფიცვები, ქუჩის ბარიკადები, სამუშაო დაწესებულებების ბლოკადა – ჩვენ უპირველესი დაბრკოლება დავძლიეთ, განვძარცვეთ მითი იმის შესახებ, რომ „ამ რეჟიმს ვერ გაუმკლავდები". ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ეს ასე არაა. შესაძლოა მუშებმა ბოლომდე არ იბრძოლონ, მაგრამ სხვა სახის აქტივობაც ხომ იქნება. მთავარია, რომ ყველა დარწმუნდა ბრძოლის რევოლუციური მეთოდების შედეგიანობაში...

**ს.: კი მაგრამ, საკითხი – ზედაპირული ცვლილებები თუ რევოლუცია – ჯერ კიდევ აქტუალურია. თქვენ მართალი ხართ – ყველაფერს, რასაც ძალით მოვიპოვებთ, მსუბუქი გარდაქმნის მომხრეები თავის სასიკეთოდ გამოიყენებენ. თქვენი გამოსვლების წყალობით, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება უნივერსიტეტებში, მაგრამ თავად ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლებს იგი ვერ შეარყევს...**

კ.ბ.: იცით, მე ნაკლებად მაინტერესებს მეტაფიზიკაში ჩაღრმავება და იმაზე ფიქრი, თუ როგორ მოვახდინოთ რევოლუცია. მე ვფიქრობ, ჩვენ ისეთი საზოგადოებისკენ მივდივართ, რომელიც განუწყვეტლივ შეიცვლება, ოღონდ ეს ყოველთვის მოხდება ლოკალური, კონკრეტული რევოლუციური ქმედებების გავლენით. რადიკალური ძვრა კი, მთელი საზოგადოებრივი წყობისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუკი ერთმანეთს დაემთხვევა, ვთქვათ, უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი, მუშათა ძლიერი მოძრაობა და სტუდენტების მასობრივი მხარდაჭერა. დღეს ასე არაა. ყველაზე დიდი, რასაც შეგვიძლია მივაღწიოთ, ესაა მთავრობის გადადგომა, მაგრამ ბურჟუაზიულ საზოგადოებას ჩვენ ვერაფერს დავაკლებთ. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყურები უნდა ჩამოვყაროთ; პირიქით, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მოვიპოვოთ გამარჯვება – შეგვიძლია თუნდაც არსებული წყობის წინააღმდეგ პროტესტით დავიწყოთ...

ბოლო ორი კვირის მოვლენები, ჩემი აზრით, დამაჯერებლად უკუაგდებს „რევოლუციური ავანგარდის" ცნობილ თეორიას, რომელსაც თითქოს სახალხო მასები მიჰყვება. ნანტერსა და პარიზში უბრალოდ შესაბამისი ობიექტური სიტუაცია შეიქმნა, იგი სტუდენტთა უბრალო უკმაყოფილებიდან იშვა და იმ გამბედაობიდან, რომლითაც ისინი მმართველ კლასს დაუპირისპირდნენ... ზოგჯერ ამგვარ ობიექტურ სიტუაციებში საზოგადოებრივი მისწრაფებები გარკვეული სპონტანურობის ელემენტებს იძენენ. სიმართლე ითქვას, სწორედ უმრავლესობა და არა ხელმძღვანელთა მცირე ჯგუფის ლოზუნგები, იძლევა წინსვლის შესაძლებლობას.





**ს.: კი მაგრამ, უმრავლესობისთვის გაუგებარია ის, რომ თქვენ არ შეიმუშავებთ პროგრამას, არ აძლევთ მოძრაობას რაიმე სტრუქტურას. თქვენ „ყველაფრის დანგრევის" სურვილს გაბრალებენ და თან იმასაც ამბობენ, ამის სანაცვლოდ არაფერს გვთავაზობსო.**

კ.ბ.: რა თქმა უნდა! ყველას და პირველ რიგში მთავრობას, აწყობს, რომ ჩვენ პარტია შევქმნათ და გამოვაცხადოთ: „აი, ჩვენი ხალხი, ჩვენი მიზნები და ამ მიზნებს ასე და ასე მივაღწევთ.." მაშინვე ნათელი გახდებოდა, რას წარმოადგენდა ეს მოვლენა და როგორ შეიძლებოდა მისი დამარცხება, არ იქნებოდა ეს „ანარქია", „ქაოსი", მაგრამ ჩვენი ძალა სწორედ ასეთ უკონტროლო სტიქიურობას ეყრდნობა, სწრაფვას, რომელსაც არაფერზე მივმართავთ, არ გვინდა რაღაცნაირად გამოვიყენოთ მისგან შობილი ენერგია... ერთადერთი იმედი ჩვენი მოძრაობისთვის ეს არეულობაა, როცა ადამიანები უფრო თავისუფლად ფიქრობენ და მოქმედებენ; ალბათ მხოლოდ აქედან შეიძლება იშვას რაღაცნაირი თვითორგანიზაცია...

**ს.: თქვენ თქვით, რომ სტუდენტთა მოძრაობამ თავის პიკს მიაღწია. მაგრამ მალე არდადეგები მოდის და შესაძლოა მოძრაობა შეჩერდეს, ან საერთოდ, უკან დაიხიოს. მთავრობა ისარგებლებს ამით, რათა რეფორმები დაიწყოს... მაგრამ ისინი ერთი მისხალითაც არ შეცვლიან სისტემას, როგორც ასეთს, ისინი ხომ მხოლოდ იმ პირობებს მიიღებენ, რისი დაკმაყოფილების შესაძლებლობაც ექნებათ, ისე, რომ არაფერი დაუშავდეს მის არსებობას. თქვენი აზრით, რეალურია თუ არა ისეთი „ცვლილებები", რომლებიც ჩვენ ბურჟუაზიულ უნივერსიტეტებში რაღაც ახალს, რევოლუციურს მოიტანენ: ალბათ საუნივერსიტეტო განათლება არ დაკარგავს თავის ახლანდელ ფუნქციას – სისტემის მოთხოვნილებებზე ზუსტად მორგებული ახალი კადრების გამოცხობას.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ.ბ.: უპირველეს ყოვლისა ვფიქრობ, რომ რეფორმები საკმარისი იქნება სტუდენტების სრული დემობილიზაციისთვის. დიახ, არდადეგებზე სიტუაცია მიჩუმდება, მაგრამ ეს არ გამოიწვევს მოძრაობის გათიშვას... არსებითად, მთავრობის მიერ პროვოცირებული დღევანდელი მოუწესრიგებელი, სპონტანური გამოსვლების გამოცდილება უფრო ეფექტურს გახდის იმ ამბოხს, რომელიც, შესაძლოა შემოდგომაზე ახლიდან აფეთქდეს. არდადეგები, უბრალოდ, საშუალებას მისცემს სტუდენტებს, გააცნობიერონ თავიანთი დაბნეულობა - ამ ორი კვირის მანძილზე რომ გაცხადდა - და კარგად მოიფიქრონ, რა უნდათ და რა შეუძლიათ გააკეთონ.

რაც შეეხება უნივერსიტეტის თავისებური "ანტიგანათლების" ცენტრად გადაქცევის შესაძლებლობას, საიდანაც "თეთრსაყელოიანი" გოგო-ბიჭები კი არა, ახალგაზრდა რევოლუციონერები გამოვლენ - ჩემი აზრით, ასეთი იმედი ცოტათი იდეალისტურია. ბურჟუაზიულ განათლებას, რეფორმირებულსაც კი, მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის მისაღები სპეციალისტების აღზრდა შეუძლია. ეს გიგანტური კონვეირი, უბრალოდ, ითრევს ადამიანებს. უკეთეს შემთხვევაში, ისინი რაღაც ზომიერი მემარცხენეები გახდებიან, მაგრამ ასე თუ ისე, ობიექტურად ისინი მაინც ხელის ბიჭებად დარჩებიან და საზოგადოებრივი მანქანაც მათზე იქნება დაფუძნებული.

ჩვენთვის უფრო საინტერესოა ცხოვრებაში გავატაროთ იდეა ე.წ. პარალელური განათლებისა - ნაკლებად ბუნდოვან-ჰუმანიტარული, უფრო პოლიტიზებული... ასეთი განათლების ამოცანები, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს სისტემის მოთხოვნებს და ამიტომაც, ალბათ, იგი დიდხანს ვერ იარსებებს, მას რეაქცია მოჰყვება და მოძრაობას ჩაახშობენ. მაგრამ საქმე იმაშიც კი არაა, რომ მთელი კაპიტალისტური საზოგადოების რეფორმირება მოვახდინოთ, - მთავარია, მივაგნოთ ისეთ რაღაცას, რაც სრულად დაუპირისპირდებოდა თავად ამ საზოგადოების პრინციპებს, რომელმაც შესაძლოა დიდხანსაც ვერ გაძლოს, მაგრამ შეძლებს რაღაც რეალური შესაძლებლობები დასახოს მომავლისთვის: თითქოს რაღაც გაკრთა იქ, შორს და მყისვე გაქრა. ასეთი გაკრთომა საკმარისია, რათა დავიჯეროთ, რომ გამოსავალი არსებობს.

ჩვენ ნამდვილად არა გვაქვს იმედი, რომ ქვეყანაში სოციალისტური ტიპის უნივერსიტეტი შეიქმნება, ყველას ესმის, რომ უნივერსიტეტების დანიშნულება არ შეიცვლება, სანამ საზოგადოება იქნება ასეთი. მაგრამ, როგორც გვგონია, სისტემის მონოლითი უკვე შეირყა და მის ბზარებში შესაძლოა სრულიად ახალი შესაძლებლობები გამოჩნდეს.

*Le Nouvel Observateur, 20 მაისი 1968*






მორის კლაველი

# ნუ ეძებთ არამზადებს ქუჩებში



ეს რევოლუცია სულის რევოლუციაა, აი, რას უნდა გავყვიროდეთ მთელი ძალით, ყველა ქუჩაზე, ყველა კუთხეში. გონება შურს იძიებს ძველი წყენების გამო. უკვე დადგა დრო. ეს ჩვენი უკანასკნელი იმედია, იგი ახალგაზრდა სტუდენტებსა და მუშებს უპყრიათ ხელთ. მათ არ სჭირდებათ ზედმეტი ხუთი ათასი ფრანკი თვეში, მათ ცხოვრების შეცვლა სურთ. ასეთ ცვლილებათა რეცეპტი უბრალოა, როგორც გამოცხადება, როგორც მეხის დაცემა. ეს უბრალოება გადამდებია და ჩვენს თვალწინ ვრცელდება. მისი არ უნდა შეგვეშინდეს - იგი ჩვეული, წმიდათაწმიდა სასწაულივითაა.

ძველებურად ცხოვრება უკვე აღარ შეიძლება და ეს ცვლილებები ამგვარი შემთხვევებისთვის დამახასიათებელი ადამიანური მსხვერპლის გარეშე უნდა მოხდეს! დამნაშავეთა დიდხანს ძებნა არ მოგვიწევს, ეს არამზადები მაღალჭერიან კაბინეტებში სხედან, აი, რა მინდა შევაგნებინო ჩვენს წესიერ ბურჟუებს.

მართლაც, ორიდან ერთი: ყველა ის წარმოუდგენელი დათმობა მუშების სასარგებლოდ - რაზეც გუშინ ჩვენი სულთმობრძავი მთავრობა წავიდა - ან ისედაც შესაძლებელი იყო, ან არა. თუ მთავრობას ეს შეეძლო, მაშინ გამოდის, რომ მთელი ეს წლები იგი, უბრალოდ, ექსპლუატაციას უწევდა და ძარცვავდა მუშებს, ითვისებდა მათი შრომის ნაყოფს. ასეთ შემთხვევაში მთავრობა ხალხის მტერი გამოდის. თუკი არ შეეძლო დათმობებზე წასვლა, ე.ი. ახლა იგი მხოლოდ საკუთარ კრახს გაურბის და უფსკრულისკენ მიაქანებს მთელ საფრანგეთს. ასეთ შემთხვევაში კი საქმე გვაქვს სამშობლოს ღალატთან.

რაც არ უნდა მოხდეს - ყველაზე უარესიც კი - მაინც ყველაფერს გაამართლებენ; ამაში ადვილად დარწმუნდებით, საკმარისია მხოლოდ დააკვირდე, შეხედო ამ არამზადებს. დღევანდელ ახალგაზრდობას არაფერი აქვს სალაპარაკო ასეთ ადამიანებთან.

*Combat,28 მაისი 1968*

***იმავე დღეს ჟან-ჟაკ პოვერის გამომცემლობამ ეს მიმართვა პროკლამაციის სახით დაბეჭდა და ლათინურ კვარტალში გამოაკრა.***

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრანსუა ტრიუფო

# კანი
# 1968 წლის მაისი



ჩემთვის მაშინდელი სინემათეკის გარშემო განვითარებული მოვლენები (1) მაისის მღელვარებათა თავისებურ პროლოგს წარმოადგენდა... თუკი საგნებს ცოტათი ცინიკურად შევხედავთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ თუკი არაფერი გამოგვდის კაბინეტებსა და თათბირებზე, ქუჩებში უნდა გამოვიდეთ.

დავუბრუნდეთ 1968 წლის მაისის კანს...

მოვლენებს რადიოთი ვადევნებდი თვალყურს; ეს ხდებოდა 17 მაისამდე, ამ დღეს კანში უნდა წავსულიყავი და სინემათეკასთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაში უნდა მიმეღო მონაწილეობა. ორლიდან თვითმფრინავები უკვე აღარ დაფრინავდნენ, ასე რომ, მანქანა ვიქირავე და მთელი საფრანგეთი ისე გადავჭერი, ყური არ მომიცილებია რადიოსთვის. მახსოვს, ყოველ ნახევარ საათში ახალი ამბები ახალ-ახალ გაფიცვებსა და ფაბრიკების პარალიზებაზე გვაუწყებდა. სიმართლე ითქვას, სწორედ იმ დღეს დაიწყო წარმოების მასობრივი შეჩერება, რომელიც კვირას, 19-ში ქვეყნის სრული პარალიჩით დამთავრდა. როცა სასტუმროში მივედი, გადმომცეს, რომ ჟაკ რივეტი მეძებდა. რამდენჯერმე დაურეკავს კიდეც. იგი კინემატოგრაფისტების ყრილობაზე იყო, ვოჟირარში, სადაც არ წავედი. ბოლოს და ბოლოს, თავად დავუკავშირდი - ზუსტად არ მახსოვს, მასთან დავრეკე თუ რომელიმე მის მეგობართან - და მესმის: "იცი რა, ჩვენ გადავწყვიტეთ გავაჩეროთ კანის ფესტივალი". უეცრად ძალზე ბუნებრივად მომეჩვენა ეს გადაწყვეტილება, თითქოს თავისთავად ცხადი იყო, რომ ასეც უნდა მომხდარიყო; გადავურეკე კიდევ რამდენიმე მეგობარს და გავაფრთხილე ამის შესახებ. საჭირო იყო მხოლოდ ფაქტის წინაშე დაგვეყენებინა ხალხი. შევხვდი ლუი მალს - იგი ჟიურის წევრი იყო - და მან თავის მხრივ, სხვების აგიტირება დაიწყო (მონიკა ვიტის, ტერენს იანგის (2), რომან პოლანსკის), მოუწოდებდა, უარი ეთქვათ ჟიურის წევრობაზე. შემდეგ რეჟისორებსაც დავუკავშირდით, ვცდილობდით გაგვეგო, ვინ იყო მზად იმისთვის, რომ თავისი ფილმი მოეხსნა კონკურსიდან.

მეორე დღეს, თერთმეტი საათისთვის, გოდარი მოვიდა; მზადების დრო აღარ იყო. ყველაფერი ჟურნალისტებითა და კინოს მოყვარულებით გადაჭედილ ჟან კოკტოს დარბაზში ხდებოდა. მე გამოვედი და ტექსტი წავიკითხე, სულ რამდენიმე სტრიქონი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ყრილობის დელეგატები ფესტივალის შეჩერებას მოითხოვენ და მონაწილეებს მოუწოდებენ, შემოუერთდნენ ამ საერთო აქციას. ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მხარი დაგვეჭირა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისთვის. საფესტივალო კანი, საერთოდ ძალზე ჩაკეტილი ადგილია, ყველა მხოლოდ კინოზე ლაპარაკობს. არავინ უსმენს ახალ ამბებს რადიოთი, გაზეთებსაც იშვიათად ნახავ, მხოლოდ "კინემატოგრაფიულ მაცნეს" კითხულობენ. ხალხი საქმითაა დაკავებული და მორჩა. რაღაც გაფიცვები ამ ხალხს ნაკლებად აინტერესებდა და წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რითი ცხოვრობდა ამ დროს ქვეყანა; აიღეთ, მაგალითად, 1958 წლის 13 მაისი (3); ფესტივალი გრძელდებოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. უნდა ითქვას, ჩვენმა განცხადებამ ყველა განაცვიფრა, ამგვარი რამ არავის მოუვიდოდა თავში. მაგრამ რაც მთავარია, პროტესტი არავის გამოუთქვამს. ვცდილობდი ამეხსნა ხალხისთვის, რომ ფესტივალი მაინც დაიხურებოდა, იმიტომ, რომ რეჟისორების უმრავლესობას უკვე მოეხსნა თავისი ფილმები ჩვენებიდან (ასე მოიქცნენ რენე, ლელუში და კურნო (4)), ჟიურის წევრები კი ერთიმეორის მიყოლებით ტოვებდნენ ფესტივალს, უარს ამბობდნენ თავიანთ მოვალეობაზე. გოდარმა, - რომელიც პირდაპირ პარიზიდან ჩამოვიდა და ჩემგან განსხვავებით, უშუალოდ მონაწილეობდა იქაურ მოვლენებში - უეცრად შემოგვთავაზა: "წავიდეთ დიდ დარბაზში და დისკუსია გავმართოთ". აქ დაიწყო მთელი ეს სორბონული ალიაქოთი. უკვე შუადღე იქნებოდა, ჩვენ დიდ დარბაზში მივედით. იქ უკვე იყვნენ კლოდ ბერი (5), კლოდ რიში (6), ლელუში და როგორც ყოველთვის, ბლომად ჟურნალისტი ირეოდა. ყველა ერთდროულად ლაპარაკობდა, ერთმანეთს აწყვეტინებდნენ, გამოჩნდნენ უცხოელებიც - რიჩარდ ლესტერმა (7) განაცხადა, რომ მოხსნა ფილმი პროგრამიდან, შემდეგ საურაც მოვიდა. ფავრ-ლებრე შეეცადა მოლაპარაკებებით გადაგვეწყვიტა პრობლემა და ჩვენი გამოყრაც დააპირეს დარბაზიდან. ყველაფერი ეს დროში გაიწელა, სიტუაცია ამჟავდა და აუტანელი გახდა. შემდეგ კი, ხომ იცით, ცელი რომ ქვას მოხვდება... სადმე რომ მონაწილეობ და უცბად გაძევებენ იქიდან, რაღაც მაინც გაიძულებს დარჩე. სრული აბსურდი იყო, მაგრამ უკვე ველარაფერს იზამდი, ვერ უშველიდი სიტუაციას. მიკროფონიდან ახალ-ახალი, უთ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ჟან ლუკ გოდარი

ავბოლო კინკლაობების უზარმაზარი ნაკადები იღვრებოდა. სამის ნახევრისთვის დარბაზში ნემსი ვერ ჩავარდებოდა. მე და კიდევ რამდენიმე ადამიანი სცენაზე ვიყავით; პარტერის რიგები ყვავილებით იყო აჭრელებული... უნდა ითქვას, რომ აუდიტორიას ძირითადად ადგილობრივები წარმოადგენდნენ; ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, მაგრამ ადრე ფესტივალზე სწორედ რიგითი მაყურებელი დადიოდა, თავად კანის მოსახლეობა – "პროფებს", როგორც წესი, უკვე ნანახი ჰქონდათ ფილმები. აქ კი კინოში ნაკლებად გამოცდილი პუბლიკა იყო, მაგრამ მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი უფლებები და ფესტივალის პრესტიჟსაც უფრთხილდებოდნენ. ბუნებრივია, მათ მთელი ეს ბალაგანი დაუშვებლად მიაჩნდათ და ამიტომაც ჩვენი ლანძღვა-გინება დაიწყეს, ორიოდე ადგილობრივი "სამართალდამცავი" სცენაზე ამოვარდა და სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით შემოგვცერიალა მე და ლელუშს: "რას გავს ეს, ჩვენ ხომ უცხოელი სტუმრები გვყავს... თქვენ კიდევ ფესტივალის გარეშე არარაობა ხართო" და ა.შ. ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა; სამ საათზე ადმინისტრაცია გამოჩნდა. ფავრ-ლებრე აშკარად ძალიან ნერვიულობდა და სეანსის დაწყება უბრძანა ხელქვეითებს. ეკრანზე საურას ფილმის (9) ტიტრები გამოჩნდა და ამ დროს დაიწყო საშინელი, ველური ღრიანცელი. უკუნ სიბნელეს პროჟექტორის ერთადერთი სხივი ჭრიდა და ეკრანიდან კარგად ჩანდა, რომ სცენაზე ნამდვილი ალიაქოთი ამტყდარიყო. ჩემი აზრით, მთელი დღის მანძილზე ეს ერთადერთი წარმატებული მომენტი იყო მთელ ამ უაზრო აბდაუბდაში.

ვიღაცამ იყვირა: "ფარდა დაითრიეთ!" და ჩვენ, თხუთმეტი-ოცი კაცი ვცდილობდით ხელი შეგვეშალა, რათა ფარდა არავის აეწია. ჩვენთან იყვნენ საურა და ჯერალდინა ჩაპლინი, მათ ფილმს აჩვენებდნენ – უკვე კადრები წავიდა და მაყურებელი პირდაპირ ჩვენი სხეულებიდან "უყურებდა" ფილმს – ისინი იბრძოდნენ, რათა ჩვენება შეეჩერებინათ! მაგარი რამე იყო; სწორედ იმ წამს, ზუსტად იმ მომენტში ვიგრძენი ყველაფერი... ვიღაცამ, როგორც ჩანს, ხმა გამორთო, არაფერი ისმოდა, მხოლოდ კადრები ჩანდა. ბოლოს და ბოლოს, შუქი აანთეს, პროექტორი გააჩერეს და დაიწყო წეწა-გლეჯა, უფრო სწორად, ცემა-ტყეპა. ნიცელი და კანელი მაყურებლები სცენაზე ამოვარდნენ, ვიღაცამ სახეში გამარტყა და როცა აზრზე მოვედი, დავინახე, როგორ დაითრია ერთმა ჩემმა მეგობარმა ეს ტიპი და პირდაპირ თაიგულების ზღვაში გადაუშვა. მაგარი სასაცილო რამე იყო... აურზაური მთელი დღე გრძელდებოდა, ყველაზე მურდალი სიტყვები და ბრალდებები გავიგონეთ ჩვენი მისამართით; ვიღაცა ამტკიცებდა, რომ ფესტივალი აუცილებლად უნდა გაგრძელებულიყო და საფესტივალო სასახლიდან სასტუმროში დაბრუნებულმა, უეცრად გავაცნობიერე, როგორ ვერ გვიტანდნენ მაყურებლები... სულ მუშტებს გვიქნევდნენ...

როგორც ჩანს, არავის სურდა გაეგო, რომ ქვეყანა სულს ღაფავდა და ფესტივალის ჩავარდნა ერთადერთი შესაძლებელი და უბრალოდ, ლოგიკური შედეგი იქნებოდა ამგვარ ვითარებაში. იმავე დღეს პარიზს გავემგზავრე... დამღალა ყველაფერმა ამან. კლოდ ბერიმ დამირეკა და ჩვენი მაშინდელი საუბრიდან ორი საინტერესო რამე მახსოვს: მან თქვა: "წარმოგიდგენიათ, რა საშინელ ქალაქში ვცხოვრობთ!" – როგორც ჩანს, ბიზნესმენებზე, საქმეებზე და ა.შ. უნდოდა ლაპარაკი, შემდეგ კი დასძინა: "ჩვენ, ალბათ ვერ გვიტანენ". თავიდან გამეცინა და ვუპასუხე: "ჰო, რა თქმა უნდა"-მეთქი, მან კი შემაწყვეტინა: "არა, ჩვენ სა-ერ-თა-შო-რი-სო მასშტაბით ვერ გვიტანენ!"

თუკი დავფიქრდებით, საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ მაშინ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდით. შესაძლოა ყველაფერი იდეალურად ვერ გაკეთდა, მაგრამ მაინც ხომ გაკეთდა. ჩემთვის ეს ფანტასტიური შეგრძნება იყო – არა იმდენად თავად ფესტივალი, რამდენადაც ყველაფერი, რაც მაშინ ხდებოდა, პარიზსა და მთელ საფრანგეთში. უბრალოდ, არის მომენტები, როცა უნდა გადაწყვიტო, ვის მხარეს ხარ. იმავე 1968 წელს, ინტერვიუებს ვიძლეოდი, რომლებშიც ვრცლად განვმარტავდი, რომ არც ერთ ბანაკს არ ვეკუთვნოდი, არავისი მჯეროდა და საერთოდაც, ცინიკური და ასოციალური ტიპი ვიყავი... ნელ-ნელა ჩამითრია ამ ამბავმა; კანიდან დაბრუნებულმა, 1 ივნისის დემონსტრაციაშიც კი მივიღე მონაწილეობა (ადრე არაფერი ამდაგვარი არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში). მეორე მხრივ, სორბონაში არ წავსულვარ, არ მინდოდა ვიღაც უქნარას დავმსგავსებოდი, მაგრამ რაღაც ინტიმურ, ღრმად პიროვნულ დონეზე უცბად გავაცნობიერე – სტუდენტების წყალობით – რომ ჩემი ცინიზმი კაპიკად არ ღირდა; ადამიანური სიბრიყვის, მოუთმენლობისა და შეზღუდულობის (მნიშვნელობა არა აქვს, პოლიტიკურია იგი თუ არა) პასუხად, როგორც წესი, მხრებს ვიჩეჩავდი: "ღირს კი თავის გაწირვა". ასე რომ, ამ ამბოხმა თითქოს მაჩვენა, რომ უბრალოდ, მორალური უფლება არა მაქვს, სხვაგვარად მოვიქცე: თავის გაწირვას ყოველთვის აქვს აზრი...

ახალგაზრდების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ გადაკეტონ ელისეს მინდვრები სკანდირებით: "ისე გვექცევიან, როგორც ებრაელებს გერმანიაში" (10), მხოლოდ უსაზღვრო აღფრთოვანების გრძნობა თუ გაგიჩნდება. ვერასდროს წარმომედგინა, რომ ქუჩაში ერთდროულად ერთმანეთს შეერწყმოდა გონება, იუმორი, ძალა და სამართლიანობა. სწორედ ამან შემძრა და აშკარა იყო, თუ რა არჩევანს გავაკეთებდი მათ ლოზუნგსა და სამსახურში მოჩქარე ავტომობილისტების ისტერიულ პიპინს შორის...



კარლოს საურა და ჯერალდინა ჩაპლინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნები:**

(1) იგულისხმება ანრი ლანგლუას, პარიზის სინემათეკის დირექტორის გათავისუფლება.
(2) ტერენს იანგი (1915-1994) - ინგლისელი რეჟისორი და სცენარისტი.
(3) ალჟირის კრიზისის პიკი.
(4) მიშელ კურნო - ფრანგი სცენარისტი და რეჟისორი.
(5) კლოდ ბერი (დ.1934) - ფრანგი სცენარისტი, რეჟისორი, მსახიობი და კინოპროდიუსერი.
(6) კლოდ რიში (დ.1929) - ფრანგი მსახიობი და სცენარისტი.
(7) რიჩარდ ლესტერი (დ.1932) - ინგლისელი რეჟისორი, პროდიუსერი, მსახიობი, სცენარისტი და ოპერატორი.
(8) რობერ ფავრ-ლებრე - ფრანგი კინოს მოღვაწე, კანის ფესტივალის პრეზიდენტი (1952-1971).
(9) საუბარია კარლოს საურას ფილმზე "პეპერმინტ ფრაპე".
(10) ლოზუნგში გათამაშებულია დანიელ კონ-ბენდიტის გერმანული წარმოშობაც, რომელზეც რევანშისტულ ტონებში მიანიშნებდა ჟორჟ მარშე თავის მოწინავე სტატიაში "იუმანიტე"-სთვის (1968, 3 მაისი). იგი მას "გერმანელ ანარქისტ კონ-ბენდიტს" უწოდებდა.

## 1968 წლის მაისის ქრონიკა

**22 მარტი** - სტუდენტებმა ნანტერში უნივერსიტეტის ფილიალი ჩაიგდეს ხელთ, შეიქმნა "22 მარტის მოძრაობა", რომელსაც სათავეში კონ-ბენდიტი ჩაუდგა.

**3 მაისი** - გაიმართა სტუდენტების მიტინგი სორბონაში, რომელიც პოლიციამ დაშალა. ლათინურ კვარტალში, დემონსტრაციისას, დაახლოებით 600 ადამიანი დააპატიმრეს და გაასამართლეს.

**6 მაისი** - ლათინური კვარტლის ქუჩებში გამოჩნდა პირველი ბარიკადები; 400-ზე მეტი ადამიანი დააპატიმრეს. მღელვარება პროვინციულ უნივერსიტეტებსაც გადაედო.

**10 მაისი** - ღამის გაფიცვები ლათინურ კვარტალში, უშიშროების ძალებს 60 ბარიკადასთან უწევს ბრძოლა.

**13 მაისი** - საყოველთაო გაფიცვა. პარიზში 300.000 მანიფესტანტი გამოვიდა. სტუდენტებმა სორბონა აიღეს.

**15 მაისი** - სტუდენტებმა თეატრი ოდეონი დაიკავეს, მუშებმა "რენოს" ქარხანა. "რენოს" მუშები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიფიცნენ.

**18 მაისი** - მუშაობის შეწყვეტის გამო საფრანგეთი ეკონომიკურმა პარალიჩმა მოიცვა. გაფიცულთა საერთო რაოდენობა 6 მილიონს აღწევს.

**21 მაისი** - კონ-ბენდიტი საფრანგეთიდან გააძევეს.

**24 მაისი** - გენერალი დე გოლი საერთო-ეროვნულ რეფერენდუმს აცხადებს. ახალი "ბარიკადების ღამე" ლათინურ კვარტალში. გაფიცულები უკვე 9 მილიონი არიან.

**24 მაისი** - დაიწყო მოლაპარაკება პროფკავშირებსა და მთავრობას შორის. 27 მაისს მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას.

**30 მაისი** - დაითხოვეს პარლამენტი. გაიმართა დემონსტრაცია გენერალ დე გოლის მხარდასაჭერად (800.000 ადამიანი).

**5-7 ივნისი** - გაფიცვები დასრულდა.

**30 ივნისი** - გოლისტებმა საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს.

**10 ივლისი** - შეიქმნა ახალი მთავრობა.

ფილიპ სოლერსი

# "იყავით რეალისტები - მოითხოვეთ შეუძლებელი"



Ეს, ალბათ, 68 წლის მაისის ყველაზე შესანიშნავი ლოზუნგია - იგი ამ ამბოხის მთელ სიღრმეს მოიცავს, მთელ მის სიურეალისტურ დაუმორჩილებლობას. იგი, ალბათ, ნებისმიერ ეპოქას მოერგებოდა - დრო მას ვერაფერს დააკლებს. ლამის ვოლტერისეული ირონიით იგი ე.წ. "ანბანური ჭეშმარიტებების" სიყალბეს ამხელს, რომ თითქოს "ყველაფერი უკეთესობისკენ მიდიოდეს ამ მადლიან სამყაროში" და მართლაც, ჯოგური ოპტიმიზმი ყოველთვის საქმოსნებისა და ფარისევლების თავშესაფარი იყო.

ხელისუფლების წარმომადგენლები დროთა განმავლობაში გამოიწვრთნენ და უკვე ძალზე დამაჯერებლად საუბრობენ იმის შესახებ, რომ საქმე არც ისე ცუდადაა; ორი ბოროტებიდან ყოველთვის უმცირესს ირჩევენ და ჩაგვაგონებენ, რომ არ უნდა გავცდეთ შესაძლებლობის ფარგლებს... და მართლაც, აბა რა მონების საქმეა აღშფოთება! რეალობას ახლა მხოლოდ პოლიტეკონომია და ფინანსური ბაზრის ლოგიკა განაპირობებს. სილატაკე? ვაი რომ, ეს ავადმყოფობა უკვე ქრონიკული გახდა, მაგრამ ადრე თუ გვიან, მას ბოლო მოეღება, პირობას გაძლევთ. სიკვდილი? დიდი ამბავი, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. მოუთმენლობა? ამისთვის განათლების საერთო დონე უნდა ავამაღლოთ. მასობრივი რეპრესიები? ისინი ხომ უბრალოდ, ისტორიის გულდასაწყვეტი შეცდომებია, დაუდევრობა, ერთი სიტყვით, წვრილმანები. ნუ მოითხოვთ შეუძლებელს, შეინარჩუნეთ სიმშვიდე, უბრალოდ, ბედს შეურიგდით, ბოლოს და ბოლოს. თქვენი ხვედრი - წარსულის ხმაურიანი ალაპია. პური ხვალ, სანახაობა - დღეს. სურვილი თავისთავად უმიზნოა, ამიტომ უკეთესია, აუცილებელზე იფიქროთ.

როგორც ჩანს, დიდი ხანია უკვე გავიდა დრო კადნიერი აფორიზმისა, რომლის თანახმადაც, "ფრანგისთვის არაფერია შეუძლებელი". ნუთუ არ გვესმის, სადამდე შეუძლია მიგვიყვანოს ამგვარმა ბაქიაობამ... თავისუფლების სიჭარბეს მხოლოდ ქაოსამდე მივყავართ; თავის შეკავება უნდა შეგვეძლოს - სამწუხაროდ, ასეთია რეალობა. მაგრამ შეგახსენებთ, რომ ერთმა დიდმა ფრანგმა მწერალმა თავის წიგნს "შეუძლებლობა" უწოდა; კარგი იქნებოდა, გადაგვეკითხა ეს წიგნი. ამ ადამიანმა ხომ ერთხელ თქვა: "შესაძლებელი იმათ დაუტოვე, ვისაც იგი სიამოვნებს და კმაყოფილებას ანიჭებს". ეს ფრანგი ჟორჟ ბატაი იყო. ალბათ მას, უბრალოდ, სურდა ეთქვა, რომ ჭეშმარიტი რეალობა, როგორც სიყვარული - შეუძლებელის სფეროს ეკუთვნის, წარმოსახვა კი შეზღუდულია ჩვენს სტანდარტულ ჩარჩოებში. მაგრამ მიუხედავად ამისა, კიდევ არიან ადამიანები (და მეც, მათ შორის), რომელთაც სწორედ ეს რეალობა აკლიათ. მხოლოდ მასშია პოეზიის თავისუფლება.

*L'Express, 1998 წლის მაისი*

პუბლიკაცია მოამზადა **მალხაზ ხარბედიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ბუღაძე

# ნგრევა „ნიჭიერებით"

ხშირად ვფიქრობ, უფრო ზუსტი იქნება ითქვას, თითქმის გამუდმებით ვფიქრობ იმაზე, თუ რა ფუნქცია აქვს ჩვენი ქვეყნის, საქართველოს კულტურას როგორც ჩვენთვის, ჩვენი შინაგანი ცხოვრებისათვის, ისევე ზოგადად, საკაცობრიო კულტურისათვის? აქვს თუ არა მას საერთოდ რაიმე ისეთი თვისება ან მიმართება, რაც მისი არსებობის აუცილებლობაში დამარწმუნებს მეც და სხვასაც? რა სახის სულიერი თუ სოციალური იმპულსები კვებავს მას? რას სძენს და რით ავსებს მსოფლიო კულტურას ქართული ხელოვნება და რა გზებით მოვედით აქამდე? რა თვისებებით გამოვირჩევით და საით მივდივართ ბოლოს და ბოლოს? არსებობს თუ არა გზა, აქვს თუ არა მას დასაწყისი და დასასრული და ა.შ. აურაცხელი ურთულესი შეკითხვაა. მათზე ამომწურავი პასუხის გაცემის პრეტენზია არა მაქვს, ისე კი მთელი შეგნებით პრობლემის გადაჭრასა და გადაწყვეტას ვცდილობ აგერ თითქმის მეოთხედ საუკუნეზე მეტია. ასე რომ, ახლა ამ რთული პრობლემის მხოლოდ ერთ ასპექტს წამოვწევ. ერთი რამ აშკარაა - ისეთ დუხჭირ, ეკონომიკურად მოშლილ, დესტრუქტურირებულ, სოციალურად გაპარტახებულ ქვეყანაში, თითქოსდა არ უნდა არსებობდეს პროფესიული ხელოვნება, არტისტული მისწრაფებები იმ მასშტაბით, როგორითაც ამას ჩვენში ვხვდებით. თუ არ გავითვალისწინებთ ჩვენი წარსულის გამოცდილებას და დავეყრდნობით მხოლოდ დღევანდელ სოციალურ და ეკონომიკურ რეალიებს - ანგოლაზე უარეს დღეში ვართ და, ალბათ, წესით, ამ დიაპაზონისა და მასშტაბის, ამ გაქანების კულტურა, პროფესიული ხელოვნება არ უნდა გვქონდეს.

სოციალური გაგლეჯილობა, ე.წ. ფენათა შორის სტრატიფიკაცია "ველურ" პოლარიზაციას განიცდის. ე.ი. არ არის ერთგვარი ლოგიკური, იერარქიულ-კასტური თანმიმდევრობა ფენებს შორის. საზოგადოება, თუ კი შეიძლება მას საზოგადოება ეწოდოს, ასევე იმ ველური სტიგმატიზაციის პერიოდში იმყოფება, რომლის დროსაც ადამიანები, ნებსით თუ უნებლიედ, ერთგვარად დაღდასმულნი აღმოჩნდებიან ამა თუ იმ სოციალურ წარმონაქმნებთან იდენტიფიცირებისას. უცნაურია, რომ თვით ერთიანი სოციალურ-საზოგადოებრივი სხეულის ეს გაგლეჯილობა და დაშლილობა მხოლოდ ნაწილობრივ და არაპირდაპირ აისახება სახელოვნებო, არტისტულ მიმართება-მისწრაფებებში.

პირადად ჩემთვის ეს ამოუცნობი მოვლენაა და სხვა ქვეყნების მაგალითზე მისი ანალოგიური ფაქტის მოძიება ძალზე მიჭირს. შეიძლება იფიქრო, რომ იგივე ჩემი თაობა ერთგვარი ინერციით მოქმედებს და პროფესიულად გამომუშავებულ ჩვევებს ვერ თმობს; არ შეუძლია არ იმოქმედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უბრალოდ, ან დეპრესია შეჭამს, ან თავს მოიკლავს, ან მოკვდება. ეს გასაგებია, მაგრამ ძლიერი ახალი თაობაც ხომ არსებობს?! მართალია ისინი რაოდენობრივად ცოტანი არიან, მაგრამ ხელოვნებამ მასობრიობა, პირდაპირი გაგებით, "კოლმეურნეობითობა" არ იცის. ხელოვნება არ შეიძლება იბადებოდეს მასობრივი, ნორმატივების ჩაბარებისას ან ზემოდან რაიმე ინსტრუქციით. იგი, პირველ რიგში, ერთეულთა და "განსაკუთრებულთა" სულიერი აქტივობის შედეგია.



სოციალური დაშლილობა ან ერთგვარი დაპირისპირებულობა, პოლარიზებულ სამყაროთა ურთიერთშეუთავსებლობა, ურთიერთუცნობლობას იწვევს. ამიტომ ეს ფრთები თუ პოლუსები ერთმანეთს თითქმის არ ეხება. ისინი, ალბათ, არც კი ცნობენ, არამც თუ არ იცნობენ ერთმანეთის მიზნებს და იდეალებს. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შორის ასეთი პოლარულობა და ურთიერთშეუფერებლობა კი კიდევ ერთხელ მიუთითებს "ველური" სტრატიფიკაციის ქართული მოდელის "ორიგინალურ" ხასიათზე.

ეს არის შინაგანად დაშლილი საზოგადოების სუროგატი, რომელიც, მიუხედავად მრავალი, აურაცხელი პრობლემისა, ქმნის და თანაც აქტიურად, სახელოვნებო პროდუქციას. ეს პროდუქცია მოიცავს როგორც ვიზუალურ, ასევე ვერბალურ და მუსიკალურ დესკრიპტულ სფეროებს. ამავე დროს, თვალნათლივია თვით ამ ხელოვნების ჩაკეტილ სფეროთა შორის ურთიერთშეღწევისა და ურთიერთჩანაცვლების სურვილი. რამდენადმე მსგავსი, მაგრამ არაიდენტური კოლიზიების ფონზე, XX საუკუნის დასაწყისში ასეთი სახელოვნებო ურთიერთქმედებისა და ურთიერთგანაყოფიერების გზით შეიქმნა არა მარტო ახალი მიდგომები და ხერხები ხელოვნების ტრადიციული დარგებისადმი, არამედ ახალი ჟანრები და ახალი დარგებიც კი. სოციალური კატაკლიზმები, კრიზისული ფსიქო-სოციალური გარემო აგზნებული ფანტაზიებითა და აქტიური სახელოვნებო ქმედებით მისთვის სასურველ რეალიებს ამკვიდრებს. ამით კი ცდილობს, დაანგრიოს ან უარყოს და "ჯადოსნურად" გააქროს შემზარავი რეალობა, რომელიც საშინლად "გორგონიზირებს", წინააღმდეგ შემთხვევაში, მას, რეალობას თვალს თუ გაუსწორებს, ადამიანის ცნობიერება მასთან პირდაპირი შეხებისას სრულ პროსტრაციაში ამოყოფს თავს. ამიტომ ახალგაზრდა ადამიანი, რომელსაც შემოქმედებითი იმპულსები შინაგანად არ ასვენებს, ცნობიერად

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არაცნობიერად ფარად სწორედ არეკვლის სახელოვნებო ხერხს მიმართავს.

ჩვენი თანამედროვე სწორედ რეალობის სახელოვნებო სარკეში არეკვლით ცდილობს თავის გადარჩენას, ეყრდნობა რა მისი არსი, ალბათ, გენეტიკურად და მენტალობითაც ემოციურ-სახელოვნებო იმპულსებს. ქართველის შინაგანი ბუნება არტისტულია, ამიტომ მისი თვითშენარჩუნების, თვითგადარჩენის ერთ-ერთი აქტიური ფორმა არტისტული ქმედებაა. ე.ი. "ქართული პერსევსის" სახელოვნებო ამრეკლავი იარაღია "ფარი". ქართული კულტურის ხასიათი, თუ ამ ცნებას ფართო გარემოში დავინახავთ, არტისტული ქმედებით გაიხსნება და განიცდება. ამიტომ, რაც უნდა უჭირდეს, იგი ცდილობს და სხვაგვარად არ შეუძლია, იმოქმედოს ხელოვნების წესით, რამდენადმე ვოლუნტარულად, იქნებ გამომწვევად, ოდნავი პოზიორობით, სახელოვნებო მანერით ან ჟესტით და ა.შ.

ქართველის კულტურა არტისტულია, ჩეჩნის კულტურა - მეომრული, ამიტომ ამ უკანასკნელის არსის გაცხადება ომია. ეს საკითხი გენიალურად აქვს გააზრებული მაქს ვებერს. მისთვის ჩინელი ბიუროკრატია, ინდოელი - განდეგილი, ქრისტიანი - მშენებელი, მუსულმანი კი - მეომარი. ამ ზოგად მონახაზში თითოეულ ჩვენგანს, ყოველ ერს თუ ხალხს, საკუთარი განსაკუთრებული ნიუანსი შეაქვს. ასე რომ, თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ რუსის არსში ჩადებულია გაფართოების არანორმალურად ჰიპერბოლიზებული სურვილი. იგი თავისი პოზიტიური კუთხით, ალბათ, ყველაზე პოზიციური ასპექტით რომ წარმოვიდგინოთ, მშვინვიერად (Душевностью) ყოვლისმომცველი და ყოვლისმიმღებია. მას სურს გაიგოს ყველაფერი, საკუთარ თავში შეითავსოს და მოიცვას ყოველივე, "დუშევნოსტით" განიცადოს და "შეიტკბოს", მაგრამ ეს "დუშევნოსტი", რომელიც მშვენიერია გარკვეულ პირად კონტაქტებში, ან თუნდაც, ლიტერატურაში, თითქმის ავადმყოფობაში გადადის პოლიტიკაში, რაც დერჟავნიკულ ყოვლისმომცველობით ამბიციებში მჟღავნდება და ეს ჩვენ კარგად ვიცით. მას, იმავე მისი ლანდშაფტიდან გამომდინარე, არ გააჩნია საკუთარი კუთხის განსაკუთრებულად დამახასიათებლობის ისეთი განცდა, როგორიც შეიძლება ჰქონდეს ქართველს, რომლის სამშობლოს ყოველი კუთხე-კუნჭული მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ლანდშაფტურ ხასიათს ატარებს. აბა, წარმოვიდგინოთ რუსული სტეპი, ათასკილომეტრიანი ჰორიზონტისხაზიანი ველები, ან ციმბირის თვალუწვდენელი ტაიგა, უფრო შორს კი ტუნდრა და ა.შ. ეს ყოველივე თვალუწვდენლობის, ჩინგიზხანისეული "კომპლექსის" ანარეკლადაც შეიძლება მივიჩნიოთ. აქ ყოველივე განფენილობაშია, ყოველივე მასში შეიკვრება და მისით მოიცვება, როგორც ერთი მცირე ნაწილი. მისი სამშობლო ის არის, რაც ბათო ყაენს მამის ანდერძით ერგო - სადამდეც მისი ცხენი ჭენებას შეძლებს.

ქართველი ყოველთვის თავისით, თავისი კონკრეტული არეალის ფარგლებით განისაზღვრება. იმერელია იგი თუ კახელი, მეგრელი თუ გურული, აჭარელი თუ ქართლელი, სვანი თუ აფხაზი და ა.შ. საკუთარ განუმეორებელ გარემოში ცხოვრობს. მისი კუთხე სხვისას არა ჰგავს.

არის ასეთი უცნაური მომენტიც: საქართველოში შეიძლება ერთდროულად ნახოთ ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა და ეს ყოველივე ხდება არა განშლილობის, გრანდიოზულობის და ყოვლისმომცველობის ფონზე, არამედ ძალზე მცირე ფართობზე, მოკლე მანძილებსა და შეზღუდულ სივრცეში. ე.ი. აქ საქმე გვაქვს შინაგან დიაპაზონთან, ინდივიდუალური განსაკუთრებულობის შეგრძნებასთან, რაც საუკეთესო საფუძველს იძლევა არტისტულობისათვის და ამდენადვე თავისი ემოციურად ორიენტირებული ეგოიზმის გამო, რადგანაც სახელოვნებო ქმედება, თავისი არსით აუცილებლად უარყოფს ალტერნატიულ დეპერსონალიზმს და გულისხმობს პოლიტიკურ და სოციალურ ალვირახსნილობას, უსისტემობასა და უპრინციპობას. ამიტომაც გვიჭირს, ძალზე გვიჭირს ქვეყნის სისტემურად შენება, ვანგრევთ მას ჩვენივე უცნაური "ნიჭიერების" გზით, რადგანაც ეს ნიჭიერება თავისი არსით არტისტულია. ამ ნგრევასაც კი ერთგვარი ხიბლი, სახილველად მიმზიდველი ხიბლი აქვს და ეს რალაცნაირად ტრაგიკომიკურ ელფერსაც კი ანიჭებს ამ ურთულეს კოლიზიებსა თუ კონფლიქტებს საკუთარ თავთან, საკუთარ ხალხთან, საკუთარ ქვეყანასთან.

რთულია იყო ქართველი და ააშენო ქვეყანა იმიტომ, რომ ხარ არტისტული და გაქვს ამ ტიპის კულტურული გამოცდილება. ამიტომ ქართველს ფაქტობრივად შინაგანად ისე არ უყვარს დავით ალმაშენებელი, როგორც თამარ მეფე. დავითის წესით ცხოვრება ძალზე რთულია, რადგან აქტიური უნდა იყო შინაგან ცხოვრებაშიც და სოციალურშიც. უნდა იყო მეცნიერი, მკვლევარი ფილოსოფოსი, პოეტი, სტრატეგი და დიპლომატი ერთდროულად. უნდა იყო თვითკრიტიკული, შემწყნარებელი, მედგარი, ვაჟკაცი, მებრძოლი, გონიერი, სხარტი და ა.შ.

მეორე მხრივ, გვყავს თამარი. ცოტა თუ განვაზოგადებთ, იგია ნეტარების, განცხრომის, "კარგი მამის შვილობის" (ჩაწყობით რომ გაიკეთებს საქმეს), სიმდიდრის, სითბოს, სილამაზის, ოდნავი მოშვებულობის, ნეტარების განსახიერება. იგი ძალზე კარგია, კარგია არტისტული განცხრომა-თრობისათვის, ლაშა-გიორგისეული "უცნაური" კარგი ბიჭობისათვის, რომელიც ერთდროულად კარგი ვაჟკაციცაა და თავხედიც, უშიშარიც და ფლიდიც, ნარკომანი "რაინდიც" და ქვეშევრდომთა ცოლების მოტრფიალეც და ა.შ. მოკლედ, ასეთ დედიკოს ბიჭებს, თავხედებს, მაგრამ ნიჭიერებსა და უნარიანებს ჩვენ დღესაც ბევრს ვიცნობთ.

ამ ტიპის ადამიანს უფრო ესმის ქართველის. მას უჭირს, ძალზე უჭირს იგრძნოს და გაჰყვეს დავითის გზას, რადგან, მაშინ მისგან მეტი, ბევრად მეტი გააზრებული აქტივობა მოითხოვება და არა მხოლოდ მარტივი, შემთხვევითი წარმატებები, რომელთაც მხოლოდ ემოციური იმპულსები კვებავს და ამიტომაც არამყარი და არასტაბილურია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ჩვენში საგულისხმო სახეს იღებს. ესაა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ცნებებისადმი მიმართება, რომელიც ასევე სახასიათო ნიშნით ვლინდება ჩვენს რეალობაში.

თავისუფლება თავისი არსით შინაგანი, ადამიანის არსში გაცხადებული ცნება-მდგომარეობაა. იგი ადამიანის აზროვნებითი თუ შემოქმედებითი აქტივობის დროს ვლინდება განსაკუთრებული ძა-

ლით. ე.ი. მოაზროვნე სუბიექტი კრისტალურად სუფთა აზროვნებითი აქტივობისა თუ შემოქმედებითი ქმნადობისას მართლაც განასახიერებს თავისუფალ არსს, ამიტომ იგი თავისუფალია არტისტული თვითრეალიზებისას. შეიძლება ითქვას, რომ ქართული არტისტული საზოგადოება შინაგანად, შემოქმედებითად ნამდვილად არ იყო ისე შეზღუდული, როგორც პოლიტიკურად, როდესაც ტოტალიტარული დიქტატის ყველაზე მძაფრ ზეწოლას განიცდიდა. ასე რომ, თავისუფლება ქართველისათვის ისევ და ისევ არტისტული თვითრეალიზებაა და იგი შინაგანი აქტივობის გამომხატველია. ამის საპირისპიროდ დამოუკიდებლობა პოლიტიკური ცნებაა. ქვეყანა იმდენადაა დამოუკიდებელი, რამდენადაც ახერხებს საკუთარი პრობლემების საკუთარივე ნებით გადაწყვეტას. თუკი იგი დამოკიდებელია რაიმე გარეშე ფაქტორებზე, სხვა ქვეყნის ენერგეტიკაზე ან აქვს სამხედრო პრობლემები, მაშინ პოლიტიკოსს განსაკუთრებული ძალისხმევა ჭირდება, რათა საპირისპირო მხარე რაღაც საშუალებით დამოკიდებული გახადოს მის ქვეყანაზე.

თავისუფლება არტისტული, პიროვნული აქტივობის გამოვლენაა, პოლიტიკა კი დამოკიდებულებების ფასეულობებით მანიპულირების ხელოვნებაა. ისევე, როგორც ადამიანი დამოკიდებულია საკუთარ ბუნებრივ მოთხოვნილებებზე, ქვეყანაც დამოკიდებულია გარეშე ფაქტორებზე და ეს ყოველივე ბუნებრივია. აქედან გამომდინარე, თავისუფალია ის, ვინც არ არის შეზღუდული აუცილებლობებითა და საჭიროებებით და მთლიანად საკუთარი არსის თვითგახსნა-რეალიზებით არის დაკავებული. ამიტომ თავისუფლება ჩვენთვის არტისტული ვოლუნტარიზმის ერთ-ერთ ფორმად იქცა, რაც ბუნებრივია ვერ "აიტანს" მის პოლიტიკურ ყალიბში ჩამოსხმასა თუ "პროკრუსტეს სარეცელს".

ზედმიწევნით არტისტული ხასიათის გამო "ჩვენებური" ვერ ახერხებს დამოუკიდებლობის საკითხზე სასურველი შეთანხმების მიღწევას, როგორც შიგნით, ასევე გარეთ, რასაც მხოლოდ პოლიტიკის ხელოვნების დაუფლებით, თითქმის არაარტისტული, პიროვნული ნიჭიერების გზით თუ გადალახავს.

ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რამდენად კარგად ახერხებდნენ ქართველები პოლიტიკური პრაგმატიზმისა და პიროვნული არტისტიზმის შერწყმას უცხო ქვეყნების სამსახურში ყოფნისას. ცნობილია, რომ ოქროს ურდოს დროსაც კი მონღოლი ყაენები ხშირად იყენებდნენ ქართველ ელჩებს ევროპის ქვეყნებთან დიპლომატიური მოლაპარაკებებისა და გარიგებების დროს.

ასე რომ, დამოუკიდებლობა მთლიანად პოლიტიკური ცნებაა და არტისტიზმის განსაკუთრებულ უნარს მოითხოვს, ხოლო თავისუფლება მთლიანად შემოქმედებით-აზრობრივი ცნება გახლავთ.

კიდევ ერთხელ მსურს, აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ასე ძალუმად და აქტიურად არასოდეს დამდგარა ჩვენი რეალობის წინაშე, ყოფნა-არყოფნის პრობლემის განხილვისას.

იოანეს გამოცხადების უმნიშვნელოვანეს ხილვაში, ლაოდიკიის ეკლესიისადმი მიწერილ წერილში თვალნათლივ წარმოჩნდება, რომ ყველაზე მძაფრი კონფლიქტის ჟამს, როდესაც იწარმოებს "ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ", გადარჩება ის, ვინც არ არის გულგრილი, ე.ი. მინდობილი დინებას, განცხრომას ან უნიათობას. გადარჩებიან "ცხელნი" და "ცივნი". ე.ი. ისინი, რომელნიც ბოლომდე იხარჯებიან, ან თავდაუზოგავად ეძლევიან საყოველთაო სიკეთის განხორციელების მიზნებს, ან ასეთივე გზნებით უარყოფენ იმას, რაც მათთვის მიუღებელია. ამ მხრივ არ არსებობს შუალედი; სასურველია ძალთა რადიკალური მობილიზება, არტისტული ხასიათის მკვეთრი გააქტიურება ისე, რომ შესაძლებელი შეიქნას კონკრეტული პოზიციის აქტიური გაცხადება, სათქმელის ცხადად, მძაფრად გამოთქმა, ყველა ხერხითა და ფორმით.

"ნელთბილნი" ვერ გადარჩებიან; ასევე ვერ გაუძლებს დღეს ვერანაირი აღრევები კეთილსა და ბოროტს, შავსა და თეთრს შორის. მგონია, ნაცრისფერობის, თეთრისა და შავის აღრევის პერიოდი დასრულდა, ახლა ჟღერადობისა და ინტენსივობის პერიოდია. სწორედ ამ ინტენსივობის მომატებას ვუსურვებ ქართულ არტისტულ გენიას; შევეცადოთ გავუგოთ და ვემსახუროთ მას, ჩავწვდეთ მის არსს, შევუნარჩუნოთ საკაცობრიო პალიტრას ის განსაკუთრებული ტონალობა, რომელიც მხოლოდ ქართულ არტისტიზმს შეუძლია ჰქონდეს; ოღონდ შევინარჩუნოთ და გავამდიდროთ არა ისე, რომ მხოლოდ უცხოსათვის სათამაშოდ ან თავშესაქცევ გასართობად ვიქცეთ. არამც და არამც! ჩვენივე ძალების სრული მობილიზებით, "ცხელი გულით" მოვახერხოთ გააზრებული წონასწორობის დაცვა სურვილსა და შესაძლებლობას, უნარსა და მიზანს შორის; ავაშენოთ ქვეყანა, რომელშიც შესაძლებელი იქნება ნორმალური, ადამიანური ცხოვრება მიზნების განსახორციელებლად.

მე ამის იმედი მაქვს და ამ იმედით ვხვდები ახალ ათასწლეულს, ჩემს ძვირფას, საყვარელ, დაღლილ, დაჩაგრულ, მოტყუებულ, დამცირებულ, მაგრამ მაინც არაჩვეულებრივ, განუმეორებელ და უკვდავ, დიახ, უკვდავ საქართველოსთან ერთად.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ანთაძე

# მოგზაურობა ასლანდიაში

**ეს წერილი ზუსტად ერთი წლის წინ დაიწერა და გამოქვეყნდა ლონდონის "ომისა და მშვიდობის რეპორტაჟების" ინსტიტუტის ინტერნეტულ გაზეთში - ინგლისურ და რუსულ ენებზე. ქართულ ენაზე სტატია პირველად იბეჭდება. მკითხველი თავად განსჯის, რამდენად აქტუალურია იგი დღეს.**

"ასლანდია" საქართველოს სახელმწიფოს ნაწილია. მისი ოფიციალური სახელწოდებაა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. რესპუბლიკის პირველი პირია უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

ასლანდიაში საკუთრივ ასლანდიური წესრიგია, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება "აჭარულ სამოთხეს" უწოდებს. სწორედ "აჭარული სამოთხისთვის" თვალის შესავლებად გავემგზავრე ასლანდიაში ორი დღით ჩემს მეგობართან, ფსიქოლოგ ქეთი კობალაძესთან ერთად.

ο ο ο

საინტერესო ამბები ჯერ კიდევ გამგზავრებამდე დაიწყო. ავტოსადგურის სალაროში გვითხრეს, რომ ბილეთი 10 ლარი (ანუ 5 დოლარი) ღირს. მიკროავტობუსის მძღოლმა კი მგზავრობის საფასურად 15 ლარი მოგვთხოვა. სალაროდან ავტობუსამდე, ორ ნაბიჯში, მგზავრობა 5 ლარით გაგვიძვირეს, რაც ჩვენი მოქალაქეობრივი და ადამიანური გრძნობების შეურაცხყოფად მივიჩნიეთ და ენერგიული პროტესტი გამოვთქვით. თურმე, ჯერ სადა ვართ?!

...თბილისიდან ბათუმამდე (ასლანდიის დედაქალაქია!) დაკვირვებული მგზავრი ბევრ საინტერესოს აღმოაჩენს. ოჯახები, რომლებიც გზის პირას ცხოვრობენ, ამ ფაქტორს თავის გადასარჩენად იყენებენ. ზოგი ხილს ყიდის, ზოგი ბოსტნეულს, ზოგს, სულაც, ბორბლებიანი თონე გამოუგორებია ქუჩაში. ამ თონეებში მგზავრების თვალწინ, პირდაპირ ქუჩაში აცხობენ შოთ პურებს. ყველაზე ხშირად შეხვდებით ჯიხურებს ათასი წვრილმანით და საოჯახო რესტორნებს. გზის ერთ მონაკვეთში ერთმანეთის მიჯრით ოცამდე საოჯახო რესტორანია. ეს ჯიხურები და რესტორნები, შეგვიძლია, დიდი აბრეშუმის გზის თანამედროვე ინფრასტრუქტურად მივიჩნიოთ.

ο ο ο

თითქმის ხუთსაათიანი მგზავრობის შემდეგ, ჩვენს მიკროავტობუსში სამი უსიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა ამოვიდა. ორი წუთიც კი არ დასჭირვებიათ იმისთვის, რომ ერთ-ერთ მგზავრს (მამაკაცს) ჯიბეში ჩაძრომოდნენ. მათი თავხედობისგან ენა ჩაგვივარდა.

როგორც კი ქურდებმა პროფესიული საქმიანობა დაიწყეს, მიკროავტობუსი გაჩერდა. არც არავინ ამოდიოდა, არც ჩადიოდა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ქურდები ნელ-ნელა წამოდგნენ და მიკროავტობუსი დატოვეს. რამდენიმე მგზავრი ვერც მიხვდა, რა მოხდა, მე და ჩემს მეგობარს კი მძღოლებზე (რომლებიც ორნი იყვნენ, რათა შორ გზაზე ერთმანეთს შენაცვლებოდნენ), გული მოგვიბრუნდა.

შემდეგი საინტერესო ამბავი ჩოლოქთან მოხდა.

ჩოლოქი ასლანდიის შთამბეჭდავი კარიბჭეა: გზატკეცილზე დალაგებული, ზიგზაგური განლაგების ექვსჯერადი ბეტონის ფილები ღაღადებენ, რომ ასლანდიაში მტერი ადვილად ვერ შეაღწევს. აქ ყველანაირ ტრანსპორტს აჩერებენ და მგზავრებს საგულდაგულოდ ამოწმებენ.

ჩოლოქთან ჩვენს მიკროავტობუსს ხუთი ადამიანი შემოვრჩით: ორი მძღოლი, ერთი შუახნის მამაკაცი, ქეთი და მე. იმან, ვისაც მგზავრების შემოწმება ევალებოდა, პირადობის დამადასტურებელი მოწმობები მოგვთხოვა, შემდეგ თვალი ჩემს სამგზავრო ჩანთას დაადგა და საქმიანად იკითხა:

- რა გაქვს ჩანთაში?
- ბანანები! - ასევე საქმიანად ვუპასუხე.

მან ერთხანს გარედან სინჯა ჩემი ბანანები, შემდეგ კი ჩანთა უბოდიშოდ გახსნა.

მამაკაცმა, რომელიც ჩვენს გარდა მესამე მგზავრი იყო, თავიდანვე განმარტა:

- ბაბუს ეკიპაჟიდან ვარ, - და თან რაღაც საბუთი მოაყოლა.

"ბაბუ", რა თქმა უნდა, ასლან აბაშიძეა. "ბაბუს ეკიპაჟი", ალბათ, ის შემადგენლობაა, რომელიც ასლან აბაშიძეს თვითმფრინავით ფრენისას ემსახურება. ასლანდიაში "ეკიპაჟი" წესრიგის დამცველთა ნდობით სარგებლობს.

ο ο ο

ჩვენი თავგადასავალი ამით არ დასრულებულა. როცა შვიდსაათიანი მგზავრობის ბოლოს ბათუმს მივადექით, გაგვაჩერეს და კიდევ ერთხელ შეგვიმოწმეს პირადობის მოწმობები. **"სამოქალაქო საზოგადოებაა, სულ მოწმობას გთხოვენ და თავს სულ მოქალაქედ გრძნობ,"** - მშვიდად ამბობს ქეთი.

აქ ერთ-ერთ მძღოლს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს იმის გამო, რომ საბჭოთა პასპორტში არ ჰქონდა ჩაკრული მეორე სურათი (25 წლის ასაკის). ჩვენთან ძველი პასპორტი მხოლოდ ნაწილობრივ ფუნქციონირებს: ვარგისია არჩევნებში წარსადგენად, მაგრამ თვითმფრინავის ბილეთის ასაღებად კი აღარ გამოდგება. მასში ახალი სურათის ჩაკვრა შეუძლებელია. არადა, მძღოლს ურცხვად დააკისრეს ჯარიმა - 16 ლარი. ეს ინციდენტი, რასაკვირველია, ქრთამის მიცემით დასრულდა.

საქართველოში საპასპორტო რეჟიმი არ არის. მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაადგილება ხდება ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე. მაგრამ ასლანდიაში ვერ შეხვალ, თუ რაიმე საბუთი არ ადასტურებს, რომ შენ ნამდვილად ის ხარ, ვისადაც თავი მოგაქვს.

მეორე დილით იუსტიციის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირთან ვცადეთ გარკვევა, თუ რა ნორმატიულ აქტს ეფუძნება საპასპორტო რეჟიმი აჭარაში. პასუხად მივიღეთ: **"არ ვიცი, ეს ჩემს კომპეტენციას აღემატება".**

პასპორტთან დაკავშირებულმა უსამართლობამ თბილისელი მგზავრები თბილისელ მძღოლებთან დაგვაახლოვა, როგორც თავისიანები უცხო მხარეში. ისინი სასტუმროს შერჩევაში დაგვეხმარნენ და დაგვპირდნენ, რომ მეორე დღეს თბილისში დასაბრუნებლად ადგილს შეგვინახავდნენ.

ο ο ο

ასლანდიის მეთაური ასლან აბაშიძე ბათუმის ცენტრში, თითქმის ჩვეულებრივი ოთხსართულიანი

სახლის ბოლო ორ სართულზე ცხოვრობს. მისი სახლი და სამსახური 500-ოდე მეტრით არის ერთმანისგან დაცილებული. ბათუმელთა ანგარიშით, ბატონი ასლანის ესკორტი შვიდი შთამბეჭდავი მანქანისგან შედგება. როდესაც იგი სახლიდან სამსახურში მიბრძანდება, ან შინ ბრუნდება, მთელი ქუჩა გადაკეტილია. ცენტრის გულისგულში, სასახლის მსგავს შენობაში ბატონი ასლანის ქალიშვილი ცხოვრობს. "ბაბუს" საცხოვრებელ სახლს კი გვერდს შინაგან საქმეთა სამინისტრო უმშვენებს. ამ ყველაფერს, ადგილობრივ მკვიდრთა განმარტებით, "პირველი კვადრატი" ჰქვია და სავსეა პოლიციით. ღამ-ღამობით პირველი კვადრატის ბინადართა სიმშვიდეს, პოლიციის გარდა, მიმდებარე სახლებზე დამონტაჟებული მძლავრი პროჟექტორები იცავს. პირველი კვადრატის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ამშვენებს ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის კარგად მოვლილი შენობა (სადაც ორშაბათობით ბატონი ასლანი ჟურნალისტებს ხვდება) და ულამაზესი სკვერი. პირველ კვადრატში ყველაფერი ბზინავს და წკრიალებს. აი, სად იგრძნობა აჭარული სამოთხე!

○ ○ ○

ასლანდიაში აღმშენებლობითი სულისკვეთებაა. სწორედ ეს არის აჭარული სამოთხის მთავარი ატრიბუტი. ბათუმში რამდენიმე ახალი შენობა დგას: სამი ბანკი; ჭადრაკის სასახლე; რესტავრირებული თუ ახლად აგებული ეკლესიები სხვადასხვა კონფესიის მრევლისთვის; სპორტსკოლა კარგი საკალათბურთო დარბაზით; სამშობიარო სახლი; კერძო სასტუმროები. ბოლოხანს გარემონტდა რევოლუციური მუზეუმი, რომელიც ხელოვნების მუზეუმად გადაკეთდა.

○ ○ ○

ბათუმში რამდენიმე საწარმოც მუშაობს: ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა; ნავთობის ბაზა; აჭარენერგო; აღორძინება "მ", რომელიც თანამედროვე კონსტრუქციის საამშენებლო მასალას ამზადებს და აღორძინება "ნ", რომელიც სწრაფმავალ საპატრულო კატარღებს უშვებს. იქაურები ამბობენ, რომ ბოლო ორი საწარმო ბატონი ასლანის ვაჟს, გიორგი აბაშიძეს ეკუთვნის.

○ ○ ○

"პირველი კვადრატის" მიღმა იწყება ჩვეულებრივი პოსტსაბჭოთა ჯოჯოხეთი - დანგრეული და ჩაბნელებული ქუჩებით, ჩამოტყავებული სახლებით, გაუქმებული საწარმოებით, მაწანწალა ძაღლებით და განამებული ადამიანებით.

როდესაც ბათუმში მივემგზავრებოდით, პირველ რიგში, სწორედ ის გვაინტერესებდა, ცხოვრობენ თუ არა უბრალო ადამიანები აჭარაში უკეთ, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. ამის გასაგებად ერთადერთი პირდაპირი გზა არსებობდა: ადამიანებთან უშუალო გასაუბრება.

მაგრამ ასლანდიის ხელისუფალთ უცხო ჟურნალისტები არ უყვართ. ამიტომ, სასურველი იყო "პირველი კვადრატის" მიღმა მუშაობა, თანაც, დიქტოფონის გარეშე და სახელ-გვარების გამოუკითხავად. საჭირო იყო ისეთი შეკითხვის შერჩევაც, რომელიც ასლანდიის დაუწერელ კანონებს არ შებღალავდა. ნეიტრალური შეკითხვისთვის საოჯახო შემოსავლების თემა ავირჩიე; კერძოდ: "ბოლო წლების განმავლობაში თქვენი ოჯახის შემოსავლები შემცირდა თუ გაიზარდა?"

○ ○ ○

აღმოჩნდა, რომ ბათუმელებიც ისეთივე ხალისით პასუხობენ ჟურნალისტის შეკითხვას, როგორც თბილისელები და საუბრის ბოლოს მადლობას იხდიან.

ბათუმელებს აქვთ სათქმელი, რომელიც, არასრული სახით, ასე ჟღერს:

ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც ქუჩაში ნაყინს ყიდის, მეუღლესთან ერთად პროვინციულ ქალაქ სამტრედიიდან ჩამოვიდა აჭარაში სარჩოს საძებნელად. მეუღლე სანტექნიკის სპეციალისტია და პერიოდულად მუშაობს, მას კი დღეში სამ ლარს უხდიან. ეს პატარა ოჯახი ქირით ცხოვრობს და შვილებს ყოველთვიურად 40 ლარს უგზავნის. ადრე ცოლი სამტრედიის საკონსერვო ქარხანაში მუშაობდა, ქმარი კი სატვირთო მანქანის მძღოლი იყო. ორივე სამსახური გაუქმდა.

გაზეთის გამყიდველი ასაკოვანი მამაკაცი წარმოშობით თბილისელი აღმოჩნდა. **"აქ კარგი ცხოვრებაა, სიწყნარეა,"** - თქვა მან. ადრე თბილისში წვენების ქარხანაში მუშაობდა, მაგრამ ქარხანა დაიხურა, ამიტომ ახლა გაზეთების გაყიდვით მიღებული შემოსავლით კმაყოფილდება.

შემდეგი მოსაუბრე, ისიც მამაკაცი, საოჯახო სკამზე იჯდა და გამვლელებს ათვალიერებდა. შეკითხვამ გამოაცოცხლა: **"ბოლო წლებში საერთოდ არ არის შემოსავალი. ჩემს ოჯახში არავინ მუშაობს. რაც გვაქვს, სახლიდან გაგვაქვს და ვყიდით,"** - თქვა მან. ადრე იგი ბათუმის ლუდის ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ შეამცირეს. მეუღლე, რომელიც სხვა დაწესებულებაში ბუღალტერი იყო, აგრეთვე გაათავისუფლეს.

შემდეგი მოსაუბრე, ახალგაზრდა ქალი, მზესუმზირას და სიგარეტს ყიდდა. იგი აღმოჩნდა წარმოშობით ცხინვალიდან, აფხაზეთში გათხოვილი. ახლობლები დაკარგული ჰყავდა ზოგი ცხინვალის, ზოგიც აფხაზეთის ომში. მისი მეუღლე, რომელიც ბოლოს აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში იბრძოდა, აფეთქებულ თვითმფრინავში დაიღუპა. **"ან ბათუმში რა მინდა, ან თბილისში?! თბილისს მაინც აქ მირჩევნია, თუმცა, სოხუმი ოცდაათჯერ უკეთესი ქალაქი იყო, ვიდრე დღევანდელი ბათუმია,"** - თქვა მან. ეს ახალგაზრდა ქალი დარწმუნებულია, რომ სოხუმში მისი სახლი ხელუხლებელია, რადგან მასში ოჯახის აფხაზი მეჯვარე ცხოვრობს. მის მეუღლეს მეგობარი ომის ბოლო დღეებში შესთანხმებია: თუ მანდობ, სახლს დაბრუნებამდე შეგინახავო. გაჭირვებას ამ საოცარ ქალში ნდობა არ ჩაუკლავს.

საკუთრების დაცვის ორი პოლიციელი ცხოვრებით, მეტ-ნაკლებად, კმაყოფილი აღმოჩნდა: ყოველ მეორე დღეს მუშაობენ და ხელფასს, 75 ლარს, დროულად იღებენ.

შემდეგი მოსაუბრე იყო შუახნის ქალბატონი სოფელ ჭარნარიდან. **"სულს ვლაფავთ, ხუთი სულიდან არც ერთი არ ვმუშაობთ,"** - თქვა მან. მათ ოჯახში ერთადერთი ადამიანი, რომელიც ბოლოხანს მუშაობდა, 20 წლის ვაჟი იყო. იგი ფქვილს ზიდავდა, მაგრამ აღარ დასჭირდათ და დაითხოვეს. ამ ქალბატონმა მთელ სოფელში ერთადერთი ოჯახი გაიხსენა, რომელსაც ორი დასაქმებული წევრი ჰყავს. **"რომ ამბობენ, ასლან აბაშიძე ხალხს პატრონობსო, ვის პატრონობს? ჩემს ოჯახს არ პატრონობს, არც ჩემი მეზობლების და ნათესავების ოჯახებს. ჩვენზე მეტი საპატრონო ვინ არის, ჩემი წამლისთვის ფულს მთელი სოფელი აგროვებდა,"** - თქვა მან და ოცამდე გამოკითხულ ადამიანს შორის ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ასლან აბაშიძე ახსენა.

ლტოლვილთა განსახლების სამინისტროს განყოფილების გამგის - ცხრასულიანი ოჯახის ერთადერთი მარჩენალის - ხელფასი 52 ლარია. ოჯახის ძირითადი შემოსავალი კერძო მეურნეობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთავრობო დაცვის თანამშრომლის ხელფასი 75 ლარია. ეს მისი ოთხსულიანი ოჯახის ძირითადი შემოსავალია.

ცხრასართულანი სახლის მობინადრემ კი თქვა, რომ მთელ სადარბაზოში მისი ოჯახი ერთადერთია, რომლის ორი წევრი სტაბილურ ხელფასს იღებს. **"შემოსავლის ნაწილს მეზობლებისთვის ვინახავ. ზოგი ერთ ლარს სესხულობს, ზოგი - ორს, მაქსიმუმი ხუთი ლარია,"** - თქვა მან.

ერთმა ჩემმა ძველმა ნაცნობმა კი მითხრა: **"ჩვენი სამსახურის ქვედა სართულზე უშიშროების წარმომადგენლები სხედან. სულ ჩურჩულით ვლაპარაკობთ და გვშურს, როცა ტელევიზიით აჩვენებენ, რომ საქართველოს რომელიმე ქალაქში დაწესებულების ხელმძღვანელს თანამშრომლები კაბინეტში არ უშვებენ".**

○ ○ ○

აქ ვწყვეტ ჩამოთვლას: უბრალო ადამიანების ყოფის სურათი თითქმის ერთნაირია ბათუმსა და თბილისში.

აჭარაში მართლაც არ გვიანდება ხელფასი და პენსია (საფიქრებელია, რომ ამას ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ რეგიონული ვალდებულებების იგნორირება უზრუნველყოფს; საბიუჯეტო თავნებობა ასლანდიის ძირითადი პრინციპია).

მაგრამ თბილისში გაჭირვებული ადამიანები მძიმე ცხოვრების მიზეზს პრეზიდენტში ხედავენ, მას ხმამაღლა ადანაშაულებენ და პასუხს სთხოვენ. ასლანდიაში კი დამნაშავის ძებნა მიღებული არ არის. ჩემი ფსიქოლოგი მეგობრის განმარტებით, აჭარის მოსახლეობისთვის ყველაზე საშიშია სინამდვილის არაადეკვატური აღქმა: როცა ადამიანებს დაჟინებით მოუწოდებენ, თავი სამოთხეში იგრძნონ 75 ლარიანი ხელფასის გამო, ხოლო საარსებო მინიმუმი 250 ლარია. დანარჩენ საქართველოში ის მაინც ზუსტად იციან, რომ ჯოჯოხეთში ცხოვრება აღარ უნდათ.

○ ○ ○

ბათუმში, თბილისისგან განსხვავებით, მძლავრად იგრძნობა რუსული გავლენა. ქალაქში ბევრი რუსულენოვანი ოჯახია; ყველგან რუსული წარწერაა; რუსული ჟურნალგაზეთები გაცილებით იაფია, ვიდრე თბილისში; ადგილობრივი სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამა ყოველდღე ითარგმნება რუსულ ენაზე.

ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა, გვენახა კვირის ანალიტიკური გადაცემა, რომლის მთავარი სიუჟეტი აჭარის და კარელიის რესპუბლიკების ურღვევ მეგობრობას მიეძღვნა.

○ ○ ○

ფაქტი, რომელმაც გაოცების უნარი დაგვიბრუნა, უკან დაბრუნებისას მოხდა. ბათუმიდან ჩოლოქამდე, 35 კილომეტრის მანძილზე, ჩვენი მიკროავტობუსი ავტოინსპექტორებმა ზუსტად 6-ჯერ გააჩერეს. თითოეულმა მათგანმა ჩვენი ნაცნობი მძღოლებისგან ქრთამად მხოლოდ სიგარეტის ღერების გამოძალვა მოახერხა. მძღოლებმაც აგვიხსნეს, რომ აჭარის ავტოინსპექცია თბილისურნომრიანი მანქანების მიმართ ყოველთვის საგანგებო ყურადღებას იჩენს.

რას იზამ, ესეც ასლანდიური წესია...




ზაზა ფაჩუაშვილი

# ხუთშაბათი არილის დღეა



არილი თევზი არ არის - ლიტერატურული ჟურნალის სახელია (რომლის მნიშვნელობა განმარტებულია ჟურნალის ყდის მეორე გვერდის მარცხენა კუთხეში დასახატი მზის ადგილზე), მაგრამ როგორც აღმოჩნდა, კალენდარულ ხუთშაბათზე გარკვეული პრეტენზიები მასაც გასჩენია. ამას მკითხველი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ინტელიგენციისთვის შესაფერისი მოკრძალებული სოლიდურობით ადასტურებს.

აღიარების პრეტენზია შედგა თსუ-ს დავით აღმაშენებლის სახელობის დარბაზში ფილოლოგიის ფაკულტეტის ინიციატივით ორგანიზებულ შეხვედრაზე, სადაც გზაზე მარგალიტად მიმავალ არილს მოულოდნელი შეხვედრა მოუწყვეს და ისე პროფესიულად გაარჩიეს, განუხილავი უჯრედიც არ დაუტოვეს.

ჟურნალად გამოსვლის წელიწადნახევრის მანძილზე არილი ხუთშაბათის ისეთივე განუყოფელი ნაწილი გამხდარა, როგორც თავის დროზე თევზი და ეს ასოცირებული მსგავსება სულაც არ ყოფილა შემთხვევითი. არილი თევზის ქონივით მარგებელი შექნილა და მკითხველთა ტვინების ჰოლესტერინული აზრებისაგან გაწმენდის უნიკალური თვისების გამო სპეციალისტთა ყურადღებაც დაუმსახურებია. ცოდნის ტაძარში მისი ორსაათნახევრიანი გარჩევა ამის ნათელი მაგალითია.

დასაწყისისთვის ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ სამკაციანი პრეზიდიუმი - ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის ამირან გომართელის, არილის მთავარი რედაქტორის შადიმან შამანაძისა და მისი მოადგილის მალხაზ ხარბედიას შემადგენლობით და 103 კაციანი დარბაზი უნივერსიტეტის რექტორის როინ მეტრეველის, პრორექტორის თეიმურაზ ხუროძის და არილის განსვენებული დედის - გაზეთ "კავკასიონის" ყოფილი გამომცემლის, აწ პარლამენტარის ვასილ მაღლაფერის პირველრიგმჯდომარეობით.

პრეზიდიუმი ბოლომდე უცვლელი დარჩა, დარბაზი კი მუდმივ მოძრაობაში იყო. დაგვიანებით შემოვიდა 41 ადამიანი, დროზე ადრე გავიდა - 71, ხოლო კარი სხვათა შორის,

გაალო და შემოიჭყიტა 7-მა ცნობისმოყვარემ. საერთო ჯამში არილის გარჩევას დაესწრო 144 მსმენელი და ერთი თეთრი ქუდი - "კენგურუ", რომელიც მწერალ შოთა იათაშვილს დარჩა.

მაინც რატომ მოხდა განხილვა? ამ კითხვაზე პასუხი უნებლიედ გასცა ერთ-ერთმა გამომსვლელმა, რომელმაც ბრძანა, რომ დღეს სტუდენტები ლაპარაკობენ არილში გამოქვეყნებულ მასალებზეო. ალბათ ეს არის არილის მიერ დაძლეული ყველაზე მთავარი ბარიერი, რამაც ჟურნალი თსუ-ის სამსჯავროზე მოიყვანა.

ფილოლოგთა დეკანმა შინაურული სითბოთი და სიყვარულით ისაუბრა ჟურნალზე და მის შემოქმედებით კოლექტივზე.

ბატონი შადიმანი ფეხზე ორჯერ წამოდგა. პირველად საზოგადოებას რედაქცია გააცნო პრინციპით - "გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის" და თანამშრომელთა რამდენიმე გვარ-სახელს შინაარსიანად დაამატა - "ელისო, მანანა, გოგი". სავარაუდოდ, ამით საფუძველი ჩაეყარა იმ მომავალს, როცა აღნიშნული სახელების გაგონებას მქუხარე ტაში მოჰყვება.

რედაქტორის მეორე ადგომამდე ტრიბუნა დაეთმო რიგში მდგომ ოთხ ახალგაზრდა მომხსენებელს. ასპირანტებმა სერიოზული ნამუშევრები წარმოადგინეს და არილის პუბლიკაციებს კვალიფიციური შეფასება მისცეს.

პირველი მოხსენების დაწყებიდან 14 წუთის შემდეგ დარბაზი გვიანი გაზაფხულისთვის დამახასიათებელმა ნაზმა შრიალმა მოიცვა, რაც ჰარმონიულად გაგრძელდა სიტყვის ბოლომდე. დეკანის მიერ წაქეზებულმა მეორე მომხსენებულმა ჟურნალის მრავალფეროვნებაზე საუბარი ყრუ საზოგადოებისთვის განკუთვნილი რიხით დაიწყო. შრიალი შეწყდა, მაგრამ მალევე იჩინა თავი ერთმა კანონზომიერებამ, რომლის თანახმად იმ დღეს დარბაზის ყურადღება 14 წუთზე ყოფილა გათვლილი და მეორე მოხსენების მე-15 წუთზე დარბაზ-ტრიბუნის დაკარგული ჰარმონია შრიალ-შრიალით აღსდგა.

მესამე მომხსენებელმა განსაკუთრებით მაღალი შეფასება მისცა არილის პოლიტიკურ მიმომხილველს ია ანთაძეს და მის შრომას გემოვნების განვითარების სამსახური უწოდა.

მეოთხე მომხსენებელი არილის ენას შეეხო და ბოლომდე გამოაყოფინა. მისივე თქმით, "ენობრივად ყველაზე მოწესრიგებულ ორგანოს" შეცდომებიც საკმაოდ ჰქონია, თუმცა სხვა წერით გამოცემებთან შედარებით ეს ზღვაში წვეთი ყოფილა (ვაი, ყოველდღიურო მკითხველო!).

ამის შემდეგ ჯერი წინასწარ მოუმზადებელ გამომსვლელებზე მიდგა, რომელთაგან უკლებლივ ყველა არილის გულშემატკივარი გამოდგა. გამომსვლელთა მიერ დახარჯულმა მცირე დრომ ზედმიწევნით საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

ბოლოს მეორედ წამოდგა შადიმან შამანაძე და დიდი მადლობის გადახდის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად შეწყვიტა მოადგილის მალხაზ ხარბედიას ორსაათნახევრიანი რყევა სკამზე მჯდომარე და მაგიდაზე მწოლიარე მდგომარეობებს შორის, როცა ტრიბუნისკენ მიუთითა და ჟურნალის მომავლის წარმოჩენა სთხოვა.

მდუმარე ორატორს ტრიბუნა დიდხანს არ შეუწუხებია. პირიქით, დასკვნითი გამოსვლის წინ დასვენების საშუალებაც მისცა და დროის გაყვანის მიზნით მიკროფონს დაუწყო ინტენსიური მოფერება. რამდენიმე წუთის შემდეგ პირველი სიტყვებიც გაისმა: "ძალიან ძნელია..." და სრულებით მართალი იყო მალხაზ ხარბედია, მომავალზე საუბარი ძნელია და ამას საქმის კეთება და შედეგის ნახვა სჯობიაო.

არილი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE

ხ 46/23

ეროვნული ბიბლიოთეკა



პარიზი 1968 მაისი